

ცისკარი 1852

N1 2021

ჭაბუა ამირეჯიბი - 100

ლუკა ბაქანიძე
ნატო ფირცხალავა (დებიუტი)
} მოთხრობები

ნინო დარბაისელი - მანანა დოიაშვილის მონოდრამაზე

ვიტალიანო ბრანკატის მოთხრობა - ავტორიტარიზმზე

ᲪᲘᲪᲕᲐᲚᲘ 1852

№1//2021

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ – ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ
მთავარი რედაქტორი

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲔᲚᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ
პასუხისმგებელი რედაქტორი

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ᲥᲔᲗᲘ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ
თავმჯდომარე

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲐᲦᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ
ᲓᲐᲗᲘᲐ ᲑᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲐᲠᲚᲝ ᲑᲐᲠᲓᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ
ᲚᲣᲙᲐ ᲑᲐᲥᲐᲜᲘᲫᲔ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ
ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲘᲡᲔᲚᲘ-ᲡᲢᲠᲝᲜᲘ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲐᲗᲘᲐ ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ
ᲰᲐᲠᲣᲜ ᲩᲘᲛᲥᲔ
ᲑᲔᲡᲝ ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
საკონტაქტო ტელეფონები: 599335133; 599565644
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ

სარჩევი

ჭაბუა ამირეჯიბი -100

ლალი ავალიანი 3
ქედუხრელი მზეჭაბუკი

პროზა

ლუკა ბაქანიძე 10
და იყვნენ ხუთნი

ნატო ფირცხალავა 14
დებიუტი ანუ ორი არაბესკა

პრიტიკა-ესეისტიკა

ნინო დარბაისელი-სტრონი 22
ხმა ახალი ადამიანისა
(მანანა დოიაშვილის მონო-
დრამა – „ვია დოლორეზას“
– შესახებ და გამო)

გურამ ბენაშვილი 31
მარო მაყაშვილის „დღიური“

პოეზია

ნინა სამხარაძე 34

ნინიკო მშვიდობაძე 39

**ლიტერატურული
კონკურსი**

ნათია კაპანაძე 44
მამაჩემი

ახალი თარგმანები

ვიტალიანო ბრანკატი 46
ჩექმებიანი მოხუცი
იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაბელიძემ

ხზოვნა ისტორიისა

ვახტანგ გურული 70
მასალები ივანე კერესელიძის
ბიოგრაფიისთვის

გივი ჩიღვინაძე 77
შტრიხები ჯრუჭის
მონასტრის ისტორიისათვის

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: https://www.facebook.com/ciskari1852

ლალი ავალიანი

ქედუხრელი მზეჭაბუკი

ჭაბუა ამირეჯიბის ფენომენი ვერავითარ სამანებში ვერ თავსდება. „დათა თუთაშხიამ“, ავტორის უმდიდრესი, თუმც უმძიმესი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მაღალი ნიჭის ტვიფარი რომ აზის, უმალვე აქცია იგი ლეგენდარულ პიროვნებად. რომანს იმთავითვე მოწმენდილ, შეუმკრთალ ცაზე გავარდნილი მეხის ეფექტი დაჰყვა, ხოლო ავტორი ეფემერულ პიროვნებად უფრო წარმოედგინათ, ვიდრე საბჭოეთის მოქალაქედ. ჭეშმარიტი, ხორცსხმული ავტორის, მზეჭაბუკ ამირეჯიბის, უჩვეულო ბიოგრაფია და სრულიად არაორდინარული პიროვნება მკითხველთა უმრავლესობისათვის მაშინ უცნობი იყო.

„დათა თუთაშხიას“ „ცისკარში“ დაბეჭდვა იმ დროის დიდი პარადოქსიც გახლდათ, რასაც უეჭველია, ჟურნალის იმჟამინდელ რედაქტორს ჯანსუღ ჩარკვიანსაც უნდა ვუმადლოდეთ.

რომანი იმის დასტური იყო, რომ სიჭაბუკიდანვე მრავალტანჯულ ავტორს, სიცოცხლის ხალისი და მხნეობა ოდნავადაც არ შებღალვოდა, თუმც ჯოჯოხეთისთვის ბევრჯერ გაესწორებინა თვალი. აწ უკვე საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნებულ მწერალს „ჩვეულებრივი“ ცხოვრება (ანუ ჩვენებური ქეიფი და დროსტარება) ვერა და ვერ ეთმობოდა (ეს თავად აღუნიშნავს მრავალგზის, ჩვეული თვითირონიით); ამასთან დღენიადაგ მუხლჩაუხრელი მუშაობა მოუხდა ცხოვრების სახსარის მოსაპოვებლად, რაც, ცხადია, ზღუდავდა მის სამწერლო მოღვაწეობას.

60-იანი წლებიდან ბეჭდავდა მოთხრობებს, 1962 წელს პატარა წიგნიც გამოსცა.

გარეგნობით, ვაჟკაცობით, ჯიშითა და გვარიშვილობით, პიროვნული ხიბლით, ენამჭევრობით, უბრალო ადამიანების თანადგომით, შემწყნარებლობითა და გასაოცარი კომუნიკაბელურობით გამორჩეულ ჭაბუა ამირეჯიბს იმთავითვე არ აკლდა სიყვარული და პატივისცემა, თუმცა „დათა თუთაშხი-

ამ“ მას საყოველთაო, ჭეშმარიტად სახალხო მწერლის დიდება მოუტანა.

მრავალი წელი მოანდომა ავტორმა „გორა მბორგალის“ დასრულებასაც (სამწუხაროდ, ვინ იცის, რამდენ უცხოურ პრემიას დაიმსახურებდა!). ავტობიოგრაფიული რომანი, „ლოკალური“ გულაგური ისტორია ზოგადსაკაცობრიო პარაბოლად აღიქმება; თუმცა, სიკეთისა და ბოროტების, ძალადობისა და სიმამაცის, ულმობლობისა და ჭირთათმენის დაუსრულებელი, მარადიული შერკინება ქართული სულის ზეობის, ქართული ფენომენის ჭრილში წარმოჩნდა.



ერთადერთი რომანი, რომელიც ავტორის თქმით, შეგნებულად „მოკლედ“ დაიწერა, — „გიორგი ბრწყინვალეა“ – მწერლის ბოლო, დაუმთავრებელი რომანი.

●

„დიდ კატორღელთა მოდგმის“ (მამამისი, ადვოკატი ირაკლი ამირეჯიბი 1938 წელს შეეწირა, დედა – გადასახლებული ჰყავდა) ჭაბუა ამირეჯიბი, თექვსმეტწლიანი განშორების შემდეგ, კორიანტელივით დაქროდა მონატრებული თბილისის ქუჩებში: ლამაზი, ლაღი, ახოვანი, წელგამართული, ყელმოღერებული – ნამდვილი არისტოკრატი. როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალჭირგამოვლილ მარბენალსა და ორგზის სიკვდილის მომლოდინე ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს იმ საზარელი წლების დაღი ჯერ ვერ მოეშორებინა: მზემოკიდებულსა და გამხდარს, ძველმოდური, გაცრეცილი, აშკარად ნაჩუქარი ლაბადა ეცვა, სახელო მაჯებსაც კი ვერ უფარავდა. მისი პიროვნებით დიდად ვიყავი დაინტერესებული, ალბათ, ამიტომაც მეცა თვალში დიდი ხელის მტევნები, მუშაკაცივით დაშაშრული.

მოგვიანებით, როცა ჭაბუა გავიცანი, მისი მეუღლის, ჩემთვის სტუდენტობიდან ახლობელი და საყვარელი პოეტის, თამრიკო ჯავახიშვილის წყალობით, გაოცებით შევნიშნე, რომ მის ჯიშსა და „ხელობას“ (მწერლობას) გადასახლებაში ნაჯაფი ხელები დაეხვეწა.

●

ქართული ენციკლოპედიის ახლადდაარსებულმა რედაქციამ თავდაპირველად მწერალთა სახლის სხვენზე დაიდო ბინა.

ენისა და ლიტერატურის რედაქციაში ვმუშაობდი, მედიცინის განყოფილებაში მუშაობდა პაოლო იაშვილის ერთადერთი ქალიშვილი მედეა იაშვილი, გულღია, ყოველგვარ სნობიზმს მოკლებული უმშვენიერესი ქალბატო-

ნი. მისდამი განსაკუთრებული პიეტეტი მქონდა: გარდა უმცროს-უფროსობისა, „ცისფერყანწელთა“ ლიდერის, პაოლო იაშვილის, საფიცარი ასულიც გახლდათ.

60-იანი წლების მიწურულს, ადრეულ გაზაფხულზე, მედიკოსთან და სხვა თანამშრომლებთან ერთად, მწერალთა სახლიდან გამოვედით. მაჩაბლის ქუჩის ბოლოს შევნიშნეთ ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც ხშირად სტუმრობდა მწერალთა კავშირს. რა დამავიწყებს იმ ალალ სიხარულს, როგორითაც ერთმანეთს შეხვდნენ მედეა და ჭაბუა. მოკრძალებულად განზე გავდექით. შორიახლოს ხანდაზმული, წელში მოხრილი ოქროყანელი ქალბატონი ახლადშემოსულ ყოჩივარდებს ჰყიდდა. მისდა გასახარად, ჭაბუამ ყვავილებიანი კალათა დაუცარიელა, ხურდაც კი არ გამოართვა, ჯერ მედიკოს მიართვა თაიგული, მერე ყველას ჩამოგვირიგა. ერთხანს თავაზიანად გამოგველაპარაკა, დამშვიდობებისას კი სახეგაბრწყინებულმა გვითხრა: ვისაც თვრამეტი წლის მედეა იაშვილი არ უნახავს, არც ლამაზი ქალი უნახავსო. მოგვიანებით, თამრიკოსგან გავიგე, რომ დაპატიმრება-გადახვეწამდე მედეა მისი საცოლე ყოფილა.

გაივლის მრავალი წელი და „გორა მბორგალში“ წავიკითხავ: „ჩემ ცხოვრებაში ქარტეხილივით შემოიჭრა ახალი უნაზესი სიყვარული: მშვენიერი ტანფეხი, ზღვასავით უძირო, ერთთავად წყლიანი თვალები, ლამაზი, კეხიანი ცხვირი, შესაშური სიმღერა და იუმორი; მამამისი, საყოველთაოდ ცნობილი კაცი, ოცდაჩვიდმეტ წელს შეეწირა. ჩვენ ერთმანეთისათვის სიყვარული სიტყვიერად არ გაგვიმხელია, მაგრამ ეს ორივესთვის უღრმესი გრძნობა იყო“.

„გორა მბორგალს“, რომელშიც უამრავი რეალური ამბავია მოთხრობილი, თან ერთვის თამრიკო ჯავახიშვილის დანართი („რომანის პერსონაჟები. რეალური თუ გამონაგონი“); მასში მითითებულია, რომ „უნაზესი სიყვარულის“ ობიექტი მედეა იაშვილი გახლდათ.

●

ენციკლოპედიის პირველი ტომი გამზადდა. ჭაბუას დავურეკე და სტატიისათვის ფოტოსურათი ვთხოვე. მალევე მოგვიტანა პატარა ფოტო – ავარჩიე, დიდი არაფერია, მაგრამ ერთადერთი მაქვს, თანაც ჩემი ცხოვრების სამახსოვრო ამბავს უკავშირდებაო. წესისამებრ, სურათი ტექნიკურ განყოფილებას გადავეცი, თანამშრომლებს ვთხოვე, თვალის ჩინივით მოფრთხილებოდნენ. ფოტო დაიბეჭდა თუ არა, მაშინვე დედნის წამოღება მოვინდომე, თუმცა ამაოდ: სურათი გამქრალიყო... ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ასეთი რამ არ ხდებოდა, მაგრამ იმ დროისათვის დიდ ქართულ საგას, „დათა თუთაშხიას“, უკვე მთელი საქართველო კითხულობდა. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ავტორის რომელიმე თაყვანისმცემელმა, სავარაუდოდ, მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა, უცერემონიოდ მიითვისა ფოტო, მის კვალსაც კი ვერ მივაგენი.

შავ დღეში ჩავვარდი, მეტი რა გზა მქონდა, ხომ უნდა გამემხილა ეს ამბავი, ცხადია, დამნაშავედ ვგრძნობდი თავს.

გავბედე და დავურეკე ჭაბუას, მაშინვე დავაფასე მხოლოდ დიდი ადამიანებისათვის დამახასიათებელი უბრალოება და მიმტევებლობა: საყვედურიც არ დასცდენია, გაეცინა კიდეც ინკოგნიტო თაყვანისმცემლის ხსენებაზე.

2001 წელს ჭაბუას მდიდრული იკონოგრაფიით აღჭურვილ შვიდტომეულში (მის გამოცემას გია ჯოხთაბერიძეს უნდა ვუმადლოდეთ), როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ აღმოვაჩინე ენციკლოპედიის პირველ ტომში დასტამბული ფოტო. დღევანდელი ტექნოლოგიით, ალბათ, ადვილი იქნება მისი გადმოღება და სრულყოფილად აღდგე-

ნა, მით უმეტეს, რომ მწერალს თავად ეძვირფასებოდა ეს სურათი.

ენციკლოპედიის შესაბამისი ტომი 1975 წელს გამოიცა, დაკარგული ფოტოს თარიღი ზემოხსენებული შვიდტომეულის პირველ ტომშივე დავადგინე – თამრიკოსა და ჭაბუას უფროს ვაჟთან, ქუცნასთან გადაღებული სურათით (წარწერით – „მე და ქუცნა. 1967 წ.“), ჭაბუას იგივე საზაფხულო პერანგი აცვია და თავადაც ისევე გამოიყურება, როგორც დაკარგულ ფოტოზე. როგორც ჩანს, სწორედ ქუცნას დაბადების სიხარულს უკავშირდებოდა მწერლის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ ფოტოსადმი.

●

ჩემთვის ჭაბუა მუდამ იყო მოწიწებისა და პატივისცემის საგანი. ხშირად შევხვედრივარ ლიტერატურულ საღამოებზე, გამომცემლობებისა თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ბანკეტებზე... ჩემდა საბედნიეროდ, საერთო მეგობრების შინაურულ სუფრებზეც ვყოფილვარ მისი და თამრიკოს თანამეინახე, ენაწყლიან, მოამბის დიდი ნიჭით მადლმოსილ მწერალს დელფოსის ორაკულივით სულგანაბულნი ვუსმენდით. სხვათა შორის, მოსმენის კულტურასაც (რაც ესოდენ იშვიათია) საუკეთესოდ ფლობდა.

ერთ-ერთ დაბადების დღეს, სავარაუდოდ, 70-80-იანი წლების მიჯნაზე (მაშინ „გორა მბორგალის“ ნაწყვეტებიც კი არ იყო დაბეჭდილი) მოვისმინეთ ჭაბუასგან ეგრეთ წოდებული „ქილების ამბავი“: გადასახლებაში მყოფი კაცი ფეხმსუბუქ ქალს ესტუმრება, უფულობის გამო „ჰონორარს“ თუნუქის ქილით გადაუხდის; კმაყოფილი რჩება ქალის „მომსახურებით“ და, თითქმის ყოველდღე დადის მასთან, სანამ ქილები (რაც იმ სიდუხჭირეში დიდად ფასობდა) არ გამოელევა. გამოხდება ხანი და ერთხელაც, თავად ქალი ესტუმრება ქილით ხელში და ასე გრძელდება მათი „ციმბირული რომანი“...

ამ სახალისო მონათხრობმა ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია, შემდეგში ეს ნამდვილი ამბავი „გორა მბორგალის“ IV კარში აღმოვაჩინე – გადასახლებული ტრაქტორისტის მონათხრობი, ბევრად უფრო სკაბრეზული და ცინიკური, როგორც ჩანს, მწერალმა ჩვენს სუფრასთან მჯდომი მანდილოსნების სიმრავლე გაითვალისწინა და უბირი ტრაქტორისტის მონათხრობიც „შეარბილა“. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი გასაოცარი ამბავი, ფაქტობრივად, დასრულებული მოთხრობაა „გორა მბორგალში“; ზოგი ჭაბუას რეალურ თავგადასავალს გადმოგვცემს, ზოგიც – სხვათა მონათხრობს – ნაირგვარი მოდიფიკაციებით. იგივე ითქმის „დათა თუთაშხიაზეც“.

ბავშვობიდან ჭარმაგობამდე მწერალს რა არ მოუსმენია „ამ“ თუ „იმ“ (მარბენლობაში, ციხესა თუ გადასახლებაში) ცხოვრებაში: ზნეკეთილთაგან თუ ავანტიურისტებისგან, მართლის მთქმელთაგან თუ ცრუპენტელებისაგან, ბრძენთაგან თუ ბრიყვთაგან, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური კუთვნილებისა თუ სტატუსისა.

ჭაბუა ამირეჯიბის მოსმენის კულტურა (შერწყმული დიდ ცნობისმოყვარეობასა და ცნობისწადილთან, ამასთან – მოსაუბრის პატივისცემასთან) მართლაც უიშვიათესი იყო.

ჭაბუას ჩანაწერებში ასეთი რამ ამოვიკითხე: „სერიოზული საუბრის ხელოვნება – ვინმესთან პირისპირ ან რამდენიმე ადამიანის საუბარი მაქვს მხედველობაში – ორ ძირითად კომპონენტს შეიცავს – თქმის ხელოვნებასა და მოსმენის ხელოვნებას. თქმის თუ ართქმის თაობაზე ქართველებს დაწერილიც საკმაოდ გვაქვს და ზეპირსიტყვიერებითაც გადმოცემული. მაგრამ მოსმენა ისე და ასე უნდაო, ამაზე არსად რაიმე გამიგონია. არადა, როგორი

საჭირო და რთული რამ ყოფილა მოსმენის ხელოვნება. ვინც ვითარებისა თუ მოვლენის არსში ჩაწვდენას ლამობს, მხოლოდ საკუთარი გონების ამარა ვერაფერს გახდება“.

●

ჭაბუას მიერ დაფუძნებული გაზეთი „განახლებული ივერია“ ავადსახსენებელ 90-იან წლებში ოაზისივით იყო, თუმცა უსახსრობამ ბოლოს მაინც შეუშალა ხელი. ჭაბუას შეთავაზების შემდეგ რამდენიმე სტატიაც გამოვაქვეყნე, რედაქცია მწერალთა სახლის ერთ მოზრდილ ოთახში იყო განთავსებული. ჩემი პირველი ვიზიტის დროს ჭაბუას ნახვის სიხარულს ისიც დაემატა, რომ დედაჩემის უახლოესი მეგობრის შვილს, პროზის მაესტროს, ვაჟა გიგაშვილსაც შევხვდი, გაზეთის მთავარი რედაქტორის ამპლუაში; შესანიშნავი რედაქტორები ჰყავდათ, მათ შორის გახლდათ ჩინებული ლიტერატორი ზაზა კვერცხიშვილი; განსაკუთრებით დამამახსოვრდა უმშვენიერესი, სრულიად ახალგაზრდა გოგონა ჟაკლინ სირაძე. 2001 წელს, იმავე ოთახში, კვლავ ვეახელი ჭაბუას; იმჯერად სასაჩუქრო შვიდტომეულს ურიგებდა ნაცნობ-მეგობრებს, რომელთა რიცხვში, საბედნიეროდ, თამრიკოსა და ჩემი საერთო მეგობარი, ჭაბუას უმცროსი ვაჟის, შალვას ნათლია – ელზა დოკვაძე და მეც აღმოვჩნდით.

მოზრდილი რიგი იდგა: ვის არ ნახავდით იქ – ნაცნობსა თუ სრულიად უცნობს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, მათ შორის თბილისური ინტელიგენციის ნაღებს. ვიდექით მორჩილად. ჩვენი დანახვისთანავე ჭაბუამ, ჯენტლმენურად, თავისთან მიგვიხმო (რიგში მამაკაცები ჭარბობდნენ) და მალევე გადმოგვცა ძვირფასი „ნადავლი“ წარწერებითურთ.

●

თანამედროვე ქართულმა პროზამ ან სრულიად დაკარგა ინტერესი ისტორიული თემატიკისადმი ან პოსტმოდერნისტულად „გადაწერა“ წარსული (ზოგჯერ ჩინებულადაც; ავტორთა ჩანაფიქრისა და ნიჭიერების კვალობაზე); ზოგმა ახალგაზრდა ნოვატორმა წარსულისადმი ირონიული თუ პაროდიული დამოკიდებულება მკრეხელურად და ცინიკურად გადმოსცა. დღესდღეობით თუ კი რამეა სახიფათო ჩვენი ისედაც საფუძვლიანად შერყვნილი ეროვნული ცნობიერებისათვის, სწორედ რომ ნიჭიერი და განათლებული ახალი თაობის ნიჰილიზმია.

ჩვენი ისტორიისადმი, ფესვებისადმი, ტრადიციული და მარადიული ფასეულობებისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ჩვენნაირი დაბეჩავებული, დაქსაქსული, დაფეთებული, რწმენადაკარგული, ღირსებააყრილი, „ალაგ-ალაგ“ სამშობლოწართმეული ხალხისათვის, ჭეშმარიტად დამღუპველია.

ჭაბუა ამირეჯიბის დაუმთავრებელი რომანი ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრებს საკითხთა საკითხზე: ვინ ვიყავით, რანი ვართ, საით მივდივართ...

„გიორგი ბრწყინვალე“ არ არის ტრადიციული ისტორიული რომანი, მკაცრად შემოსაზღვრული დრო-სივრცით, „ავტობიოგრაფიული“ ელემენტებით (მთხრობელი, პირველი პირი, თავად მეფეა), ისტორიული რეალიებით... გიორგი V, მართლაც ბრწყინვალე მეფე საქართველოს ისტორიაში, სრულიად განძარცულია „ქრესტომათიული პეწისაგან“, მყვირალა პათეტიკისა თუ რომანტიკული საბურველისაგან.

თხრობის სადა, იმავდროულად, მიმზიდველი და დამაინტრიგებელი მანერა, დასაწყისიდანვე გააცხადებს, რომ გიორგი ბრწყინვალე ზეციური საუფლოს მკვიდრია და მხოლოდ შუამა-

ვალს, მედიუმს ეძებს მასსა და შთამომავლობას შორის.

გიორგი ბრწყინვალე ერთმანეთისაგან მკვეთრად არ მიჯნავს საკუთარ თავგადასავალსა და ქვეყნის ბედ-იღბალს, სულერთია, წინაპართა საქართველოზეა საუბარი თუ მომავლისაზე. მეფემ „იცის“ სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი. მას თანაბრად სტკივა ქვეყნის წყლული, მისი ბედუკულმართობა, თანამედროვეობაში, ნამყოსა და მყობადში; ამიტომაც ეზმანება მას ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე თუ ილია ჭავჭავაძე...

გიორგი ბრწყინვალის „ალტერ ეგო“ ქრონია. მათი ერთობლივი ნაუბარი საოცრად ეხმიანება ჩვენს თანამედროვე ვითარებას.

რეინკარნაციის იდეა (გიორგი „მძლედ“ მეშვიდე მოვლინებისას იქცევა) მომგებიანი მხატვრული ხერხი აღმოჩნდა, რაც საშუალებას აძლევს ავტორს, სხვადასხვა დროის საქართველოს შთამბეჭდავი ეპიზოდები გადმოსცეს (თამარ მეფის დროინდელი საქართველო, ტფილისის ყოფითი ეპიზოდები, ლარგველი ანანია გარსევანის ძის თუ ეგარსლან ბაკურციხელის, ბარძიმ ართავაჩოს ძისა თუ მამა იონათამის თავგადასავალი...). დიდია გმირთა მოქმედების არეალიც: იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ბაღდადი, ალექსანდრია, დარუბანდი... და, რა თქმა უნდა, საქართველოს ამერ-იმერი.

●

რატომ აირჩია ჭაბუა ამირეჯიბმა XXI საუკუნის დასაწყისში მაინცდამაინც XIV საუკუნის სისხლით, ბოღმით და გესლით მოთხვრილი, იავარქმნილი, გათიშული, მონღოლთა ურდოს ქვეშ მგმინავი, გაუბედურებული საქართველო?

ვინც კარგად იცნობს ავტორის შემოქმედებას, იცის მისი დიდი ინტერესი სულთმობრძავი იმპერიებისადმი და ამ ინტერესის საფანელიც. ეს დაუფარავი მინიშნება ბოროტების იმპერიად სახელდებული საბჭოთა კავშირის რღვევის ისტორიულ კანონზომიერებაზე ცნაურდება მის, ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდის ბელეტრისტიკასა თუ პუბლიცისტიკაში. ამ რომანის პირველივე კარი სწორედ მონღოლთა ძლევამოსილების დასასრულის დასაწყისს გვაუწყებს.

●

ჩემდა გასაოცრად, თანამედროვე მწერალთა ერთ ნაწილს აღიარებული კი არა, გაცნობიერებულიც არა აქვს დიდი მწერლის ღვაწლი (გამონაკლისია აკა მორჩილაძე) და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ცნობიერი თუ არაცნობიერი ზეგავლენა მათზე; პოსტმოდერნიზმის ზოგი „ილეთი“, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, არახალია, ძველია. „დათა თუთაშხიას“ არქაული პროლოგი-მისტიფიკაცია, მისი სახელდება XIV საუკუნის ძველი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტებად (სხვათა შორის, პირველ ხანებში გულუბრყვილოდ ვეძებდით მის „პირველწყაროს“), უაღრესად წარმატებული ექსპერიმენტი – კუთხურ კილოთა და ინტონაციათა, ანდა ჟარგონის დახმარებით პერსონაჟთა სრულყოფილი დახასიათება, ზოგადად – ენობრივი თამაშები – დღეს ჩინებულად აქვთ ათვისებული თანამედროვე ავტორებს, დეტექტური (მათ შორის „დიდი მოგოლის ხალიჩის“ ამბავი), პიკარესკული, ავანტიურისტული პლასტები, თუნდაც „გიორგი ბრწყინვალის“ ქრონის ამბავი (რაც „ფენტეზის“ ჟანრს უახლოვდება), სათქმელის სხვაზე „გადაბრალება“, ხილვა-ზმანებათა ამაღლებული სულისკვეთება, თხრობის „სიჭრელე“ უაღრესად სადღეისოდ აღიქმება.

●

ერთი დიდი კლასიკოსის ნათქვამს – სინამდვილე გაცილებით უფრო ფანტასტიკურია, ვიდრე გამონაგონიო, ჭა-

ბუა ამირეჯიბის შემოქმედებაც და მისი ძირითადი „წყარო“ – ცხოვრებისეული გამოცდილება გვიდასტურებს.

დღევანდელი მწერლობის აქილევსის ქუსლი, ჩემი აზრით, თვითმიზნური „გამომგონებლობაა“: მოდური, „ჩაწოდებული“ თემატიკის გაფეტიშება, ნაუცბადევად, მყისიერი პოპულარობის მოსაპოვებლად გამიზნული ეპატაჟურ-სკაბრეზულ-ცინიკური ტექსტებით თავმოწონება და ურცხვი, დაგეგმილი თვითრეკლამა „ყალბი თავმდაბლობის“ გარეშე. საყოველთაო კომერციალიზაციის ხანაში უმართლებთ კიდეც!

ახალი თაობის მიმართება ძველთან, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად გადმოცემულია მწერლის თვითირონიით გაჯერებულ რეალურ ჩანაწერებში, იგავადაც რომ გამოდგება:

„ციხეებსა და ბანაკებში არასრულწლოვანი დამნაშავეები „მალოლეტკებად“ იწოდებიან.

ძნელი წარმოსადგენია საზიზღრობა, რომლის ჩადენასაც მალოლეტკა არ იკისრებს. – თვით მარბენალი გახლდით, თავზე ხელიც ამიღია, სხვისი მეტი გამბედაობაც მინახავს, მაგრამ ვერაფერი შეედრება იმ ფანტასტიკურ თავხედობასა და აზარტს, რასაც უწლოვანი გამქცევი ამჟღავნებს.

მე მალოლეტკებთან ჩემი ერთადერთი „ურთიერთობის“ ამბავს ვიტყვი. მარბენლობის გამო, ტრაბახში ნუ ჩამომერთმევა, გულაგის სამყაროში საკმაოდ ცნობილი კაცი ვიყავი. როსტოვის ციხემ ჩემი მიყვანა უმალვე შეიტყო, ციხემ ხომ ყველაფერი ყველაზე ადრე იცის! შუა აზიის ეტაპს მალოდინეს. კომენდანტს ვთხოვე, მაღაზიაში წავეყვანე. საკანი ხალხმრავალი იყო, ზოგმა რის ყიდვა მთხოვა და ზოგმა რისი. ჩამოვწერე სია. მოვაგროვე ფული. გამიყვანეს. გისოსებს მიღმა მალოლეტკებს ასეირნებდნენ. ერთხანს მათვალიერეს. ერთმა მათგანმა მკითხა: „ტი ჩუბუკ, და?“ კი-მეთქი. მეორემ – ბოლოს საიდან წახვედიო? ამაზედაც გავეცი პასუხი. სიმართლეს ვიტყვი, იმ საუბრით კმაყოფილი დავრჩი! მალოლეტკები ანგარიშგასაწევი ხალხი იყო და მათ მიერ ჩემი პერსონის კარგ კაცად აღიარება ერთ რამედ ღირდა. ვიყიდე ყველაფერი, ძალიან დავიტვირთე. წარმოიდგინეთ, იღლიებსა და მუხლებს შუაც კი, პარკები, ტომსიკები და ქაღალდში შეხვეული პროდუქტები მქონდა გაჩრილი. ზედამხედველი უნდა მომხმარებოდა. მისი სადღაც გაუჩინარება ჩემთვის „საბედისწერო“ აღმოჩნდა. ამ ლოდინში მალოლეტკები გამოიყვანეს და – რის მარბენლობა, რის სახელი, რა პერსონაო – თხუთმეტსა თუ ოც წამში სრულიად თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი ტვირთისგან. ის კი არა, მშვენიერი, თბილი ჩექმები მეცვა, ვერ გამხადეს, ხელ-ფეხი თავად გამითავისუფლეს, თორემ ფეხშიშველი დავრჩებოდი, ნაღდია.

მას მერე, მალოლეტკებს რომ მოვკრავდი თვალს, სივლტოლად მივიდრიკებოდი ხოლმე უმალ!“

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ამ „იგავურ“ ამბავს ბუნებრივად მივუსადაგებ XX საუკუნის სამოცდაათიანელთა თაობის ერთ-ერთი ლიდერის, ბესიკ ხარანაულის სიტყვებს: „დღეს თუ ვინმე ჩვენგანს თავის მოწონება მოუნდა, ჯობს, ჭაბუა ამირეჯიბი გაიხსენოს, ამგვარად დაიშუშმინოს გონებისწამგვრელი პატივმოყვარეობა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ კეისარს კეისრისა მივაგო, რადგან ჭაბუა ამირეჯიბი ჩვენთვის ცოცხალი ლეგენდაა, ასრულებული და განამდვილებული“.

●

მძლე სულის, ჭირთამთმენი, უტეხი ხასიათისა და მძიმე სნეულების მრავალგზის დამჯაბნელი დიდი მწერლის, 92 წლის ჭაბუა ამირეჯიბის დაკრძალვა ეროვნულ მანიფესტაციად იქცა. იგი, ღირსებისამებრ, მთაწმინდის მარადიული ბინადარი გახდა.

ლუკა ბაქანიძე

და იყვნენ ხუთნი

მერე რო მოკვდა, იმის ჩათვლით ხუთნი იყვნენ: სამი ქალი, კატა, და მერე რო მოკვდა, ეგა. თავიდან ერთი ქალი ცხოვრობდა მარტო. ქირით. დედოფალს რო ჰგავდა. დახეული, ძველი ფეხსაცმელებით და ვედროთი და იატაკის საწმენდი ჯოხით ქუჩაში მოსიარულე – მაინც დედოფალს რო ჰგავდა. შეიძლება იმიტომაც, რო ქუჩაში ძირითადად დილასისხამ, დიდი გარინდების ჟამს თუ გამოჩნდებოდა, და ამ დროს უკანასკნელი უპოვარიც კი მეფეს ემსგავსება ან წმინდანს, და როგორც ფრესკაზე, ისე მოუჩანს მარტოობის შარავანდედი, კანს, გარსს გამოცილებული ანაორთქლი სულისა. და შეიძლება დედოფალს ხალხმრავალ ქუჩებში და ღრიანცელში რო ჩაევლო, სულაც არ ყოფილიყო აესე, დედოფალივით, დილასისხამ კი სავარჯიშოდ ძლივსტრაკაწეული მავანი ღიპიანი და ფულიანი ძიაკაციც კი მოუხრიდა ქედს შეხვედრისას და ესეც ოდნავი თავის დაკვრით მიესალმებოდა. ხანდახან გამოჰყვებოდა სკოლამდე – სადაც ალაგებდა, სადაც მუშაობდა – ჟღალი და ყრუ კატაც, ხუთეულიდან ერთ-ერთი, იურად სახელდებული, და ამ თავისი სიყრუის გამო უფრო მეტი და მკვეთრი ინდივიდუალიზმით გამოხატული სულიერი, ვიდრე, ზოგადად, კატების მოდგმა ხასიათდება. და ასევე, ისევ ამ თავისი სენის, სიყრუის გამო, პოტენციურ შიზოფრენიკად ქცეული: ხანდახან სრულიად უმიზეზოდ აიფხორებოდა, აჯაგრავდა კუდს და უხილავ და არარსებულ მტერს ელოდა. ან კიდევ პირიქით – არხეინად იჯდა შუა ქუჩაზე, რაიმეს ღრღნიდა და აინუნშიც არ აგდებდა მანქანის სიგნალებს და სხვა კატების გამაფრთხილებელ ჩხავილს. ჰოდა, დილასისხამ ჩამოივლიდნენ დედოფალი და ყრუ კატა იურა, როგორც უხილავ, მშვიდ დერეფანში, და შლეიფად ტოვებდნენ ცხოვრების სურნელს...

მერე რო მოკვდა, იმის ჩათვლით ხუთნი იყვნენ: დედოფალი და ორი ქალი, ჟღალი და ყრუ კატა – იურა და მერე რო მოკვდა, ეგა. მეორე ქალი, კლარა, ესეც დედოფალივით ხანში შესული – იყო ჩიტი და ჩიტივით ფერადი, და ჩიტივით მოსიარულე: ხტუნავდა თითქოს

სიარულისას. კლარას არ უყვარდა ალბათ დილა და ალბათ აფრთხობდა თავისი სიმარტოვე, რამეთუ ქუჩებში მოჩანდა შუადღის მერე, ხალხში, ხმაურში. კლარას არასდროს დაჰყვებოდა ჟღალი და ყრუ კატა იურა, მაგრამ კლარას დაჰყვებოდა თაყვანისმცემელი, სახელად რომეო, ქონდრისკაცივით დაბალი და დიდთავა მოხუცი, სულ ვესტერნულ შავ სომბრეროს რო ატარებდა და არა ვესტერნების ეშხით, არამედ ფრიად მერკანტილური მიზეზით – რატომღაც მზეს ვერ ჰგუობდა მისი სახისკანი და სომბრეროს ჩრდილში იფარავდა, თუმცა მაინც ლოთივით იყო აწითლებული. და კლარას ერთი ჩვევა ებადა უცნაური: თუ მიესალმებოდა ვინმე, თავს ჩაღუნავდა, ფეხს აუჩქარებდა და უმძრახად, უსიტყვოდ ჩაივლიდა, მაგრამ მერე, უკვე კარგა მანძილზე გაცდენილ მოსალმეს უკან აედევნებოდა ფეხაკრეფით, უცებ აეტუზებოდა ცხვირწინ და გულითადად მიესალმებოდა ესეც, მოიკითხავდა. კლარა არსად არ მუშაობდა და დადიოდა მხოლოდ ეკლესიაში, და მთელ დღეს ეკლესიაში ატარებდა: იდგნენ კლარა და რომეო, ეს თავსაფრით და ის – ხელში სომბრეროთი. იდგნენ და იდგნენ გაყუჩებულნი, ხელიხელჩაკიდებულნი და რომელიმე ხატის წინაშე, რელიგიურ ექსტაზში იოხებდნენ თავიანთ ნაგვიანევ და უძალო, წმინდა ვნებას...

მერე რო მოკვდა, იმის ჩათვლით ხუთნი იყვნენ: დედოფალი და კლარა, კიდევ ერთი ქალი და ჟღალი, ყრუ კატა, სახელად იურა, და მერე რო მოკვდა, ეგა. მესამე ქალს ერქვა ფრიდა, იყო იეზიდი და ესეც ხანშიშესული. ქუჩაში გამოდიოდა მარტო ისეთ ჟამს, როცა სასაცილო არ გამოჩნდებოდა – შებინდებისას ან ღამით. შავად მოსილი, შავი შლაპით და შავად დატუშული თვალებით, დამჭკნარ, ქათმისფეხა ხელებზე ასხმული უამრავი მოელვარე ბეჭდით. გამოვიდოდა შებინდებისას სარჩობელაზედ, ანუ სიგარეტის ღერების და ხურდა ფულის მოსაძიებლად და ავი სულივით დასავსავებდა ბნელ შუკებში, თან რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. დროდადრო გვერდით ჩავლილ გამვლელს უცერემონიოდ სტაცებდა ხელს, გაუშლიდა ხელისგულს და უწინასწარმეტყველებდა მომავალს, შემდეგ კი ააფცქვნიდა ხურდას ან სიგარეტს და შემდეგი მსხვერპლის საძიებლად გააგრძელებდა ბოდიალს. ხანდახან ამასაც აეკიდებოდა ხუთეულიდან ერთ-ერთი, ჟღალი და ყრუ კატა იურა. იურას უყვარდა საღამოხანი და ფრიდასთან ერთად ხეტიალი, რადგან ფრიდა ყოველთვის შედიოდა გულიკოს მაღაზიაში, სარდაფს რო ჰგავდა და რამდენიმე იმუბნელის გარდა არავინ იცოდა მისი არსებობა – იმ მაღაზიაში, სადაც სასწორზე თვლემდა მისი მეგობარი, შავ-თეთრი კატა მაქსი, და სადაც ყოველთვის ეგულებოდა კუთხეში მიდგმული ჯამი კატების საკვებით. და ხანდახან აეკიდებოდა იურა ფრიდას, მაგრამ ფრიდას მაინცდამაინც არ უყვარდა ჟღალი კატა იურა: ეგონა, მისტიურ იერს მთლიანად უქარწყლებდა იურა, თავისი სიჟღალით და გაუთავებელი კნავილით და ის კი ავიწყდებოდა ფრიდას, ღამით რო ყველა კატა ნაცრისფერია...

მერე რო მოკვდა, იმის ჩათვლით ხუთნი იყვნენ: დედოფალი, კლარა, ფრიდა, ჟღალი და ყრუ კატა იურა და მერე რო მოკვდა, ეგა. მერერომოკვდა უყვარდა ყველაზე მეტად იურას, რადგან იურა და მერერომოკვდა ყველაზე ბოლოს შემოუერთდნენ ხუთეულს, მანამდე კი, ალაჰმა უწყის, რა თავგადასავლებში გახვეულან ერთად იურა და მერერომოკვდა, ასე რომ, მერერომოკვდასთან არასოდეს იტყუებოდა იურა, როგორც კატები ტყუიან ხოლმე ადამიანებთან და სინამდვილეში კი ფრიად უნდილი და გულქვა არსებანი გახლავან; მერერომოკვდასთან იურა არას-

დროს კნაოდა, არაფერს ითხოვდა, არც კრუტუნებდა და არც თავს უგლასუნებდა, და ის იყო, რაც სინამდვილეში იყო, იმიტომ რო იურა და მერერომოკვდა იმდენ ხანს იცნობდნენ ერთმანეთს, სულაც აღარ იყო საჭირო თავის მოკატუნება და ქლესობა. და ხანდახან მერერომოკვდა და იურა დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს თვალებში და არაფერს ამბობდნენ. იურა უკვე კარგა ხანია გრძნობდა, მერერომოკვდა მერე რო მოკვდებოდა, მალე რო მოკვდებოდა. მერერომოკვდამაც იცოდა ეს, მაგრამ არც გაბოროტებულა, არც დამფრთხალა. დადიოდა გაქონილი პიჯაკით დილა იქნებოდა თუ ღამე, და ხანდახან, როცა გარშემო არავინ ეგულებოდა, კეთილი, ხორხისმიერი, ბუბუნა ხმით მღეროდა რუსულ ჯარისკაცულ სიმღერებს – თავადაც რუსი გახლდათ, თუმცა იმუბნელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ მის ეროვნებაზე და მერერომოკვდა იმ უბანში ყველას ეგონა მუნჯი, რადგან მერერომოკვდა ლაპარაკობდა მხოლოდ მშობლიურ, რუსულ ენაზე, რის გამოც ერთხელ სასიკვდილოდ ცემეს რომელიღაც ზღვისპირა ქალაქში, სახეში წიხლები აზილეს და ოკუპანტი უძახეს, ამიტომ მერერომოკვდამ უარი თქვა ხმის ამოღებაზე, თავი გაასაღა მუნჯად და მხოლოდ მაშინ, როცა გარშემო არავინ იყო, ან საღამოებით ხუთივენი ისხდნენ ძველი იტალიური ეზოს მყუდრო პატარა ოთახში, ამოიღებდა ხოლმე ხმას და მღეროდა ძველ რუსულ ჯარისკაცულ სიმღერებს, თან არაყს წრუპავდა და დედოფალს შეჰყურებდა ნაზად. თავის დედოფალს.

და იყვნენ ხუთნი: მერერომოკვდა, დედოფალი, კლარა, ფრიდა და ჟღალი და ყრუ კატა იურა. იტალიური ეზოს სულ ზედა სართულზე, ერთ ოთახში ცხოვრობდა ყველა და არ ეკარებოდნენ მეზობლებს. არც მეზობლები ეკარებოდნენ ამათ. და ყველას თავისი საქმე ჰქონდა: დედოფალი იხდიდა ბინის ქირას, ფრიდა შოულობდა სიგარეტს და პურს, მერერომოკვდა იქვე, უბანთან მიდგმული მთის კალთებზე დაეხეტებოდა და ტურისტულ ბილიკებზე ეძებდა ტურისტების მიერ დაკარგულ ნივთებს, საფულეებს თუ მობილურ ტელეფონებს, საპიკნიკე ადგილებზე პოულობდა ღრეობას გადარჩენილ ნარჩენ სასმელს ბოთლებში და ერთ ბოთლში გადმოიწურავდა ხოლმე: შაბათ-კვირაობით თითქმის პირამდე ავსებდა ნაირნაირი ალკოჰოლური სასმელით თავის ბოთლს. მობილურებს ჯერ ამოწმებდა, ფოტოგალერეაში შევიდოდა და თუ ბავშვის ფოტოებს ნახავდა, აუცილებლად აბარებდა მობილურს საპატრულო პოლიციას. ათვალიერებდა ფოტოებს და უპოვარი ადამიანის უტყუარი და გამძაფრებული ალღოთი ხვდებოდა, რომელი მობილური წაეღო ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ნაცნობ გადამყიდველთან და რომელი ჩაებარებინა პატრულისთვის. დაეხეტებოდა ასე ტყეებში, არაყს წრუპავდა, აგროვებდა სამყაროს მიერ მისთვის მოგდებულ ნამცეცებს და ფრთხილად მღეროდა რუსულ ჯარისკაცულ სიმღერებს, ჟღალი და ყრუ კატა იურა კი წინ მიუძღოდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რადგან ხანდახან ტყეში მაწანწალა ძაღლების ჯგუფიც გამოჩნდებოდა ხოლმე, ამათსავით, სარჩობელაზედ გამოსულნი...

ფერად და კაფანდარა კლარას არაფერი მოჰქონდა სახლში, სიყვარულით თავდავიწყებულს ზურგი ექცია ყოველგვარი მერკანტილურისთვის და სომბრეროიან რომეოსთან ერთად იჯდა ეკლესიის ბაღში, ან ეკლესიაში იდგა გაყურსული, კავალერთან ხელჩაკიდებული, რელიგიის და ნაგვიანევი, წმინდა ვნების ბანგში გახვეული და თვალაციმციმებული....

საღამოს ყველა ერთად წვებოდა დიდ ტახტზე. გაშიშვლდებოდნენ, შუაში თავიანთ კაცს, მერერომოკვდას ჩა-

იწვენდნენ და მათ სიშიშვლეში და სიახლოვეში არ იყო მისხალიც სიბილწისა და გარყვნილებისა. და უყურებდნენ პატარა ტელევიზორს, ფრიდას მოტანილ სიგარეტს აბოლებდნენ და მერერომოკვდას ნაშოვნ დასალევს წრუპავდნენ, შემდეგ კი, ალკოჰოლით გამხიარულებულნი, საუბრობდნენ და ხითხითებდნენ იმ ონავარი ბავშვებივით, რო არ ეძინებათ და ძალით ჩააწვინეს ლოგინში, და იყვნენ ბავშვივით ლაღნი და ბედნიერნი.

და იყვნენ ხუთნი. სანამ მერერომოკვდა ღვიძლის დაშლით არ მოკვდებოდა. სანამ არ წამოაწვენდნენ მარტოს და მკვდარს იმ ტახტზე, ხუთივეს რო ერთად ეძინათ. ხუთიდან სამნი წავიდნენ კუბოს საშოვნელად: დედოფალი, ფერადი ჩიტი კლარა და ჯადოქარი ფრიდა. ჟღალი და ყრუ კატა იურა კი ჭირისუფლად დაუტოვეს მერერომოკვდას. მივიდნენ მეკუბოვესთან, რომელიც ჭერამდე ახორავებულ, სხვადასხვა ზომის კუბოებს შორის მაგიდასთან იჯდა და რაღაცას ანგარიშობდა. თვალი აარიდეს სულ პატარა, კოხტა კუბოებს და მეკუბოვეს მოახსენეს, რო მერერომოკვდა აღარ სუნთქავდა და ოთახში, ტახტზე იწვა მკვდარი, და მისთვის ჭირდებოდათ ყველაზე იაფი და სადა კუბო. მეკუბოვემ ქაღალდებიდან თავაუწევლად უთხრა კუბოს ფასი და ქალებს ცრემლი მოადგათ თვალზე. შემდეგ ხუთეულიდან ერთმა, ჯადოქარმა ფრიდამ მეკუბოვეს ცხვირთან გაუფშიკა თავისი ქათმისფეხა ხელი, ზედ ახუნძლული ბეჭდებით და შესთავაზა, რომელი ბეჭედიც უნდოდა, აეღო კუბოს ფასში. თუნდაც ორი ბეჭედი. ან თუნდაც ყველა. მეკუბოვემ ახლაღა შეათვალიერა ხუთეულიდან სამი. შემდეგ ბეჭდებს გადახედა და გაეცინა. იჯდა ასე, ჭერამდე ახორავებულ კუბოებს შორის სკამზე გადაწოლილი და ხარხარებდა სულმოუთქმელად, წინ კიდევ სამი თავჩაღუნული, ხანშიშესული ქალი ედგა... კლარას სატრფომ, სომბრეროიანმა რომეომ უშოვათ საიდანღაც კუბო და ადგილი მიყრუებულ სასაფლაოზე.

და იყვნენ ხუთნი. სამი ქალი სკამებზე ისხდა მიცვალებულის წინ. ჟღალი კატა იურა ფეხებთან ეწვა მკვდარს და ტერფებს უთბობდა, როგორც ადრე, სანამ ამ სახლს შემოეფარებოდნენ, როცა ისა და კაცი მხოლოდ ორნი იყვნენ და ძალიან სციოდათ. ისხდნენ სკამებზე ჩუმად და შეჰყურებდნენ ღია კარს, მაგრამ არც ერთი ჭირისუფალი არ შესულა მათ ბინაში. საღამოხანს შემოვიდა მარტო ერთი, წესისამებრ წრე დაარტყა მიცვალებულს, ერთხანს მორიდებით იდგა და ფეხს ინაცვლებდა და ბოლოს ჩუმად თქვა: – ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ბინა უნდა დაცალოთ, სახლს მყიდველი გამოუჩნდა, ამ თვის ქირას კი არ გამოგართმევთ...

არც ერთს ეცვა ძაძები და არავინ კითხულობდა ფსალმუნებს. კუბოს ალბათ ხვალ მოიტანდა მანქანით რომეო. გვიან ღამით, შეთანხმებულებივით, უხმოდ გაიხადეს ტანზე, თავიანთ მკვდარ კაცს მიუწვნენ და საბანი წაიფარეს.

და იყვნენ ხუთნი და ელოდნენ დილას.

ნატო ფირცხალავა

დებიუტი ანუ ორი არაბესკა

„ცხოვრება სპექტაკლია! და მნიშვნელოვანი ის კი არაა, რამდენი ხანი გაგრძელდება, რამედ იქნება თუ არა აპლოდისმენტები ბოლოს.“

ხელოვანის ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს რაღაც განსაკუთრებული მოტივი, ერთმანეთს გადახლართულ არაბესკებში დამალული. სწორედ ესაა მისი საიდუმლოება. ხასიათი კი იმ ადამიანის ჯილდოა, ვისაც ცხოვრება ასარჩევად არასდროს არაფერს სთავაზობს.

სარეპეტიციო დარბაზიდან მარტო გამოვედი, უკვე დაღამებულიყო. შემოდგომა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. შემცივდა, მაგრამ მესიამოვნა და ჩემი სუნთქვა ღამის სუსხიან ჰაერს შეერია. გზა ფეხით განვაგრძე, ჩემი სახლი ჯერ კიდევ შორს იყო. ტრანსპორტის ლოდინს ჯობდა, ფეხით გავყოლოდი გზას. ფიქრებში გართულს ხან რეპეტიციის დროს განცდილი უსიამოვნება მახსენებდა თავს, ხან ჩემი ხასიათი და დაუფიქრებლობის მიზეზი, თუმცა თავს დამნაშავედ არ ვგრძნობდი, რადგან, ვფიქრობდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რომელიც არაფრით ჰგავდა იმ ადამიანის ბრძოლას, სურვილის ასახდენად საკუთარ სიამაყესაც რომ ებრძვის. საბოლოოდ გადავწყვიტე, იქ აღარ დავბრუნებულიყავი, სადაც ჩემს ნიჭსა და თავმოყვარეობას არ უფრთხილდებოდნენ.

სახლამდე ისე მივედი, ვერც კი გავიგე. შეციებულს ცხელი ჩაი მესიამოვნა და სავარძელზე მივწექი. მუსიკა ჩავრთე. დასავლეთევროპულ მუსიკალურ ტრადიციებთან დაკავშირებული ყველაფერი მომწონდა. ამიტომ აშილ

კლოდ დებიუსი ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა ჩემს გემოვნებას და ხშირად ვუსმენდი. დებიუსი, როგორც კომპოზიტორი და როგორც პიროვნება მომწონდა, რადგან მის აზრებს ვიზიარებდი, როგორც მუსიკოსი და როგორც დამწყები კომპოზიტორი. დებიუსის აზრით, კლასიკურ სიმფონიას თავისი შესაძლებლობები ამოწურული ჰქონდა და ალტერნატივას ხედავდა სიმფონიურ ესკიზებში. მეც ვიზიარებდი ამ აზრს და მიხაროდა, რომ თანამოაზრედ ეს კაცი მყავდა, მაგრამ ცუდი იყო რომ, მე არც პარიზში ვცხოვრობდი და არც ეს კაცი იყო ცოცხალი, მაგრამ, ფაქტობრივად, ის თავისი გენიალური ნაწარმოებების გამო მომწონდა. დებიუსის საორკესტრო შედევრს „ფავნის ნაშუადღევის პრელუდია“, ხშირად ვუსმენდი და ვფიქრობდი, ამ სიამოვნების ლაბირინთებში არ დავკარგულიყავი. ერთი ორჯერ ისე გამაფრთხილა ჩემმა ყოფილმა ლექტორმაც – ზედმეტად არ შემეტოპა იქ, საიდანაც ვეღარ გამოვიდოდი.

ვისაც გასაქცევი არსად აქვს და ისღა დარჩენია, უიღბლო ცხოვრებაში თავი ტრაგედიის გმირად წარმოიდგინოს, დაახლოებით ასეთ სურათს ვხატავდი, თუმცა მეორე შინაგანი მე სულ სხვა რამეს ჩამჩიჩინებდა: „შენ შეძლებ და მათზე უკეთესად, გესმის?! მათზე უკეთესად!..“ თუ ვიფიქრებდი, რომ ჩემს სიამაყეს ყველანაირ აბსურდზე მაღლა დგომის ძალა შესწევდა, მაშინ საკუთარ აბსურდულობაზე მაღლა დგომაც ხომ შემეძლო...

ისე ჩამეძინა, ვერ გავიგე. სიზმრად საინტერესო სამყაროში აღმოვჩნდი, უფრო სწორად – იქ, სადაც ყველაზე მეტად მინდოდა მოხვედრა. ალბათ, ეს სურვილი თითქოს ყველა ადამიანის ქვეცნობიერში სულდგმულობს. ახლა განშორება უფრო ჩვეულებრივი მოვლენაა, ვიდრე შეხვედრა, რაც უკვე თითქმის სასწაულია. მეც შევხვდი იმ სასწაულს, ყველაზე მეტად რომ ვესწრაფოდი რეალურ ცხოვრებაში. ეს იყო მუსიკა, მისი აღმატებულება მუსიკა და ადამიანი, რომელიც მომწონდა, როგორც კომპოზიტორი და შემოქმედი. რაღაც საერთო, ალბათ, იყო ჩვენ შორის – ცხოვრებისეული წინააღმდეგობები და პიროვნული თავისუფლება.

მოკრძალებული მატერიალური შესაძლებლობებისა და არამუსიკალური მისწრაფებების ხუთშვილიან ოჯახში დაბადებული კლოდი მეტად ნიჭიერი ყმაწვილი აღმოჩნდა, რომ ათი წლისა პარიზის კონსერვატორიაში ჩარიცხულოყო. მე?! მე ვინ ვიყავი მასთან შედარებით, თუმცა მეც შევძელი რაღაც – ათი წლისა მეც ნიჭიერთა ათწლწდში ჩავირიცხე. დედას ჩემმა პედაგოგმა უთხრა, რომ არტისტული და ტემპერამენტიანი ვიყავი და სადირიჟორო კლასში ჩემი სწავლის გაგრძელება უპრიანი იქნებოდა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ კონსერვატორიაში საკომპოზიტორო კლასში მოვხვდი და ორივე საქმეს ვეჭიდებოდი. ბევრი რამ არ მესმოდა, უფრო სწორად ჩემებურად მესმოდა. ამიტომ არ ვემორჩილებოდი ხშირად დადგენილ წესებს. არც ის მომწონდა, რაც ყველას, ამიტომ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი, მაგრამ ვცდილობდი, ისე მომეწყო ყველაფერი, ზედმეტი ტკივილი არ მიმეყენებინა საკუთარი თავისთვის და მშობლებისთვის. ახლაც სიზმრად ვიყავი იქ და იმ სამყაროში, სადაც მეცხრე ცაზე ყოფნის გამამართლებელი არგუმენტებიც მქონდა. მე შევხვდი კაცს, ვის გაცნობაზეც ოცნებობდი მთელი ცხოვრება...

რა ვნახე სიზმარში?

პარიზის ერთ–ერთ კაფეში პატარა მრგვალ მაგიდას ვუსხედით მე და ის. რა საოცარია, გენიალური ფრანგი კომპოზიტორი აშილ კლოდ დებიუსი და მე – მოკრძალებული ქართველი ემიგრანტი... ეს ის დრო არ არის, როცა პარიზში დუღს შემოქმედებითი ცხოვრება და

ახალ ასპარეზზე გამოდიან ნიჭიერი მუსიკოსები, მხატვრები, რეჟისორები...

ღმერთო ჩემო! ეს ხომ სასწაულია, აღმომხდა მე ფანჯრის მეორე მხრიდან, საიდანაც ამ სცენას ვუყურებდი. მე ვიჯექი დებიუსისთან ერთად მაგიდასთან და ამავე დროს ჩემი მეორე „მე“ ფანჯრიდან უყურებდა საკუთარ თავს. როგორ მიხდება ეს სამოსი! – ჩავიჩურჩულე და მთელი ჩემი გარეგნობა გულმოდგინედ დავათვალიერე. გახამებული თეთრი პერანგის საყელოს შავი ფარჩის ბაფთა მიმშვენებდა, პიჯაკის შიგნით რუხი ხავერდის ჟილეტი მეცვა, რომლის ჯიბეშიც ბაბუას ნაჩუქარი საათი მედო. საათი მსხვილ ჯაჭვზე იყო ჩამოკიდებული. მეცვა კოსტიუმი, მუქი რუხი ფერის ხავერდოვანი დრაფის ქსოვილით შეკერილი და ეს სამოსი ჩემს გარეგნობას ძალზე უხდებოდა. დაძაბული სმენა მივაპყარი იმ ორს ანუ „ჩვენ“, რაზე საუბრობდნენ უნდა გამეგო. მაქსიმალურად დავძაბე სმენა.

– იცით მისიე, ჩემი ცხოვრება ბოჰემური იყო, – დაიწყო კლოდმა, – როცა თვარამეტი წლისა რუსეთში ჩავედი და ქალბატონ ნადეჟდა ფონ მეკის პატარა ქალიშვილის, სონიჩკას მუსიკის პედაგოგი გავხდი. მივხვდი, რომ ისე აღარ უნდა მეცხოვრა, როგორც წინათ. იცით, ცხოვრება გარკვეულ გამოცდილებას გვაძლევს, – ჩაეღიმა კლოდს და კითხვა შემომიბრუნა, – თქვენ?! საინად ხართ?

– საქართველოდან მისიე, – მივაგებე სიტყვა.

– არ ვიცნობ ამ ქვეყანას, მაგრამ გამიგია, რომ ლამაზია, სადღაც რუსეთის ახლოსაა, არა?

– რუსეთის ახლოს არა, მისიე, საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზეა, კავკასიაში მდებარეობს; მსგავსი სილამაზის ქვეყანა, ალბათ, არც კი გექნებათ ნანახი.

– სიამოვნებით ვიმოგზაურებდი.

– ჩამობრძანდით, საქართველოში ნიჭიერი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

– იცით, – ისევ განაგრძო კლოდმა საუბარი. – როცა მედიჩის ვილაში ვიყავი, ატმოსფერო სულისშემხუთველი აღმოჩნდა ჩემთვის, საზოგადოებაზე აღარაფერს ვამბობ, საჭმელი ცუდი, საცხოვრებელი პირობები – ამაზრზენი, არ გირჩევთ თქვენც ჩემ დღეში ჩავარდეთ მისიე, თვალი გაახილეთ, თქვენ უფრო მეტს იმსახურებთ, ვიდრე ისინი ფიქრობენ, ამიტომ ნუ დაეთანხმებით და გასწიეთ წინ.

– იცით ვერდი და დონიცეტი ჩემი გემოვნების ოპერები არ არის, ამის გამო მკიცხავენ კიდეც, მაგრამ მე ჩემი აზრი მაქვს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– მე? – დავიბენი, – ვერდი? ვერდი როგორ შეიძლება არ მოგწონდეს, მაგარამ მე ხომ დებიუსის აზრებს ვიზიარებ. დიახ მისიე, – მივუგე ორაზროვნად.

გაოცებული ვარ ჩემი თავით და იმ გარემოებით, რომელშიც როგორ მოვხვდი, არ ვიცი. პატარა პარიზული კაფეს კედელებს იმპრესიონისტების ნახატები ამშვენებს. ეს კლოდ მონეა, მგონი, ეს დეგაა, იქით პისაროს ნახატი „აყვავებული ბაღი“ ჰკიდია. ღმერთო, ეს ყველაფერი ხომ ილუსტრაციების სახით მაქვს ნანახი, ახლა კი უშუალოდ ვხედავ. ნუთუ მართალია ეს ყველაფერი?! რა სილამაზეა, გონებაში ჩემს აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, რადგან არ მინდა, აღელვება და აღფრთოვანება სახეზე გამომეხატოს.

– იცით? ვაგნერი ყოველთვის მომწონდა, – ვეუბნები მე დებიუსის და უხერხულად ვიღიმები, – თუმცა თქვენი საორკესტრო ნაწარმოები „ფავნის ნაშუადღევის პრელუდია“ საოცრებაა.

– ვაგნერი დიდებულია! – ამბობს დებიუსი. – იცით? ვაგნერი იყო ულამაზესი დაისი, რომელიც განთიადში შეეშალათ. მინდა, ასეთი რამ მეც შევქმნა, ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია,

მაგრამ... – ისევ უხერხულად ვიღიმები და ამ უხერხულობის დასამალავად საათს ვიღებ ჯიბიდან. მინდა დავხედო, თუმცა არც კი მაინტერესებს, რომელი საათია ან რატომ უნდა მაინტერესებდეს, მე მთლიანად მოხიბლული ვარ ჩემი ახლანდელი მდგომარეობით.

სიჩუმე ჩამოვარდა ჩვენ შორის, თუმცა კაფეში მსუბუქი მუსიკის ჰანგები ისმის. სიჩუმე კლოდმა დაარღვია:

– იცით, მისიე, მინდა, თქვენ უდირიჟოროთ ჩემს საორკესტრო ნაწარმოებს „ზღვა“.

– მე?! – გავიკვირვე და სიხარულისგან სკამიდან წამოვხტი. – ეს ხომ არ შეიძლება, ამ ნაწარმოებს ისეთი მაესტრო დირიჟორობდა, მე როგორ უნდა შევძლო!

– შეძლებთ, მისიე, შეძლებთ! მომენდეთ. ეს იქნება თქვენი დებიუტი.

მე მივხვდი, რომ დებიუსი თავის გენიალურობაში იყო ჩაკეტილი, მე კი – ჩემს სიზმრისეულ სამყაროში.

– თანახმა ვარ, ჩემო ბატონო, ყველაფერზე თანახმა ვარ, თქვენ განკარგულებაში მიგულეთ.

ფანჯარაში გავიხედე ღრუბლების ნაფლეთბს შორის საოცრად ლურჯი ცა ჩანდა.

– ნეტა არასოდეს დასრულდებოდეს ეს ყოველივე. ნეტა მართლა შევძლებ?! საკუთარ თავს კითხვას კითხვაზე ვუსვამდი და ჩემი გამბედაობის მიკვირდა...

კაფეში ლამაზი, ამაყი ქალი შემოვიდა და ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა. კლოდი მის დანახვაზე ფეხზე წამოდგა. მეც წამოვხტი.

– კლოდ, ვინ არის ეს ახალაგაზრდა მამაკაცი! – შეეკითხა ქალი კლოდს და ჩემკენ მოაპყრო მზერა. ეს იყო ემა ბარდაკი, კლოდ დებიუსის მეუღლე. მშვენიერ ლედის საოცრად ნატიფი ნაკვთები ჰქონდა. მე ხელზე ვემბორე და სკამი გამოვწიე, რომ დაბრძანებულიყო. ყველანი დავსხედით. კლოდმა მეუღლეს გადახედა და დაიწყო:

– ემა, ეს ქართველი დირიჟორია, ნიჭიერი კაცი, რომელსაც ჩემი ნაწარმოების დირიჟორობას ვანდობ. გონიერია, თან, მგონი, ჩვენი აზრებიც ერთმანეთს ემთხვევა. ხომ იცი, როგორ მსიამოვნებს თანამოაზრეებთან საუბარი და თანამშრომლობა.

ემას გაეღიმა და თავი დაუკრა. მე, მინდოდა, ჩემი სტატუსი დამეკონკრეტებინა, რომ, გარდა დირიჟორობისა, მუსიკის წერაც შემეძლო, თუმცა შემრცხვა და კლოდის სიტყვებს უხერხული ღიმილი შევაგებე.

– იცით, ჩვენ ინგლისში მივემგზავრებით, ამიტომ დასთანხმდით, მისიე, ამ შემოთავაზებას, კლოდი არც ისე გულუხვია, – მითხრა ქალბატონმა.

სიხარულით გაცისკროვნებულ საკუთარ თავს ფანჯრიდან ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ ეს საოცარი სურათი ჩემს ცხოვრებაში არარეალური, სიზმრისეული იყო, მაგრამ მე ვიყავი ბედნიერი სულით ხორცამდე და მიხაროდა. მინდოდა, ეს ყოველივე არასოდეს დასრულებულიყო.

თითქოს გარემო ნელ-ნელა ბურუსში ეხვეოდა, ნისლმა დაფარა ირგვლივ ყოველივე, ვერაფერს ვხედავდი, ვიჯექი გაუნძრევლად, არ მინდოდა გარეთ გასვლა, ყურში კლოდის სიტყვები მესმოდა: „იფიქრეთ, მისიე, ჩემს შემოთავაზე!..“

დილის ცხრა საათზე გამეღვიძა, უფრო სწორად სიცივემ გამაღვიძა. პლედი არ მეფარა, როცა სავარძელზე მივწექი და მთელი ღამის სასიამოვნო ეიფორიაში ვიყავი. აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. ნუთუ ეს იყო სასწაული, ჩემი შემოქმედების საინტერესო დასაწყისის მინიშნება, მინიშნება იმისა, რომ ყველაფერს შევძლებდი. ეჰ, – ამოვიოხრე და სამზარეულოში გავედი. ჩაი მივირთვი ორცხობილასთან ერთად. უკვე დროა, გამოვფხიზლდე და საკუთარი შესაძლებლობები დავაფასო, – ვუთ-

ხარი საკუთარ თავს და წასასვლელად გავემზადე.

ქუჩაში გამოვედი, სუსხიანი დღე იყო და მინდოდა, ამ სიზმრის შემდეგ აზრი მომეკრიბა. რა იყო ეს: სიზმარი, რომელიც უბრალოდ გაქრა, თუ სიზმარი, რომელიც მიმანიშნებდა, რომ შემეძლო, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა საკუთარი თავი ხელახლა აღმომეჩინა.

თითქოს ჩემს სულსა და სხეულს ახალი სისხლი სჭირდებოდა, ამიტომ უნდა დამეწყო ყველაფერი თავიდან და დამემტკიცებინა ჩემი შესაძლებლობები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ მაფასებდნენ, ჩემს ცოდნას და გამოცდილებას არად აგდებდნენ და კულუარებში დამცინოდნენ კიდეც.

ნაშუადღევს, ბევრი ბოდიალის შემდეგ, რუსთაველზე ერთ-ერთ კაფეში შევედი ყავის დასალევად. კაფე ცარიელი იყო, ოთახის ერთ კუთხეში დავჯექი, თან, ფიქრებში გართული, ტელეფონის ეკრანს წარამარა ვუყურებდი – ხომ არ მირეკავდნენ?! რატომ ველოდი ისტერიკულად ზარს, არ ვიცი ან ვის უნდა დაერეკა, არც ის ვიცოდი, მაგრამ მაინც ველოდი. ახლა ნამდვილად არავინ დამირეკავდა, რადგან ჩემი ბოლო შეხვედრა კოლეგებთან უსიამოვნოდ დასრულდა.

ყავა დავლიე. წასასვლელად გავემზადე. კაფეში ახალგაზრდა ქალი და შუა ხნის უცხოელი კაცი შემოვიდნენ. კაცი საკმაოდ სიმპათიური იყო, თეთრი წვერი კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი. ჩემ გვერდით მაგიდას მიუსხდნენ. მეც უნებურად დავჯექი და ისევ ყავა მოვითხოვე. არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა, რომ დავრჩენილიყავი. ისინი ინგლისურად საუბრობდნენ. ინგლისური კარგად ვიცოდი დეიდას წყალობით. ჩემდა უნებურად, მესმოდა მათი საუბარი და ისეთი გაფაციცებით ვუსმენდი, არ მინდოდა რაიმე გამომრჩენოდა. როცა კარგად დავაკვირდი იმ ახალგაზრდა ქალბატონს, ემა ბარდაკს მივამგვანე. „ღმერთო ჩემო!“ – ჩავილაპარაკე ჩემთვის და ისევ შევხედე. ქართველი ქალი და ემა? მაგრამ მსგავსება მართლაც იყო, უბრალოდ იმ განსხვავებით, რომ ემა ბარდაკი კლოდ დებიუსის მეუღლე იყო, ეს ახალგაზრდა ქალი კი – თარჯიმანი. კაფეში კიდევ ორი ქალბატონი შემოვიდა. ისინიც იმ მაგიდას მიუსხდნენ, სადაც ის ქალი და კაცი ისხდნენ. შემოსულებმა ინგლისური არ იცოდნენ და თარჯიმანი ჩაერთო საუბარში. მთავარი თემა მუსიკა იყო. ჩემი ცუდი საქციელი, რომ მათ საუბარს ჩემდაუნებურად ვაყურადებდი, არ მომწონდა, მაგრამ მინდოდა, ზუსტად გამეგო რაზე საუბრობდნენ. როგორც გავარკვიე, კაცი – პარიზის კონსერვატორიის პედაგოგი – საქართველოში ნიჭიერი ახალგაზრდების შესარჩევად ჩამოვიდა. ჩემი თავმდაბლობა გვერდზე გადავდე და თარჯიმან ქალს ვკითხე: „როგორ ფიქრობთ, გეთაყვა, თქვენი სტუმარი დაინტერესდება ისეთი მუსიკოსით, რომელიც დირიჟორიც არის და მუსიკასაც წერს?“

თარჯიმანს გაუკვირდა ჩემი ასეთი, ცოტა არ იყოს, თავხედური ჟესტი, მაგრამ კაცმა იკითხა, რა ვთქვი და, თარჯიმანი რომ არ შემეწუხებინა, თვითონვე მოვახსენე ყველაფერი.

კაცი გაიბადრა:

– მისიე, შემოგვიერთდით, – მითხრა და სკამიდან წამოდგა...

მერე მოხდა ის, რაც დებიუსიმ სიზმარში მითხრა. ეს იყო სასწაული თუ ეიფორია, არ ვიცი. ნოემბრის სუსხიანი ბოლო დღის სასწაული ჩემი ცხოვრების საინტერესო დასაწყისად იქცა...

დეკემბრის ბოლოს პარიზში აღმოვჩნდი – საახალწლო კონცერტზე, რომელიც „შანზელიზეს თეატრში“ იმართებოდა; ამ ქალაქში უნდა მედირიჟორა დიდი კომპოზიტორის ოპერისთვის, როგორიც იყო რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „შობის წინა ღამე“. სიხარულისგან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. ალ-

ბათ, როგორ გავაბრაზე ის ადამიანები, რომლებსაც ჩემზე არასრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდათ. ბატონმა კლოდ დე ლაკლომ, რომელმაც მოისმინა ჩემი პატარა კომპოზიცია „წვიმა“, მალევე გადაწყვიტა, იმ ჯგუფში ვყოფილიყავი, რომელიც პარიზში გაემგზავრებოდა. მე უკვე პროფესიონალი გახლდით, დანარჩენები კი იყვნენ სტუდენტები. სიზმარი, რომელიც დებიუსთან ერთად ვნახე, რეალობა და ჩემი ცხოვრების გაგრძელება აღმოჩნდა.

საინტერესო იყო ისიც, რომ ამ კაცსაც კლოდი ერქვა და ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა გარკვეულ საკითხებზე. ალბათ, დებიუსიმ გამომიგზავნა იგი რელურ ცხოვრებაში, ვფიქრობდი და გული სიხარულით მევსებოდა. კონცერტმა შესანიშნავად ჩაიარა. ბატონი კლოდი კმაყოფილი და ბედნიერი იყო იმ შედეგით, რაც მე ვაჩვენე ფრანგ მუსიკალურ საზოგადოებას. აკი ჩემმა პედაგოგმაც აღნიშნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე, სრულიად ბავშვი ვიყავი, რომ მე არტისტული ტემპერამენტით გამოვირჩეოდი და ახლა აქ პარიზის დიდებულ თეატრში ჩემი შესაძლებლობები მთლიანად გამოვავლინე.

მას შემდეგ მე და ბატონი კლოდი დავმეგობრდით. ჩემი პარიზული ვოიაჟი ევროპის სხვადასხვა ქალაქში გაგრძელდა. გავხდი ემიგრანტი, რომელიც მოსწყდა თავის ქვეყანას ნებსით თუ უნებლიეთ და ის, რასაც ვა-

კეთებდი, ძალზე მსიამოვნებდა, მაგრამ ჩემი დებიუტი ჯერ კიდევ შორს იყო.

საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობდი, არაფერს ვეპუებოდი საიმისოდ, რომ ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომევლინა, თუმცა კრიტიკა თბილმა ინტონაციამ შეცვალა. მე არავის ვეჯიბრებოდი, მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდი მშვიდად და აუჩქარებლად, რაშიც ეს საოცარი ქალაქი ხელს მიწყობდა.

პარიზი ქალაქია, სადაც წვიმიან ამინდშიც კი სასიამოვნო გუნებაზე ხარ, სადაც ყველა კეთილადაა განწყობილი შენდამი, სადაც შეიძლება იპოვო ის, რაზეც მხოლოდ გიოცნებია. ქალაქია თავისი ნეოკლასიკური არქიტექტურით და ნათელი მოგონებებით, ნამდვილი „სინათლის“ ქალაქია. ამასობაში გავიდა წლები...

გაზაფხული საოცარი დროა პარიზში. ამ დროს ქალაქი ანდამატივით იზიდავს ყველას. გაზაფხულზე ჩემი კონცერტი იგეგმება. იგეგმება, სადაც იმ სიზმარში თვითომნ კლოდ დებიუსიმ მიმიწვია. ესე იგი თავის სახლში უფრო სწორად ფოშის გამზირზე ახლა უკვე მის სახლ-მუზეუმში. ჩემი ახალი ნაწარმოები „ორი არაბესკა“, რომელიც დებიუსს მივუძღვენი, ჩემს სადებიუტო ნაწარმოებად იქცა. ალბათ, დიდი კომპოზიტორი გახარებული იქნებოდა, თუმცა რა იყო ეს?! ამ ირიალურ სამყაროში რეალური სხივის არეკვლა, თუ ჩემი შორეული ოცნების ასრულების რეალური შანსი, რომელიც დრომ და გარემოებამ განსაზღვრა?

მუსიკა ერთადერთი საშუალებაა, რომ ბგერების ურთიერთშერწყმით შეძლო ისეთი სასწაული მოახდინო, ადამიანის სულის სიღრმეშიც კი ჩააღწიო და შეეხო სიმს, რომელიც შეიძლება არასოდეს შეირხეს. მე მომეცა საშუალება დამეწერა მუსიკა, რომელსაც ისე გადმოვცემდი, როგორც ერთმანეთში გადახლართული ხაზების რთულ ქარგას, რითაც შემკული იყო დიდებული კედლები. ამიტომ ჩემი ნაწარმოების მთავარი თემა ეს იყო და ჩემი ლირიული პიესა ორი არაბესკა“, რომელიც, ბატონი კლოდის აზრით, კონკრეტულად, დამაჯერებლად გამოხატავდა ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და გრძნობებთან დაკავშირებულ განზოგადებულ იდეებს. ეს ნაწარმოები სრულიად აკმაყოფილებდა კლოდის გემოვნებას და ფიქრობდა, რომ მსმენელიც ასე მიიღებდა. სიხარულით ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი. უცხო ქვეყანაში ორმოცი წლის ხელოვანისთვის ასეთი შეფასება ნამდვილად ბევრის მთქმელი იყო და ვფიქრობდი, რომ ეს სტიმული კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების გზას მიხსნიდა, რაც შინაგანად მაბედნიერებდა.

აშილ კლოდ დებიუსის სახლ-მუზეუმი ფოშის გამზირზე სავსეა მოწვეული სტუმრებით. ჩემს მღელვარებას ვერ გადმოვცემ, თითქოს საკუთარი გულისცემა მესმის, თითქოს ყურებში დებიუსის ხმა ჩამესმის: „შენ ყველაფერი შეძელი, ჩემო მეგობარო!“ თავს ვიმშვიდებ და მიხარია, რომ ჩემი მუსიკის მოსასმენად დარბაზი სავსეა. ჩემს სადებიუტო ნაწარმოებს ასრულებს პარიზის კონსერვატორიის ორკესტრი, დირიჟორი თავად ვარ. დარბაზში დიდი კომპოზიტორის შესანიშნავი პორტრეტი ჰკიდია და იგი პირდაპირ მე მიყურებს. თითქოს ადრინდელ სიზმარს ვიხსენებ, უფრო სწორად მინდა დეტალურად გავიხსენო, თუმცა პორტრეტი ისეთი დიდია და კომპოზიტორის მზერაც ისეთი გამჭოლი, რომ ვგრძნობ მის კმაყოფილ გამომეტყველაებას. ბატონი კლოდ დე ლაკლოს დამსახურებაა ჩემი კომპოზიტორის რანგში ყოფნა და, ალბათ, ყველაზე იღბლიანი ქართველი ვარ, ვისაც ასეთი პატივი ერგო. ახლა ვგრძნობ, რას ნიშნავს სულისა და სხეულის ჰარმონია.

მუსიკა დასრულდა და აპლოდის-

მენტებმა გამომაფხიზლა, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სადღაც ზეცაში ვფრენ გამალებით და ღრუბლების მსუბუქი ფენა სხეულზე მეხვევა. ალბათ, ამ ყველაფრისთვის ღირდა სიცოცხლე.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მუსიკა გულის გამაწვრილებელი წვიმისას თავშესაფარია და ჩუმ აღფრთოვანებას გგვრის ავტობუსის მონოტონურ ჩაქჩაქში, ეს ის სიამოვნებაა, რომელიც გაგრძნობინებს შენში მივიწყებულ ემოციას. ყურსასმენში ჩემი სადებიუტო ნაწარმოების „ორი არაბესკის“ მუსიკა ისმის, აკორდი აკორდს მიჰყვება და ამ ფერადი რიტმის მონაცვლეობას ჰარმონიულად ცვლის საკრავების ხმა, რომელიც თითქოს ნაზად ეხება სხეულის ყველა სიმს და თვალებში ნათელი ფერების ფოიერვერკი ნათდება. მე დავიჯერე, რომ ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, კანონზომიერია, და თუ ადამიანი თავს არ მოიტყუებს, მიხვდება, რომ შესაძლებლობები უსაზღვროა, ამოუწურავი და მაშინ ამქვეყნად არსებობის მისია შესრულებულია. მე ისიც დავიჯერე, რომ მონათესავე სულები თუნდაც ირეალურ სამყაროში არსებობენ და მათთან მუდმივი კავშირი გვაქვს. აბა, რა არის, თუ არა ჩემი ირეალური შეხვედრა აშილ კლოდ დებიუსისთან, რომელიც ჩემი მონათესავე სული აღმოჩნდა?

ოცდაათი წლის შემდეგ ჩემს ქვეყანაში ჩემს პირველ კონცერტს უნდა ვუდირიჟორო. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა და ის, რაც გავაკეთე სიყვარულით გავაკეთე, ბატონი კლოდი ჩემს გვერდითაა, ვღელავ და სულაც არ მინდა ეს მღელვარება ჩერმმა კოლეგებმა შემამჩნიონ, კონცერტის წინ საგრიმიოროში ძველი ნაცნობი შემოდის და მეუბნება, ჩემო მეგობარო, „ცხოვრება იმითაა საინტერესო, რომ ერთ დღეს შეიძლება ყველა სიზმარი ახდეს“ (პაოლო კოელიო).

დარბაზი სავსეა დამსწრე საზოგადოებით, იქ ისეთებიც არიან, რომლებმაც თავის დროზე არ დაიჯერეს ჩემი შესაძლებლობანი. ახლა ყველაზე კარგი დროა ამის დასამტკიცებლად. მე იძულებით არ მიცხოვრია, დებიუსის შემოქმედების სიძლიერემ მაჩვენა გზა, რომელიც გავიარე. თითქოს ვხედავ დარბაზის ლოჟაში კლოდი და ემა, დაკვირვებით ათვალიერებს კლოდი საზოგადოებას, კმაყოფილება მის სახეზე აისახება. ახლა ჩემი გონება ბურუსშია გახვეული. სრული სიჩუმეა დარბაზში, სადირიჟორო პულტთან ვდგავარ და ორკესტრი ჩემს ნიშანს ელოდება...

დასრულდა კონცერტი. დარბაზი მუსიკის საოცარი ჰანგების საღებავებით შეიღება, ფერების სიუხვეს ვხედავ, თითქოს ფერები თვალისმომჭრელ ბურთებს ხატავენ, თვალები მიჭრელდება...

მქუხარე აპლოდისმენტები ისმის დარბაზში და მე თავს ვხრი მოკრძალებით. ეს დიდებული შეგრძნებაა. თავს ვწევ ზევით და დებიუსის ღიმილიანი სახე ჩემს სახეს აშტერდება. მეუბნება: „შენ გაიმარჯვე, ჩემო მეგობარო! ვამაყობ შენით, ეს დიდებულია“... დარბაზში ვხედავ ადამიანთა სხავადასხვა ჯგუფს: მოკრძალებულთაც და ამპარატავანთაც, გონიერ ადამიანებსაც და კეთილგანწყობილებსაც, ფუქსავატებსაც და პატივმოყვარეთაც, გულჩათხრობილთაც და შურიანებსაც, რა თქმა უნდა, კეთილშობილთაც და მაინც ისინი ხომ ყველა ადამიანები არიან.

მუსიკა, რომელიც ჟღერს ჰარმონიულად, ერწყმის ფორმათა უსასრულო მოხატულობას, რომელიც გრძელდება წარმოსახვითი სამყაროს ჩარჩოს მიღმა.

ეს ის მუსიკაა, რომელიც სულის სიღრმეში აღწევს და ორი არაბესკის ჰარმონიულ გადახლართვას უერთდება. ეს ის მუსიკაა, რომელიც დარჩება ჩემ შემდეგაც და მერეც, როცა ჩემი სული სადღაც შორეული ღრუბლების არაბესკებს შეუერთდება.



ნინო დარბაისელი-სტრონი

ხმა ახალი ადამიანისა
(მანანა დოიაშვილის მონოდრამა „ვია დოლოროზას“ შესახებ და გამო)

ვია დოლოროზა – ახალი ადამიანის ხმა, ასე ჰქვია მანანა დოიაშვილის ახალ მონოდრამას და ვიდრე უშუალოდ ნაწარმოების შესახებ ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, ჯერ სათაურსა და ამ ნაწარმოების ჟანრულ თავისებურებაზე ვისაუბროთ.

ტერმინი მონოდრამა ქართულად, ჩვეულებრივ, ნიშნავს ერთი მოქმედი პირისთვის შექმნილ დრამატულ ნაწარმოებს. ჩემი ფიქრით, იგი უახლოვდება ჩვენს პოეტიზებულ ტრადიციას – „ერთი მსახიობის თეატრისა“. ევროპულსა და ზოგადად, მასზე დაყრდნობილ ლიტერატურათმცოდნეობით სკოლებში კი ეს ტერმინი სამი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. იგი მიერმართება პოეზიასაც, პროზასაც, დრამასაც. სამივეს გამჭოლი ნიშანია ტექსტში წარმოდგენილი სიტუაციის სიმძაფრე, დრამატულობა და ერთი მეტყველი პერსონა.

მანანა დოიაშვილის მონოდრამა მიეკუთვნება „ტექსტს თეატრალური პრეზენტაციისათვის“, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი ლექსი დღეს პოეზიის პრევალირებული ფორმაა, ხოლო განსახილველი ტექსტის მთელი პასაჟები ასტროფოიდული პოეზიის გამოკვეთილ ნიშნებს ატარებს, ახასიათებს რიტმულ – ინტონაციურ პარალელიზმები, სხვადასხვა დონის გამეორებანი, სიმეტრია და ა.შ. შეიძლებოდა გვესაუბრა იმაზეც, რომ ჩვენს წინაშე არის ცდა მონოდრამის ორი სახეობის – პოეზიისა და პროზის შერწყმისა, როგორც მაგალითად ამ მონაკვეთში:

„საიმონს ვუტოვებ ნიჩაბს, რომ თავის შვილს მიწა თვითონვე მიაყაროს; ჩემოდანს, სავსეს ჩემი კაბებით; ჩემი უსაყვარლესი ადამიანის ნეშტს, ტელეფონით და ამ ჩემთვის წმინდა წერილს, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი – მთელი ჩემი გზა – თოთხმეტივე გაჩერება – შენი სიკვდილიდან

– დღემდე...“

თუ წარმოდგენილ ციტატას პროზის საზომებით მივუდგებით, უნდა ვთქვათ, რომ ეს – დეფექტური, ტავტოლოგიური პროზაა, სავსე – მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციებით. მე შორსა ვარ იმ ინტენციისგან, რომ იმაზე მეტი დავაძალო გასახილველ ტექსტს, ვიდრე მასშია ჩადებული. მაგრამ ეს იმდენად აშკარა ტენდენციაა, რომ, ვფიქრობ, აღუნიშნავად არ უნდა გამეტარებინა.

რას გვეუბნება ტექსტის სათაური?

ვია დოლოროზა – ასე იწოდება მაცხოვრის ბოლო გზა, რომელიც თოთხმეტი შეჩერებისგან თუ ცად ამაღლებამდე თოთხმეტი საფეხურისგან შედგება. ამდენივეს დამატებული ერთი საფეხური აქვს გავლილი წინამდებარე მონოდრამის აქტორ ქალსაც და რამე რომ არ გამორჩეს, ყოველივე ფურცელზეც აქვს ჩამოწერილი და ეს არ არის უბრალოდ მოქმედებათა თანმიმდევრობა. აქ შეჩერებათა შორის გრადაციული მიმარებაა, ანუ ყოველი მომდევნო სვლა – ზეაღსვლაა კულმინაციისაკენ. რომელსაც დამატებითი, მეთხუთმეტე საფეხური აგვირგვინებს. ამის შესახებ ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ.

კვლავ ვია დელოროზას ტრადიციაზე – გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ სინამდვილეში ამას საკუთრივ წმინდა წერილი, ბიბლია, არ იცნობს და ეს – შემდგომი საუკუნეების ტრადიციისმიერი ზედნაშენია, რომელიც პარასკეობის რიტუალურ სვლად დღემდე აღესრულება კათილიკური და აღმოსავლეთ ევროპის ორთოდოქსული ეკლესიის მიერ, განსხვავებული სიხშირეებით. იგი შუასაუკუნებრივსა და გვიანდელი პერიოდის ვიზუალურ ხელოვნებაშიც ფართოდ აისახა, უფრო მოგვიანებით არაერთი მუსიკალური ნაწარმოებიც მიეძღვნა, ევროპული ლიტერატურის თემაც არაერთხელ გამხდარა და სხვათა შორის, ძველ იერუსალიმში აწყობილ თანამედროვე ტურისტულ ბიზნესშიც აქტიურად, დიდი წარმატებით იყენებენ.

რაკი ჩვენი ინტერესის საგანი ამჯერად მხოლოდ ლიტერატურაა და ისიც – მისი კონკრეტული, თანამედროვე ნიმუში, საქმის გასაადვილებლად მსჯელობის არე, ოპტიმალური ზომის კონტექსტი შემოვწეროთ და დავჯერდეთ იმის თქმას, რომ თანამედროვე თეატრალური ხელოვნება იცნობს ამგვარადვე – „ვია დოლოროზა“ – დასათაურებულ მონოდრამას, რომელიც საკმაო წარმატებით სარგებლობდა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში, ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში. მისი ავტორი და სცენაზე ერთი მსახიობის შოუდ შემსრულებელიც გახლავთ ცნობილი ბრიტანელი დრამატურგი დევიდ ჰეა (David Hare).

პირველივე ფიქრი, რომელიც ასეთ დროს გაუელვებს მკითხველს ალბათ ესაა: სათაური – იგივე, ჟანრი – იგივე... ხომ არა გვაქვს საქმე აქ ჩანაფიქრის დუბლირებასთანაც?

აქ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ ამ ორი მონოდრამის მსგავსება ოდენ გარეგნულ სიბრტყეზე ამოიწურება და თემატიკის სფერომდეც ვერ მიდის. დევიდ ჰეას გახმაურებული ნაწარმოები ეხება ისრაელ – პალესტინის კონფლიქტის ამბებს და სტრუქტურული სქემა, რომელსაც მ.დოიაშვილი იყენებს, მას არ ახასიათებს. (საკითხით დაინტერესებულ, ინგლისურის მცოდნე მკითხველს მისი ვრცელი ფრაგმენტების მოძიება შეუძლია იუტუბზე). მსჯელობისას კონკრეტიკა რომ არ დაგვეკარგოს, ძალიან მოკლედ ამ ქართული მონოდრამის შინაარსს შევეხოთ, ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე უბრალოდ, კონტურულად მოვხაზოთ იგი.

იყო ერთი უშვილო, საშუალო ასაკის (ნეტა ახლა რა იწოდება ასეთ ასაკად? – ნ.დ) ცოლ-ქმარი, ერთი რესპექტაბე-

ლური ოჯახი. ცოლის დაბადების დღეზე უეცრად, უცნობი მიზეზის გამო, მანქანით სადღაც გასული ქმარი დაიღუპა. რაკი ქალს იმ სახლში გაჩერება აღარ შეეძლო, ავეჯიან – ყველაფრიანად გაყიდვა გადაწყვიტა და მყიდველი – მათი ნაცნობი ახალგაზრდა მხატვარი აღმოჩნდა. ქმრის მობილურის დატვალიერებისას, კოდირებული სახელის აღმოჩენისას ქვრივმა წაიკითხა ქმრის სასიყვარულო მესიჯები, რომელთა ადრესატიც არა ვინმე ქალი, არამედ სწორედ ეს ნაცნობი მხატვარი სვიმონ/სიმეონი გამოდგა. ამ ბისექსუალთან (დღესდღეობით ამ სფეროში მომრავლებული თეორიების კვალობაზე, ტერმინი მაინც პირობითად მივიჩნიოთ) თავის ყოფილ ბინაში მისული ქალი ერთჯერადი სექსის შედეგად დაფეხმძიმდა, (თანამედროვე სასიყვარულო სამკუთხედი, – „ლაიფთაიმის“ ტიპის არაერთ ფილმში გამოყენებული მოტივი?), მას ერთადერთი მეგობარი, სამშობიაროში მომუშავე ვერონიკა უვლის თავის სახლში, მაგრამ ნაადრევი აშრევების გამო, ნაყოფი დაეღუპება. ქალი მიდის ქმრის საფლავზე და დარწმუნებული იმაში, რომ ბავშვის მამა იქ აუცილებლად მივა, დაუმარხავ ცხედარსა და წარსულიდან შემორჩენილ ყველაფერს იქ ტოვებს, ხოლო მანამდე – ვია დოლოროზას სქემაზე, წერილობითად ჩამოყალიბებულ საკუთარ თავგადასავალს აცნობს ქმარს.

მკითხველს ბუნებრივად დაებადება კითხვა, შეიძლებოდა თუ არა რაიმე, ამ ტიპის ნაწარმოები უწინდელ, რეცესიული კულტურით შებორკილ საქართველოში დაწერილიყო, თუ მისი გამოჩენა ახლაა სავსებით კანონზომიერი ანუ იგი ახლანდელი დროის პროდუქტია. თუ გავიხსენებთ სათაურშივე დასმულ აქცენტს „ახალი ადამიანის ხმა“. ამ კითხვაზე პასუხი თითქოს არ უნდა გაგვიჭირდეს. ...თუმცა აქ არ შევჩერდებოდი, რადგან, ჩემი ფიქრით, არის აქ კიდევ რაღაც სხვა საფეხური, რასაც მოგვიანებით შევეხები.. თუმცა რატომ მოგვიანებით, რაკი აქ მონოდრამის სავარაუდო ლიტერატურული წყაროების მოგნებას ვცდილობთ და უცხოურს უკვე შევეხეთ, ქართულზეც აქვე ვისაუბროთ.

1970 წელს მერანმა გამოსცა შიო არაგვისპირელის მოთხრობების ერთტომეული, სერგი ჭილაიას წინასიტყვაობით, მასში 1892 წლით დათარიღებული ერთი ნაწარმოებიცაა (გამოქვეყნ. 1895 წ. ჟ. „მოამბის“ მეათე ნომერში) – „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა – ფსიხოლოგიური ეტიუდი“. თავის მხრივ ეს ეტიუდიც, როგორც არაერთი ქმნილება შიო არაგვისპირელისა, გი დე მოპასანის შემოქმედებით არის ინსპირირებული, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა და როგორც მახსოვს, გამოკვლეულიც. ჩვენ ეს რვაგვერდიანი ტექსტი და მასში გადმოცემული ამბავი გავიხსენოთ:

არის ასეთი უჩინო კაცი, ტიტიკო მიყვარაძე, რომელიღაც კანცელარიაში, მწერლად ანუ გადამწერად მუშაობს გაორმაგებული ენერგიით, გვიანობამდე სამსახურშია, რომ ოჯახს არაფერი მოაკლოს. ცოლთან ერთად ქალაქის გარეუბანში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ერთ კვირაში ტუბერკულიოზით გარდაეცვლება ტკბილი და ერთგული ცოლი, სახელად ბათო და მარტო მყოფი, გულმწუხარედ დასტირის მის გაციებულ ცხედარს. აგონდება ის ბედნიერი მომენტები, როცა თავისი ბათო, რომ იტყვიან, ზედ ადნებოდა. ბათოს სითბოსა და სიყვარულის წყალობით ამ უჩინარ კაცს, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, თვითშეფასების კოეფიციენტი გაეზარდა, თავს თანამშრომელთა მხრით ბულინგის ობიექტად აღარ გრძნობდა... უცებ კარზე კაკუნი გაისმა და უცნობმა წერილი მოიტანა ბათოსთვის გადასაცემად. წყვილი კი კარჩაკეტილად ცხოვრობდა,

მაგრამ ბათოს დრო და დრო წერილები მოსდიოდა, ტიტიკოსაც უკითხავდა ზოგჯერ, ეუბნებოდა, დაროს წერილიაო, მაგრამ კაცს არასოდეს გაუვლია გონებაში, რომ შიგ ჩაეხედა და დარწმუნებულიყო, მართლა იმას უკითხავდა თუ არა ბათო, რაც ფურცელზე ეწერა. ახლა კი სასოწარკვეთილმა მოინდომა გარდაცვლილისთვის ამ ერთხელ თვითონ წაეკითხა წერილი, ახლა მე გიამბობ შინაარსს დაროს წერილისაო. აი, კითხულობს ტიტიკო წერილს და რას ხედავს, დაროსი კი არა, ვიღაც ვახტანგის, – ბათოს საყვარლის წერილია, შედგენილი სატრფიალო მიმოწერის სტილის დაცვით, ხვალ, ვიცი, შენი ქმარი სახლში არ იქნება და ძველებურად მოვალო, ამ წერილის წაკითხვის მერე ტიტიკოს „დაჭიმული ძარღვები მოუდუნდა, მოელეშა, ღრმად, ძალიან ღრმად ჩაისუნთქ – ამოისუნთქა ...და თითქოს ამოსუნთქვას ამოაყოლა ყოველივე ის, რაც კი წმინდათაწმინდას შეადგენდა, რაც რწმენა ჰქონდა და სააქაოსთან აკავშირებდაო. ახლა მხოლოდ სიფუღუროვეს, სიცარიელესღა გრძნობდა. სააქაოსი აღარც თავში, აღარც გულში აღარა დარჩენია – რა და საიქიოსი. როგორც ბათოს, აღარა – ეყურებოდა – რა, თუმცა კი ქარი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“.

ჩემი ფიქრით, ყელაზე ახლო ქართული ტექსტი, რომელთანაც მანანა დოიაშვილის მონოდრამას დიალოგური მიმართება აქვს, შიო არაგვისპირელის ეს ნაწარმოები უნდა იყოს.

ნიშანდობლივი მეჩვენება არა მხოლოდ საერთო, ძირითადი კონცეფცია თუ ღერძი, – მეუღლის ერათგულებაში დარწმუნებული ადამიანი მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, წერილით, თანამედროვე პირობებში – მობილურის ტექსტური შეტყობინებით იგებს, რომ მწარედ მოტყუებული აღმოჩნდა... არამედ ის გარემოება, რომ მოღალატე ქალის მრავალსაუკუნოვან მოდელს მონოდრამიდან პაროდიულად ეხმიანება ამჯერად უკვე მოღალატე კაცის მოდელი, რაც აღმოსავლურ კულტურასთან დაკავშირებული ქართული მენტალობისთვის საუკუნეთა მანძილზე ჩვეულებრივ, მიღებულ ამბად მიიჩნეოდა ალბათ. კულტურის ფემინიზაცია კი ჩვენი ახალი რეალობაა.

ამ ახალი რეალობის პირობებში, ამ მონოდრამის მიხედვით, ცოლქმრული ფიცის დამრღვევი კაცი არა მხოლოდ მოღალატედ, არამედ ბისექსუალად არის წარმოდგენილი, ბისექსუალია მისი პარტნიორი მამაკაციც.. ნათქვამია რაღაც ასეთი, – ფროიდის წყალობით, ჭიქასა და მასში ჩადებულ კოვზს შორისაც კი, ადამიანები უკვე სქესობრივ კავშირს ხედავენო. თუ მეტისმეტი არ გამომივა ეს დაშვება, ქალსა და მისი მეგობარს – ვერონიკას შორისაც, შესაძლოა, რეალური თუ არა, პოტენციური ლესბოსური კავშირში ვივარაუდოთ, იმის გათვალისწინებით, რომ 1. ქმარი გამოკვეთილად ეჭვიანობს ცოლის ამ ერთადერთ მეგობარზე ; 2. ქალს, საცხოვრებლად მასთან გადასულს, დაფეხმძიმებულს ვერონიკა ეუბნება, „ისე გააჩინე, არ ვუთხრათ მამამისს, ჩვენ გავზარდოთო“. ლესბოსური წყვილებისთვის ეს მოდელი ტიპობრივია: ერთერთი აჩენს შვილს და შემდგომ ორივე ერთად ზრდის. 3. ხოლო ფინალიდან ვგებულობთ, რომ ქალი – საბოლოოდ ვერონიკასთან რჩება: „ახლა კი უნდა გავიქცე, ვერონიკა მელოდება, ჩემი სკვინჩა, რომელიც დღემდე, როგორც მარადმოყვავილე ვარდს ისე მიყურებს და მუდმივად მრწყავს“ და მომავლის მისეულ პროექტშიც ვერონიკა – ერთადერთი გამოკვეთილი ფიგურაა.

პრინციპში, ტექსტი, გარდა აღნიშნული მომენტებისა, ამ მხრივ, ხელჩასაჭიდს ბევრს არ იძლევა და ეს ყველაფერი, ვიმეორებ, ვარაუდთა სფეროს უფრო მიეკუთვნება.

●

ტექსტში აღნიშნულია, რომ ქალი თავის ქმართან ადრიდანვე რაღაც ფიცითაა შეკრული, აღნიშნულია ისიც, რომ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, იგი უშვებს ცოლქმრულ ღალატს და ასეთ შემთხვევაში საკუთარი ქცევაც კი აქვს წინასწარ განსაზღვრული. ეს რომ ჯვრისწერის ფიცი არაა, მალევე ირკვევა, რადგან ქმარი – სხვა სარწმუნოების წარმომადგენელია. მეტი დაზუსტება მონოდრამაში – არ ხდება. (თუმცა არის მინიშნებანი მაგ. ფეხსაცმელი, რომელმაც მიცვალებული უნდა გაათბოს გრძელ გზაზე), რომ იგი, რომელიღაც წარმართულ კონფესიას უნდა მიეკუთვნებოდეს. ვფიქრობ, მეტი კონკრეტიზაცია შეცვლიდა ტექსტის სტრატეგიას, რომელზეც ვისაუბრებთ, მანამდე ვნახოთ სხვა ხასიათები.

სვიმეონ/საიმონი – ერთი შეხედვით, ბიბლიური პირის – სვიმეონ კანანელის ანალოგი უნდა იყოს. ზოგი გადმოცემით, სვიმეონ ქანანელი ქრისტეს მოციქულად მიიჩნევა, სხვა წყაროები უფრო შორს მიდიან და მას ქრისტეს ბიოლოგიურ ძმადაც აცხადებენ, იმოწმებენ რა მათეს სახარებიდან მომენტს, სადაც მაცხოვრის და-ძმის სახელებია ჩამოთვლილი. არსებობს ვერსია, რომ ქანანელი ნიშნავს ადამიანს კანადან,... არც ეს გვეხმარება მისი სახის გახსნაში... მაგრამ ერთი ვერსიით სვიმეონი არის ზელოსი, საღმრთო შურის, უძლიერესი სიყვარულის და მასთან დაკავშირებული ერთი ძველი, ქრისტიანული სექტის წარმომადგენელი, რომელიც იესოს შეუერთდა.

ჩემი აზრით, სწორედ შურიანობაა მისი ატრიბუტებიდან ის მომენტი, რომლის გათამაშებაც ამ ტექსტში ხდება, თუმცა საღმრთო შური პაროდირებითი წაკითხვით შურიანობას კი არა, შურისძიების მოტივს წამოჭრის. ანუ დრამაში წარმოდგენილია – სექსი, როგორც შურისძიება (შურისძიებითი სექსი – the revenge sex) რაკი ეს სახეობა სექსისა პრაქტიკულად, ძალზე ნიშანდობლივია ქართული გარემოსათვის, ხოლო თეორიულად – ჩვენში არცთუ დიდად შესწავლილ-გამოკვლეული ან განხილული, ძალიან მოკლედ განვმარტავ მის მხოლოდ ზოგ ასპექტს, რომელიც ჩვენი განსახილველი მონოდრამის ამ ცენტრალურ ეპიზოდს უკავშირდება. მანამდე კი აღვნიშნავ, რომ სექსის სოციოლოგიაში, კერძოდ, მის ბოლოდროინდელ გამოკვლევებში შურისძიებითი სექსი, რომელიც ცალკე განიხილებოდა, ახლა უკვე მოიცავს ბრაზის სექსსა და განშორებისშემდგომ სექსსაც, როგორც სახეობებს. ბრაზის სექსი პარტნიორთან პოტენციური დაბრუნების მომენტს გულისხმობს (ეს – ჩვენს შემთხვევაში გამორიცხულია, რადგან ორივეს საერთო ექს-პარტნიორი – მკვდარია), ხოლო განშორებისშემდგომი სექსის ინტენციაა, პირველ რიგში საკუთარ თავს დაუმტკიცოს პირმა, რომ თუმცა უარყოფილია წინა პარტნიორისგან, მას ღირებულება სხვის თვალში, თვითშეფასება და ა.შ. არათუ არ დაუკარგავს, არამედ იმაზე მეტიც კი აქვს, ვიდრე ყოფილს წარმოედგინა და ეს ყოფილმა რაღაც გზით უნდა გაიგოს, ნახოს და დარწმუნდეს, რათა ინანოს, რაც შემთხვევათა უმრავლეს ნაწილში ასე ვერ ხდება, მაგრამ პირს კმაყოფილებას ანიჭებს ამისი წარმოდგენა მერე რა, რომ ქმარი აქ უკვე გარდაცვლილია, განა წერილი იმ მიზანსაც არ ემსახურება, რომ მას გააგებინოს მომხდარის შესახებ და განაცდევინოს მწარე სინანული იმ დანაკარგის გამო, რომლის ღირებულებაც არ სცოდნია. ერთჯერადობა – შურისძიებითი სექსისა და მისი სახეობების ძირითადი გამაერთიანებელი ნიშანია, ამიტომაც არ უწერია ქალისა და სიმეონის ურთიერთობას არანაირი პოზიტიური გაგრძელება. სიმეონი – მამობის პასუხისმგებლობიდან – შორსაა. სხვა მიზნისთვის

სჭირდება ბავშვი.

ქალი საფლავზე ყვება, სექსის მერე დილით – „იმის დრო არ იყო, მივმხვდარიყავი, ეს სამაგიერო იყო, სიმთვრალე, ვნება თუ შურისძიება“.

აქ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ის, რაც ქალის ყოფილ ბინაში მოხდა იმ ღამეს, არის ორმხრივი შურისძიება, რომელიც გარდაქმნილი სექსუალურ ენერგიად, ვნებად – შესაძლებელს ხდის მათს ერთჯერად დაწყვილებას და როგორც აღვნიშნე, ამ ურთიერთობას გაგრძელება არ უწერია, რადგან საერთო შურისძიების პიკი – გადავლილია. ამას გარდა, საჭიროდ მეჩვენება ერთ მომენტზე ყურადღების გამახვილება:

შურისძიება კი ორმხრივი იყო, მაგრამ თითოეული მხარე სხვადასხვა, განსხვავებული მოტივით იყო პირობადებული:

ქალი – შურს იძიებდა მოტყუებული სიყვარულის გამო საკუთარ, გარდაცვლილ ქმარზე, ხოლო სვიმონ/სიმეონის შურისძიების ველი უფრო ფართოა. იგი ხომ მამრი-მეძავია, სიყვარულში უხდიან და ვინც კარგად უხდის, უყვარს კიდეც თავისებურად ამ კარგადგადამხდელობის გამო. გარდაცვლილი საყვარლის სახლს რატომ ყიდულობს?! – იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ქალს ათრობს და ალკოჰოლით დაუძლურებულზე ძალადობს, თუმცა ეს როდია საკმარისი, მას ხომ მთელს ცხოვრებაზე აქვს შური ბოლომდე საძიებელი. ყველაფრიდან ჩანს, რომ მას ბავშვი სჭირდება, არა როგორც საერთო სიყვარულის ნაყოფი, არამედ ცოცხალი დადასტურება იმისა, რომ შურისძიება წარმატებით დაგვირგვინდა და მან ცხოვრებაზე ძლევამოსილად გაიმარჯვა! თუმცა ისიც შეიძლებოდა, ასე ღრმად არ ჩავყოლოდით ტექსტს და სიმეონის მთელი მოქმედება – გარდაცვლილი შეყვრებული კაცის სახლის ყიდვა, მთელი შიდა მოწყობილობით, სახლში დარჩენილი, ქალის ატმისფერი ხალათის ტარება, შეყვარებულის, უფრო ზუსტად, სექსუალური პარტნიორის ქვრივის დათრობა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის გაუპატიურება, შემდგომ იმ ქალისგან (დავარქვათ – მეტოქე) შვილის შეძენის სურვილი – ეს ყოველივე გაგვეაზრებინა, როგორც საღმრთო შურს შენაცვლებული მიწიერი, ადამიანური შურის რეალიზაცია, როგორც სწრაფვა ყოველივე იმის დასაუფლებლად, რაც ეკუთვნოდა საპირისპირო მხარეს, თუნდაც როგორც პოტენცია. ვფიქრობ, არც ასეთი ანალიზი დაიწუნება, მაგრამ პასუხი უფრო ქვეცნობიერ სფეროში საძიებელი მგონია.

საიმონი ირონიული, მეტიც, ცინიკური პიროვნებაა. მისთვის გარდაცვლილი კაცი, რომლის სახელიც არ ვიცით, ისევე, როგორც არ ვიცით სახელი მთავარი აქტორისა, ქალისა, საპარტნიოროდ ერთი კარგი ვარიანტია, მას შეუძლია, პარტნიორში სასიყვარულო გრძნობები აღძრას, შეყვარებულიც ითამაშოს, მაგრამ თავად არ შეუძლია, იყოს შეყვარებული. იგი, როგორც სექსუალური პარტნიორი – ფრიგიდულია, მისთვის ადამიანი, როგორც თავად ამბობს, რაღაც, დახურული კონსერვივითაა, რომელსაც გახსნი, მოიხმარ, იგემებ და ესაა! მას შეუძლია პარტნიორისა და საკუთარი თავის მართვა ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია და ამ უნარით ტკბება. იგი თავისი ფრიგიდულობის გასაღებს თავად დებს ქალის წინ. თუმცა ჩვენი აქტორი ქალი იმ გასაღების გამომყენებელი არ არის. ერთი საშუალოზე უკეთესი გარეგნობის, არაინტელექტუალური ვინმეა – საბედნიეროდ, რადგან უკვე რახანია, დამღლელი და მოსაწყენია ჩვენს ლიტერატურაში ლამაზ –ინტელექტუალური ქალის, თუნდაც კაცის სახე, რაღაც მეორადი იდეებით რომ საზრდოობს. აქ მეტი კონკრეტიკა არაა საჭირო, როგორც იტყვიან, გამგები – გაიგებს...

ჩვენ ისევ ისევ გასაღებს მივხედოთ!

სიმეონი რომ ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა მხატვარია, ამას ტექსტის დასაწყისიდანვე ვგებულობთ. იმ საბედისწერო დღეს, როცა ქვრივთან ერთჯერადი სექსით დაკავდება, თავისებური ნიშნისმოგებით უამბობს მას, თუ მდიდარმა ბიძამ, რომელსაც მისი მშობლები ვერ იტანდნენ, კაზინოში უკვე წაგებული ქონების ნაცვლად, როგორ უანდერძა „სიბრძნე“: ლამაზი ხარ, მთავარია, ძვირფასი ღვინოების ცოდნა და კარგი მინეტი ისწავლოო. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ჩვეულებრივ, მასკულინურ ურთიერთობაში ბიძა მცირეწლოვან ბიჭ ნათესავს ასეთ რამეს, უბრალოდ, ვერ ეტყოდა.

ის, რომ სვიმონის მშობლები ვერ იტანენ მომაკვდავს, ხოლო თავად მომაკვდავს მოპოვებული აქვს უფლება, ასეთ პიკანტურ თემაზე თავისუფლად ესაუბროს ბიჭს, თანაც ხაზი გაუსვას მის გარეგნულ მონაცემებსაც. ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი მისი დომინანტური სექსუალური პარტნიორია, ანუ სიმეონი ადრეული ასაკიდან ინცესტის მსხვერპლია, ხოლო ამ სფეროს ლიტერატურაში აღიარებული დებულებაა, რომ ძალადობა მაინცა და მაინც ფიზიკურ იძულებას არ გულისხმობს, შეიძლება მოძალადემ ამისათვის გამოიყენოს საკუთარი უპირატესი სოციალური თუ ფინანსური მდგომარეობა მსხვერპლის მიმართ, ხოლო როგორც წესი – ძალამოკრებილი მსხვერპლი – თავად ხდება მოძალადე, ანუ ამ გზით, შურს იძიებს არა მხოლოდ ლოკალურ გარემოზე, არამედ გარემოზე, მთელს სამყაროზე, რომელმაც მისი უმწეობით ისარგებლა. დიახ,“რეალური“ სვიმეონ / სიმეონი შურისმაძიებელია, რომელიც ახლა უკვე ტკბება საკუთარი ძალმოსილებით და თუ ჩემი მსჯელობა ლოგიკას არ არის მოკლებული, მაშინ ახსნადია ქალის გამაოგნებელი, ფინალური მოქმედებაც, როცა ქმრის საფლავზე სიმეონს საკუთარი ჩვილის ცხედარს უტოვებს.

იშორებს რა ქალი ყოველივეს, რაც ბოლოდროინდელ, დაახლოებით ერთ წლამდე მტანჯველ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან აკავშირებდა, იგი ერთდროულად ორმხრივი შურისძიების გრძნობითაა აღსავსე – ქმრისა და სექსუალური პარტნიორის მიმართ.

ქალისთვის შურისძიების მოტივი ახლადმოპოვებული უპირატესობის შეგრძნება-გააზრებაზეა დაყრდნობილი, ტიპობრივად – ესეც სიმეონის მოდელის მსგავსია, თუმცა სახეობრივად, – მოდუსადაა გამოვლენილი...

ქალი ხომ საბოლოოდ არკვევს, რომ მსხვერპლია არა მხოლოდ ტყუილისა და თანამედროვე ადულტერის, არამედ ფინანსური, ფსიქოლოგიური ძალადობისა და ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ცდილობს, ყოველივე, რად ადასტურებს მის მსხვერპლობას, შურისძიების მერე საბოლოოდ მოიცილოს და... რა გზას დაადგეს?

ტექსტის ფინალში, რომელიც მთლიანად სახარებისეული ალუზიებითაა გაჯერებული, უკანასკნელი ფრაზა წარმოადგენს მაცხოვრის ბოლო სიტყვებს მათეს სახარებიდან, სადაც იგი ჰპირდება ადამიანებს, რომ მუდამ მათთან იქნება. ტექსტის დასაწყისშივე მონასტრის თემის შემოტანა (დაქვრივებული ქალი ქმრის მობილურში გამოგზავნილი სასიყვარულო ტექსტების ავტორს ეძებს იქ) და ის გარემოება, რომ ქალი –აქტორი თუმცა სექსუალურად უკვე ემანსიპირებულია, სოციალურად ან ფინანსურად თვითდამკვიდრებისათვის საჭირო უნარჩვევებს – მოკლებულია, ნებიერ ოჯახის ქალად თავისი ხანგრძლივი ყოფნის გამოცდილების გამო, იმ ვარაუდის საფუძველსაც იძლევა, რომ იგი შესაძლოა, აქტიური სულიერი ცხოვრების გზასაც ირჩევდეს და ზემოთ გამოთქმული ჩემი ვარაუდი

მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ – არცთუ მთლად გასაზიარებელი იყოს სხვა მკითხველისათვის.

ყოველ შემთხვევაში მონოდრამის ავტორის ნება, სტრატეგია ასეთია – მეტისმეტად, ერთმნიშვნელოვნად არ გაამკვეთროს კონტურები და დაუტოვოს მკითხველს სივრცე ვარაუდებისათვის.

●

სვიმეონზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ვია დოლოროზას მეორე მნიშვნელოვან მონაწილეზეც – ვერონიკაზეც ვთქვათ ცოტა.

განსახილველი მონოდრამის მიხედვით, იგი ცოტა არ იყოს სქემატური სახეც კია. ორიოდე შტრიხით მონიშნული. მის შესახებ ავტორისგან მხოლოდ ის ვიცით, რომ ქალის დიდი ხნის ერთგული მეგობარია, მისით მუდმივად და ქმრისთვის, ცოტა არ იყოს, გამაღიანებლადაც აღტაცებული, როგორც ბულბული ვარდით (ტრფიალების, მიჯნურობის მარადი მოტივის მინიშნებითი შემოტანა?) და სამშობიაროში მუშაობს. ბიბლიისშემდგომი ტრადიციით, მიჩნეულია, რომ წმინდა ვერონიკამ საკუთარი პირსაბურით (ქართული ბიბლიის მიხედვით ხელსახოცით) შეამშრალებინა გოლგოთაზე მიმავალ მაცხოვარს სახე და ეს სახე ქსოვილზე სამუდამოდ აღიბეჭდა, კათოლიკურად ამ ცნობილ ხელთუქმნელ ხატს მაცხოვრისა „ვერონიკას პირსაბური“ ეწოდება და ერთ – ერთ უდიდეს სიწმინდედაა მიჩნეული, (ქართულად ვერონიკას ხელსახოცია? – ნდს). სხვა ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ასეთი დიდი სიწმინდის გვერდზე დადებული მისი ანალოგიური საგანი ღვთიური მადლით ივსებოდა და ანალოგიური თვისების მტვირთველად იქცეოდა. ამის გამო „ვერონიკას პირსაბურის“ მადლით ავსებული ანალოგი არაერთ ქრისტიანულ ტაძარში შეგხვდებათ, ისევე, როგორც არაერთი სიწმინდისა, მაგალითად“ უკვეთელი კვართისა“, „სამსჭვალისა“; და ა.შ. რომლის აუთენტურობასა და ერთადერთობაში არცთუ იშვიათად, ლოკალურ მრევლს ეჭვიც არ ეპარება და გარკვეულწილად, მართალიცაა, თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის თემაა, ჩვენ – წმინდა ვერონიკასა და მიწიერ ვერონიკას მოვუბრუნდეთ.

ზოგი, ფართოდ გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, წმინდა ვერონიკა ის ქალია, რომელსაც გაუთავებელი სისხლისდენა შეუჩერა მაცხოვრის მოსასხამზე ხელის მიკარებამ. ჩვენს ტექსტშიც, რეალური ვერონიკა სისხლდენას უკავშირდება. ვფიქრობ, აქცენტირება რომ უფრო ხელშესახები იყოს, ტექსტი გვატყობინებს, რომ იერუსალიმში ვია დოლოროზას გასავლელად ექსკურსიაზე ქმართან ერთად ჩასულ ქალს ცხვირიდან სისხლი წასკდება და ვერაფრით უჩერებენ. ცხადია, სისხლიანია საშინელ ავარიაში დაღუპული ქმრის სხეულიც, სისხლიანია ტრაგიკული მშობიარობა... ზოგადად, იმდენი სისხლია ამ პატარა მონოდრამაში, რომ ასეთ რაღაცას მაფიქრებინებს, – როცა იგი სცენურად განხორციელდება, მხატვრობა ორ ძირითად ფერს დაეყრდნობა, შავსა და წითელს, დამატებითი, შემარბილებელი კი ალბათ ატმისფერი იქნება – როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფერი ქალის საშინაო ხალათისა, რომელიც საიმონს ერგო. მონოდრამას ვია დოლოროზას ტრადიციასთან ისიც აკავშირებს, რომ ვერონიკა ორივეგან – მეექვსე საფეხურზე აქტიურდება, თუმცა ავტორს აქტორის პირით სურს დაგვარწმუნოს, სიმონისა და ვერონიკას სახელების გამეორება-განზრახისი კი არა, შემთხვევითიაო.

●

ძნელია, წარმოიდგინო უფრო ტრივიალური დასაწყისი, ვიდრე ამ მონოდრამას აქვს ჩვენს ოცდამეერთე

საუკუნეში: ერთი ქვრივი ერთ წვიმიან დღეს საფლავზეა მისული და აღსარებას აბარებს წარმოსახულ ქმარს. დღეს ვის მოაწონებ თავს ამგვარი სენტიმენტებით, მაგრამ ავტორის საქებად უნდა ითქვას, რომ მას დრამატული სტრატეგია იმგვარად აქვს გააზრებული, რომ ორი-სამიოდე სტრიქონის შემდგომ, როგორც მკითხველს, სრულიად სხვა განზომილებაში აღმოგაჩენინებს თავს. ეს ტექსტი თავის ყველა ასპექტით თანამედროვეა. თანამედროვეა არა მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ შემოტანილია და მოქმედების განვითარებაში ორგანულადაა ჩართული თანამედროვე ყოფის ატრიბუტიკა, მაგალითად მობილური ტელეფონი; ან იმიტომ, რომ ბისექსუალობისა და ინცესტის დღესდღეობით ასერიგად მოდურ, ლიტერატურასა და ხელოვნებაში უკვე უამრავჯერ დამუშავებულ თემას – ეხება, არც იმიტომ, რომ მასში მოქმედებს ქალის ნახტომისებური, გვიანი ემანსიპაციის მოტივი, არამედ უფრო იმის გამო, რომ ტექსტი თავისებურად პაროდიულ მიმართებაშია ყოველივე ამასთან და უძველესი დროიდან მომდინარე სარწმუნოებრივ ტრადიციასთანაც, რომელიც უკვე ტურისტთა მისაზიდ სანახაობად ქცეულა, თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი კრძალვით უდგება ერთადერთ სიმაღლეს – სიმაღლეს წმინდა წერილისა, რომლის სიტყვებითაც აბოლოებს მონოდრამას.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მანანა დოიაშვილის, როგორც ავტორის ინდივიდუალური ნიშანია, საკუთარ ტექსტში წარმოაჩინოს თუნდაც საყოველთაოდ ნაცნობ/ცნობილი საგნისა თუ მოვლენის სრულიად მოულოდნელი რაკურსები, ხოლო თავის მოქმედ პირებსა და ვთქვათ ასე, მათ არქეტიპებს შორის ბმა პირდაპირი, მკაფიო, ყველასათვის თვალნათლივი, ზედაპირული ნიშნით კი არა, ჩვეულებრივი მკითხველის თვალისთვის რაღაც ნაკლებმოსახელთებელით, თავისებურ ჩრდილში მოქცეული, გვერდითი ნიშნითა და მინიშნებით განახორციელოს და ალბად სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ხელწერის ორიგინალობაც. ჩემი ფიქრით, ამ მონოდრამას აქვს ტექსტსმიღმიერი ეპიგრაფიც, რომელიც მოქმედებს მთელი ტექსტის მანძილზე, მაგრამ არ ჩანს, როგორც ქარი, (იქნებ სულიერი ქარი). იგი სათაურითვეა – შემზადებული – „ვია დოლოროზა“.

ეს არის სიტყვები ლუკას სა-ხარებიდან (9:23) „ვისაც სურს მომსდი-ოს, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე“, და ამ სიტყვების ყოფითი ინტერპრეტაციაა „ყველა თავის ჯვარს ეზიდება“. თანამედროვე, “ახალი ქალის” ჯვარი და ვია დოლოროზა კი ასეთი აღმოჩნდა.

და მის გულწრფელ აღსარებას მკითხველისგან არა განსჯა-განკითხვა, არამედ ემპათია, თანალმობა სჭირდება.



Გურამ Ბენაშვილი

ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘ (ᲛᲐᲠᲝ ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲓᲦᲘᲣᲠᲘ“)

Გურამ ბენაშვილს, გამოჩენილ ლიტერატურათმცოდნესა და კრიტიკოსს, 80 წელი შეუსრულდა. ჩვენი ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ გურამს სახელოვან იუბილეს და უსურვებს დღეგრძელობას! აქვე ვბეჭდავთ მის ესეს, რომელიც ეროვნული გმირის, მარო მაყაშვილის ხსოვნას ეძღვნება.

მკითხველის წინაშეა ჩანაწერები, რომელთაც დრო-ჟამის სპეციფიკურ სურნელთან ერთად, ჩვენამდე მოაქვთ ადამიანთა ცხოვრების კოლორიტული ფრაგმენტები და, რა თქმა უნდა, თვით ნარატორის, ვითარცა მედიუმის მენტალური აურა.

ზუსტი დეფინიციებითა და სულის ფაქიზი ვიბრაციებით დაკრისტალებულნი, ისინი არსებითად ეგზისტენციურ პარადიგმათა არამარკირებული სპეციფიკით არიან აღბეჭდილნი.

სიმპტომურია ისიც, რომ ეს ყველაფერი წარმოდგენილია მაღალი ეროვნული ცნობიერებით განმსჭვალული აქტორის მონოლოგებით.

არის მის ტექსტებში ოდენ რომანტიკული აქცენტებიცა და ქვეყნის პატრიოტის იმპერატიული შეგონებანიც.

ყოფიერების„იდუმალ სიბრძნესთან“ განდობილი იცნობიერებს იგი საკუთარსავე იდენტობასა და მომავლის კონცეპტუალურ კონტურებს.

ბრუტალური გამოწვევების მიმართ შეურიგებელი და დროის „მარწუხებიდან“ რწმენით თავდახსნილი, იგი სამშობლოს თავისუფლების წყურვილითაა „ატანილი“.

გვარწმუნებს, რომ, როგორც პიროვნება, მხოლოდ საკუთარივე ნებით იქმნის და იგემოვნებს ყოფიერების სულიერ „სალხინებელს“.

ასე და ამგვარად რეალიზდება მასში ინდივიდუალური ცნობიერების დისკურსი.

მისი „დღიური“ ანალიტიკურ შე-

მეცნებაზე პროეცირებული „პარტიტურაა“, რომელიც უფუნქციო სიტყვათა ცდომილებისაგან ათავისუფლებს მკითხველს, ანიჭებს რა მას აქტუალური შემმეცნებლის სტატუსს, კრეატიული მიზანსწრაფვით მსჭვალავს და სახელებს არქმევს ადამიანურ ინსტინქტებს, ყოფიერების თანმდევ „მოუხელთებელ ფანტომებსა“ და მენტალურ მოვლენებს.

საგულისხმოა, რომ მისმა სულიერმა დიაპაზონმა დაიტია და გაითავისა აღტაცებისა თუ მწუხარების, იმედისა თუ სინანულის, რწმენისა თუ სკეფსისის ღირსება-ცდომილებანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამაღლებულითა და მშვენიერით ტკბობა ორგანულ განცდად „ასდევნებია“ დროისაგან გამოტანჯული სულის თავისუფლებას, მის ესთეტიკურ ცნობიერებას.

ჩანაწერებში გამოვლენილი თემატური დიაპაზონი მნიშვნელოვანწილად აღბეჭდილია ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი დიდი ინტერესით. ანალიტიკური დისკურსით წარმოდგენილი რეცეფციები „ღაღადებენ“ მისი ესთეტიკური ცნობიერების ოდენ სიმწიფესა და მაღალ კულტურაზე.

აი ფიქრები, რომლებიც ჩემში აღძრა მარო მაყაშვილის „დღიურში“ წარმოდგენილმა თემატურმა მოდულაციებმა.

რა შეიძლება ითქვას კიდევ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი და მსხვერპლად შეწირული „გოგონას“ ხანმოკლე სიცოცხლის „ყვავილოვნების“ ჟამზე, მის პათეტიკურ ვექტორებსა თუ რომანტიკული განცდების უმანკოებაზე.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქ იგი „ჰყვავის“ უსათნოესი გრაციითა და უებრო სისპეტაკით, სინორჩის „თავაწყვეტილი როკვის“ იდუმალი წყურვილითა და ლოცვად აღვლენილ ოცნებათა სურნელით...

მხოლოდ ასე და ამგვარად წარმოვიდგენ „დღიურში“ დატეულ მისი, ვითარცა პროტაგონისტის ამქვეყნიური ცხოვრების „კადრებსა“ და სულიერი მწიფობის ნეტარ ჟამს.

მოგვიანებით სათაყვანებელი სამშობლოს უმძიმესი განსაცდელი იქცა მისთვის ბრძოლისა და თავშეწირვის

უალტერნატივო იმპულსად...

მან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, საკრალურ შეგონებად აღიქვა დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწოდება – ახალგაზრდობას დაეცვა და ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიისაგან გადაერჩინა სამშობლო...

„ვერავითარმა მუდარამ, რჩევამ ვერ გასჭრა მაროზე, მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. იგი როგორც მოწყალების და, სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრის ფრონტზე... მეორე დღეს, საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცადა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობლებისათვის“, – წერდა მაროს მამა, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, კოტე მაყაშვილი.

ტრაგიკული წარსულის წიაღიდან, მარო მაყაშვილის გმირობასთან ერთად, მამის სულისშემძვრელი პოეტური სტრიქონებიც აღსდგა და გაცოცხლდა... მასში გოდების მოტივაცია, ქალიშვილის სიკვდილთან ერთად სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებაა – „ჩემო გმირო და წმინდანო, გაამხნევე მშობელი! / სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტირო რომელი“...

ასე და ამგვარად გაცხადდა ამ ეპოქისათვის ესოდენ ორგანული, კიდევ ერთი ტრაგიკული პრეცედენტი...

მარო მაყაშვილის ხანმოკლე სიცოცხლის მონოლოგად თუ ლექსიკურ ექვივალენტად შობილი „დღიური“, ოდენ მენტალური აღორძინების ის წინასაფეხურია, რომელიც ამრეკლავია მის ადამიანურ ვნებათა ჰარმონიზაციისა, ანუ იმ ინსპირაციისა, რაც საფუძვლად ექცა მისი, როგორც ფსიქოტიპის გმირად რეინკარნაციას...

ამ უმანკო პატრიოტის მსხვერპლშეწირვითაც შეიძინა ავზნიანი მწუხრით ტანჯულმა საუკუნემ მეტ-ნაკლებად ჰეროიკული იერსახე, ხოლო თვით იგი, სანუკვარ სიმბოლოდ დაემკვიდრა ერის ისტორიულ მეხსიერებას...

ოდენ „გედის სიმღერად“ წარმოდგენილმა ამ ჭეშმარიტად საკრალურმა „გზავნილმა“, დავიწყებისაგან უნდა იხსნას და მომავალი გაუცოცოხლოს მარო მაყაშვილის უაღრესად შთამბეჭდავ ადამიანურ ხსოვნასა და მის არამიწიერ ყოფიერებას...

ნინა სამხარაძე

•

ხეებიდან რომ შემოდგომა
დაიწყებს ცვენას – დავიბადები,
ემბრიონის ფორმაში არა –
უკვე დიდი და უფრო ჯანმრთელი,
ცას თვალებიდან ნაპერწკლებს ვესვრი,
ერთ დროს რომ ვარსკვლავცვენის
დროს ჩაქრა,
ჩვენ ყველა ვფიქრობთ, როგორია
ჯვარს ეცვა, მაგრამ
სულ არ გვადარდებს შეხორცებულ
იარით ღმერთი,
რადგან ის აღდგა...
ველარ გვკვებავს ხორცით და სისხლით.
წელს შემოდგომა რომ დაიწყებს
ზეციდან წვეთას,
ავიღებ ჩემს ძვლებს და ფაზლივით
სწორად ავაწყობ,
ავიღებ ჩემს ხორცს ცომივით და
ერთად გადავზელ,
ავიღებ ჩემს სისხლს, ავადუღებ და
ისე დავლევ –
მზე რომ სვამს სველი ფოთლებიდან
ღამითნაწვიმარს.
და მანამდე კი ამ ლექსებით ვილაპარაკოთ,
რა ხდება ჩემთან?!
წყალს ვუდგამ ხოლმე ქუჩის ძაღლებს

და დღეს გაყინა!
ჩემი სიკეთე გადაექცათ ყინულის
ლოკვად.
ვაპურებ ხოლმე ფრინველებს და
დღეს მოთოვა,
ფანჯრის რაფებზე ნამცეცები
სუდარის ქვემოთ ცივ გვამად იქცა.
ადამიანებს ამას ვერჩი,
არ გვიყვარს დაღლა!
აღარ გავსულვარ წყლით და პურით,
რადგან ციოდა,
ვალმოხდილივით მშვიდად შევძლებ
ძილსა და წოლას,
სანამ არ მოვა შუაღამის ვერცხლის
ფიქრები.
ხეებიდან რომ შემოდგომა დაიწყებს
ცვენას...

●

ველარც ვსაუბრობთ.
სიცხეს ტუჩებით გიზომავ თითქოს...
შენ სუნთქვასავით ხშირდები ჩემში.
შემდეგ იკლებ და
ემბრიონის ასაკის ხდები.
შენ სურვილი ხარ შეუსაბამო
მე კი ზღვებს ვაშრობ
რადგან ვერ ვცურავ.
მე კი ზღვებს ვაშრობ
და მკვდარ თევზებს შენ სანაცვლოდ
სამყაროს ვწირავ.
ერთმანეთს ვწირავთ
ულაპარაკოდ
ეს დუმილია საკურთხეველი.
ველარ ვსაუბრობთ,
რადგან ტუჩით შენს სიცხეს ვსინჯავ
როგორც ერთადერთ ტემპერატურას.
რომელიც ღირდა
გადასარჩენად, გადასახატად გადასაწერად...

●

ხელში ჩაგაკვდა
ფოთლების სუნთქვა,
შენი თითები –
ჯებირი ზღვაზე,
ყვავილობისას
ჩემს სხეულს უსხამს

ლოცვას – ნეკერჩხლის
სურნელით სავსეს.

შიმშილი

ფანჯრის რაფაზე დღეს ჩიტები
მშივრები დარჩნენ.
შვილის წინსაფარზე დაცვენილი
პურის მარცვლები დედამ შეჭამა.



●

ავდარს გააჩნია
დარი არ მადარდებს
წვიმს და რა ხანია
ვლბები ალერდებით,

ხელებს გააჩნია
თვალებს გააჩნია
მკლავებს გააჩნია
ვისშიც დავბერდები.

●

ხეებიდან რომ შემოდგომა
დაიწყებს ცვენას – დავიბადები,
ემბრიონის ფორმაში არა –
უკვე დიდი და უფრო ჯანმრთელი,
ცას თვალებიდან ნაპერწკლებს ვესვრი,
ერთ დროს რომ ვარსკვლავცვენის
დროს ჩაქრა,
ჩვენ ყველა ვფიქრობთ როგორია
ჯვარს ეცვა, მაგრამ
სულ არ გვადარდებს შეხორცებულ
იარით ღმერთი,
რადგან ის აღდგა...
ველარ გვკვებავს ხორცით და სისხლით.
წელს შემოდგომა რომ დაიწყებს
ზეციდან წვეთას,
ავიღებ ჩემს ძვლებს და ფაზლივით
სწორად ავაწყობ,
ავიღებ ჩემს ხორცს ცომივით და
ერთად გადავზელ,
ავიღებ ჩემს სისხლს, ავადუღებ და
ისე დავლევ –
მზე რომ სვამს სველი ფოთლებიდან
ღამითნაწვიმარს.
და მანამდე კი ამ ლექსებით ვილაპარაკოთ,
რა ხდება ჩემთან?!
წყალს ვუდგამ ხოლმე ქუჩის ძაღლებს
და დღეს გაყინა!
ჩემი სიკეთე გადაექცათ ყინულის
ლოკვად.
ვაპურებ ხოლმე ფრინველებს და
დღეს მოთოვა,
ფანჯრის რაფებზე ნამცეცები
სუდარის ქვემოთ ცივ გვამად იქცა.
ადამიანებს ამას ვერჩი,
არ გვიყვარს დაღლა!
აღარ გავსულვარ წყლით და პურით,
რადგან ციოდა,
ვალმოხდილივით მშვიდად შევძლებ
ძილსა და წოლას,

სანამ არ მოვა შუაღამის ვერცხლის
ფიქრები.
ხეებიდან რომ შემოდგომა დაიწყებს
ცვენას...

●

ველარც ვსაუბრობთ.
სიცხეს ტუჩებით გიზომავ თითქოს...
შენ სუნთქვასავით ხშირდები ჩემში.
შემდეგ იკლებ და
ემბრიონის ასაკის ხდები.
შენ სურვილი ხარ შეუსაბამო
მე კი ზღვებს ვაშრობ
რადგან ვერ ვცურავ.
მე კი ზღვებს ვაშრობ
და მკვდარ თევზებს შენ სანაცვლოდ
სამყაროს ვწირავ.
ერთმანეთს ვწირავთ
ულაპარაკოდ
ეს დუმილია საკურთხეველი.
ველარ ვსაუბრობთ,
რადგან ტუჩით შენს სიცხეს ვსინჯავ
როგორც ერთადერთ ტემპერატურას.
რომელიც ღირდა
გადასარჩენად, გადასახატად გადასაწერად...

●

ხელში ჩაგაკვდა
ფოთლების სუნთქვა,
შენი თითები –
ჯებირი ზღვაზე,
ყვავილობისას
ჩემს სხეულს უსხამს
ლოცვას – ნეკერჩხლის
სურნელით სავსეს.

ნინიკო მშვიდობაძე

მონადირე

კაცს რა უნდა უთხრა,
ტყეში ნადირს დასდევს და
ცაში – ფრინველს.
ქალიც მოსანადირებელია მისთვის...
ბალახის სუნი მაქვს,
ახალმოთიბულის კი არა,
ლორთქო ბალახის.
ჩემი თვალები ტყეებია –
გაუვალი,
ჩემი მკლავები ხეებია –
ცად აზიდული,
ჩემი ძუძუები ნაკადულებია და არა
ბორცვები,
ბორცვები ბანალური იქნებოდა.
დავდივარ კი არა,
ვფრენ-მეთქი,
ათასჯერ მითქვამს.
მე როგორ უნდა მომინადირო,
თავად მონადირეს ვგავარ:
ფართო ნესტოებით და
ტყეებად ქცეული თვალებით.
დავდივარ კი არა,
მოვრაკრაკებ და სიტყვებს ვშობ:
ჩემი ნაბიჯებიდან რომ ჩნდებიან,
გუბეებივით.
ჩაიხედე,
ჩაიხედე,

ეგებ საკუთარი თავი დაინახო.
კაცს რა უნდა უთხრა,
სულ გზაშია,
სულ გარეთ.
ქალი შინ ზის და ნაწნავს იშლის.
და ახალგაღვიძებულს,
გაღეღილი პენუარიდან რომ მკერდი მოუჩანს,
აი, იმ მკერდზე ჰკიდია სულაც
სამყაროს მთელი აურზაური,
ქალია,
ნაწნავს იშლის...
მე ბალახის სუნი მაქვს,
ახალმოთიბულის არა,
ლორთქოს...
ლოცვა არ ვიცი,
კედლებს ვჭამ და ფრჩხილებსაც ვიკვნეტ,
ამბობენ, რკინა აკლიაო,
არადა, რკინის ნერვები მაქვს,
კედლებს ვჭამ და ფრჩხილებსაც ვიკვნეტ –
ნერვებს ვიმორჩილებ.
ტბებია ჩემი ნერვები,
მდორე, უძირო, სევდიანი.
სიტყვებს გუბეებად ვტოვებ,
რომ ჩაიხედო,
დამინახავ...
კაცს რა უნდა უთხრა,
მონადირეა...
მე მხოლოდ ერთხელ მომინადირეს,
ისიც – მინდოდა!!!

მარტოობისა

წადი, კაცო,
გზა მონახე,
ჯიხვი მონახე,
ხე მონახე,
მე რას შემომყურებ ნატვრისთვალივით,
ვერ ხედავ?
ჩამომენაცრენ თვალები.
წადი და ტყე მონახე,
საქმე მონახე,
საფიქრალი მონახე,
მე რას მომჩერებიხარ,
შემითხელდა თმა,
ჩიტის ნაფეხურებივით დამეტყო ნაოჭები.

წადი, კაცო და...
მე ჩემსას ვივლი,
ჩემ ქალაქს მოვლევ,
ჩემ ტყეში წავალ,
ჩემი ხე ვიპოვო ეგება,
რომ მივიდე მოვეხვიო,
მივიდე და ხელები შემოვხვიო,
მიცანი მეთქი.
რა მინდოდა,
რას დავეძებდი საერთოდ?
სწორ გზაზე სიარულს
ნარ-ეკალი ვამჯობინე და
ყველა ეკალს შევარჩინე,
ხორცივით,
სული.
შენ, წადი, კაცო,
შენი გზა ნახე,
მე ჩემსას ვივლი
და როცა ატკივებულ ფეხებს საწოლთან მივათრევ,
არავინ უნდა დაინახოთ,
რომ
ვტირი...
ჩემ საწოლს დეკემბერების ფერი აქვს...

და ამ დრეჯადი ხეებისათვის

თუნდაც ეს ხეები დაიფარე,
ღმერთო,
ეს დღეები დაიფარე,
ჩემგან გაფრენილი დღეებია
და ეს ხეებია,
მე რომ შემიფარეს,
მე რომ შემიყვარეს,
მე რომ არასოდეს შემაქცევენ
ზურგს.
ქარებმა სუსტი ნეკერჩხლები ისე მოხარეს,
რამ ან ვინ უნდა გაასწოროს...
ვღეჭავ სამყურას ლორთქო ფოთოლს,
მწკლარტე გემო აქვს,
ვღეჭავ და თვალებს მიწამდე ვხრი,
რომ სამყურებმა არასოდეს ჩამხედონ თვალში,
მრცხვენია, რადგან...
მწყურის...
და წყალი აღარაა,
და წყარო აღარაა,

აღარც რუებია და აღარც ნაკადული.
დამსკდარ მიწიდან ტკივილები ამომეზარდა:
ბუერად, ხავსად, გვიმრებად
თითქოს –
და ეს სპორებია ჩემი სისხლძარღვები...
თუნდაც ეს ხეები დაიფარე,
ანდაც ეს დღეები დაიფარე,
აი, ეს ხეები დაიფარე,
მე რომ შემიფარეს,
ღმერთო,
მე რომ არასოდეს შემაქცევენ ზურგს!!!
ვმალე და ვერ დავმალე:
ტკივილები.
ვკეცე და ვერ დავკეცე დარდის გუდა.
ვთვალე და ვერ დავთვალე ჩემი ცრემლი...
ან როგორ უნდა:
დამემალა,
ან როგორ უნდა:
დამეკეცა,
ან როგორ უნდა:
დამეთვალა,
სევდა – ჩარჩოში ვერჩატეული...
და ეს ხეები დაიფარე,
მხოლოდ ხეები დაიფარე,
თუნდაც ხეები დაიფარე,
ღმერთო,
რომ მერე შევძლო და ვთქვა:
მე ხე ვარ,
მე არავის ვაქცევ ზურგს!!!
ხეები დაიფარე, ღმერთო!!!

ლუკმა

გამოაფურთხე,
გამოაფურთხე ეგ შენი
ყელში მოწოლილი მარტოობა.
ამ ცხოვრებას სხვისი დაღეჭილი ლუკმის გემო აქვს,
ბავშვობიდან რომ გაზიდებდა –

წარმოდგენაზეც.
დამალე შენი ძუძუები...
დამალე შენი ძუძუები –
მზეუნახავი, ავი სითეთრე რომ დასდებია,
რძე არასოდეს ჩაგიდგება ძუძუში რაკი,
მზემ
აღარ უნდა შეხედოს...
დამალე თვალები,
არადა ხვდები, რომ
ყველაზე მოღალატე თვალები კი არა,
თითები ყოფილან –
ეგ შენი სუსტი,
კალმის წერისგან დაბრეცილი,
თხელფრჩხილებიანი თითები...
ამ ცხივრებას სხვისი დაღეჭილი ლუკმის გემო აქვს...
და როგორ გადაყლაპავ,
გაზიდებს უკვე...
ჰოდა, მიდი, გამოაფურთხე
ყელში მოწილილი სიმარტოვე,
რომ შვება იგრძნო.
და იარე ასე:
დუჟმორეულო,
ავად თეთრძუძუებიანო,
თმაშეკვეცილო,
მოღალატე თითებით წერე,
რომ
ოდესღაც გიყვარდა,
რომ
ოდესღაც გეფერებოდნენ,
რომ
ოდესღაც შენს იმედგაცრუებულ თითებსაც
შეეძლოთ ალერსი...
იარე ახლა...
შუბლზე ჩამოყრილი „ჩოლკებიდან“ შემპარავად
გახედე მზეს და
ზედ ტუჩებთან მოიკვნიტე
ყელს მომსკდარი ტკივილები...
მარტია გარეთ!!!

ნათია კაპანაძე

მამაჩემი

გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „ზამთარი მოდის“ 2017 წელს დაარსდა. მასში მონაწილეობას სტუდენტები იღებენ. ორგანიზატორია ახალგაზრდა მწერალი – გურო დავითლიძე.

„ცისკარი 1852“ ულოცავს ნათია კაპანაძეს გამარჯვებას და მკითხველს ვთავაზობთ მის ნოველას.

ამდენს ნუ სვამო, თავს დაიღუპავ და ყველას დაკარგავო. მოკვდები და ყველა ლოთ ბესოიად გაგიხსენებსო. სოფელი პატარაა, აქ არავის არაფერი ავიწყდება, მაგრამ შენ დაგივიწყებენ, შენ დასამახსოვრებელი კაცი არ ხარო... – ხშირად უმეორებდა ბებია ამ სიტყვებს მამას და, როცა ხვდებოდა, რომ სასმლისგან გამომტყვრალი მამაჩემი გონზე არ იყო და მაინც ვერაფერს შეასმენდა, ხელს ჩაიქნევდა, თავის ოთახში გავიდოდა და ჩუმი ხმით ტიროდა.

კეთილი კაცი იყო მამაჩემი, მაგრამ მთელი სოფელი დასცინოდა. გიჟდებოდნენ სოფლის ბავშვები. სადაც მთვრალ მამაჩემს დაინახავდნენ. გარს ეხვეოდნენ და ისედაც ფეხზე ძლივს მდგომს – გვეთამაშე ბესო ძიას ძახილით დასდევდნენ უკან. მამაჩემი ჩაფიქრებულ სახეს მიიღებდა, მერე გაიღიმებდა და – აბა, რომელი დევიჭიროთო, – გამომცდელად გახედავდა ბავშვებს. ისინიც კივილით გარბოდნენ სხვადასხვა მხარეს, მამაჩემი კი ბანცალ-ბანცალით უკან მიჰყვებოდა.

– სულ ასეთი კი არ იყოო, – მეუბნებოდა ბებია. – მეიყვანდა ხოლმე თავის ძმაკაცებს და, თუ რამე იყო გასაკეთებელი, აკეთებდა, მამაჩემი რო დაბრუნდება, ყოლიფერი წესრიგში უნდა დახვდესო. სულ ელოდებოდა, ის სამიწე კიდო არ დაბრუნებულა. მე არაფერს ვეუბნებოდი, რო გეიზრდება, თვითვან მიხვდება-თქვა. გეიზარდა და მე კი არა თვითვან ველარ ცნობს თავის თავს...

იმ დილით ბებიაჩემის კივილმა გამომაღვიძა... ბევრი არაფერი წამეიღო,

ჯერ თავშესაფარი ვნახოთო, – უყვიროდა მამაჩემს. იმან კიდე მე დამავლო ხელი, მხრებზე შემისვა და წავედით, რაც დაგვჭირდება მერე ავიღებო. არ ვიცოდი, რა ხდებოდა. მახსოვს მხოლოდ, რომ ძალიან ციოდა და ეზოში გასულმა მამაჩემმა უკან შემომაბრუნა, საწოლიდან გადასაფარებელი აიღო და ტანზე შემომახვია. ჩვენს ახალ სახლში უფრო ციოდა. ნაცნობი ადგილი იყო, აქ ხშირად მოვდიოდი, მაგრამ, ახლა სულ სხვანაირი გარემო დამხვდა. ძალიან, ძალიან ბევრი ხალხი და მათ ფონზე ის უზარმაზარი სივრცე საოცრად პატარა ჩანდა...

– ქეც რო ვერ გვიპოონ, რამდენიმე დღეში აქ ან სიცივით მოვკვდებით ან შიმშილით.

– ენა ჩეიგდე, ბოვშები გისმენენ!

– დედა, სიკვდილი რა არის? – ეკითხება ტასო დედამისს... მამას აკანკალებს. მგონია, რომ მასაც ჩემსავით სცივა და გადასაფარებელს ვუნაწილებ, თუმცა კანკალი არ უვლის. მამას დალევა უნდა, მაგრამ აბა, როგორ?! გამახსენდა, ბებია სასმელს ჩემი საწოლის ქვეშ მალავდა, რომ მამას არ დაელია. აქედან სახლი არც ისე შორსაა, წავალ და მოვუტან...

ეს გზა კარგად ვიცი. მალე სახლთან ვიქნები. ფეხი მიბრუნდება. ვეცემი. ახლა სისხლი წამომივა... შიშმა ამიტანა... უკვე სახლთან ვარ, მაგრამ იქ უცხო კაცები არიან. ნაბიჯის გადადგმა დავაპირე, როცა ვიღაცამ პირზე ხელი ამაფარა და უკან გამათრია. რამდენიმე წუთი ასე მივყავდი, ხმის ამოღება არ შემეძლო. საკუთარი გულისცემის ხმა ყურებში ისე ჩამესმოდა, მეგონა, გული გამისკდებოდა. მხოლოდ ის მოვახერხე, ხელზე მეკბინა, ისე ძლიერად, რომ პირში სისხლის გემო ვიგრძენი.

– შენი კარგი მოვ...! – ვიცანი, მამაჩემი იყო. სიტყვა ბოლომდე არ დაუსრულებია, ჩუმად მიჩურჩულა:

– თავშესაფარში დაბრუნდი, მალე მოვალ!

თხუთმეტიოდე ნაბიჯზე გასროლის ხმა გავიგე. შევბრუნდი, თუმცა უკან წასვლა ვერ გავბედე.. თავშესაფარში ჩავედი და ლოდინი დავიწყე, მაგრამ, მამა აღარ დაბრუნებულა. ყველამ იცოდა, რაც მოხდა! როცა შინ დაბრუნება შევძელით, ბებიამ შავები ჩაიცვა და აღარც გაუხდია. მხოლოდ ერთ რამეში შეცდა ბებია, იმ დღის შემდეგ მამა ლოთ ბესოიად აღარავის მოუხსენიებია!

ვიტალიანო ბრანკატი

ჩექმებიანი მოხუცი

ჩემი ქალაქის მუნიციპალიტეტი ქაღალდებით არის სავსე: ყოველ კვირა დილას დერეფნებში გამწესებული მუშაკები ცოლებისა და ქალიშვილების დახმარებით, იატაკებს გვიან, შესასვლელებს წმენდენ, კარებსა და თაროებს აპრიალებენ. მტვერი ფანჯრებს ჯიუტი, თვალგაშტერებული ცხოველივით ისე ედება, თითქოს ბნელი სადგომიდან გასვლა არ უნდა, სადაც დიდი სიამოვნებით იყო აქამდე დაბინადრებული.

1930 წელს იმდენი ქაღალდი შეგროვდა, რომ კუთხეებში დასტებად დააწყვეს და მალე იატაკიდან ჭერამდე ოფისის გასამაგრებელი სვეტების დანიშნულებაც მიენიჭა. დერეფანი არც ისე განათებული იყო, ხოლობოლო ოთახი, სადაც მზის სხივი ვერ აღწევდა და თითქმის სიბნელე სუფევდა, ბევრს ტუალეტშიც კი ეშლებოდა. საქაღალდეები, საქმეები, მატრიკულები, ქვითრები, ბიულეტენები, ნიმუშები კედლებს არა მხოლოდ ფარავდნენ, არამედ ჰყოფდნენ კიდეც, რომელთა შორის დილაობით დიდი სიფრთხილით შედიოდა შუახნის, გამხდარი, მხრებში მოხრილი მამაკაცი, როგორც ჩვეულებრივ, მაღალი ადამიანები იქცევიან ხოლმე; მაგრამ იყო ასევე დაბალი კაციც, ჩვეულებრივზე დაბალი, თუმცა არა უსიამოვნოდ, პირიქით, ისეთი, რომ სიცილს არ იწვევდა – იმ დაბალი ადამიანებიდან ერთ-ერთი, რომელიც მაღალი და ტანადი შვილებით არავის აკვირვებს.

ეს იყო მუშაკი ალდო პიშიტელო, რომელიც დილაობით მუნიციპალიტეტის ზღურბლს მაშინ გადადიოდა, როცა მარმარილოს იატაკზე მოსარეცხად მოსხმული წყალი ჯერ კიდევ არ იყო მშრალი და მისი დიდი ნაფეხურები დერეფანს მთელ სიგრძეზე რჩებოდა. სამსახურში ის ნებისმიერ სეზონზე შავი, მყარსაყელოიანი პიჯაკით, ზოლიანი შარვლითა და მოძველებული, მოჭმუჭ-

ნილი ქუდით დადიოდა, რომელსაც ირგვლივ მოხვეული ლენტიც კი მოკერებული ჰქონდა. არავინ იცოდა, ეს კაცი ყრუ იყო თუ არა, რადგან ვენებში თუ სისხლი მიედინებოდა და ყურშიც ესმოდა, ღმერთმა უწყის, დამლაგებელს რა პასუხსაც გასცემდა, როცა მის შესახებ, დერეფნაში სველ იატაკზე გავლის გამო ბურტყუნებდა: „ამას დილაობით თავზე დადგმული რქები აღვიძებს ალბათ!“

ეს წინადადება სრულად 1920 წელს წარმოითქვა, მერე რამდენიმე სიტყვით შემცირდა და ასე დარჩა: „რქები აღვიძებს!“; ბოლოს კი, 1930 წელს, მხოლოდ ამ შეძახილამდე დავიდა: „რქები!“

შეიძლება ვენებში სისხლი არც მიედინებოდა, იმიტომ რომ სიცხეს ვერ გრძნობდა. ივლისში, როცა მაღალი ტემპერატურის დროს სამსახურში ყოფნით ყველა ბრაზობდა, ის შარვლის ტოტებს იწევდა, მკლავებს იკაპიწებდა და ცხვირსახოცს პერანგის შიგნით, მკერდსა და იღლიებში ისვამდა; არასოდეს ოხრავდა, არასოდეს ჩიოდა და ხელს არც იმ მყარ საყელოს ახლებდა, ცოტა რომ შეეხსნა. მიუხედავად ამისა, ამ სამსახურისთვის განკუთვნილ, უხმაურო, უპრეტენზიო კაცს, თავის ბუნებრიობასთან შედარებით, საწინააღმდეგო დეფექტი ჰქონდა: ნერვიული მთქნარება სჭირდა, რაც შეუფერებელ დროსაც კი ემართებოდა.

ქალიშვილებს – ძინგალესებს – სწორედ ეს ხმა ჩარჩათ ცუდად გონებაში, რომელიც ერთდროულად ყმუილსაც ჰგავდა და ახალშობილის ტირილსაც და რომელიც ალდო პიშიტელომ ათჯერ მაინც გამოსცა კარმინეს ეკლესიაში – მათი მამის გასვენების დრო, წესს რომ უგებდნენ. მაშინ, ყველაზე უფროსმა ელენამ, ტირილი დაიწყო და ხმადაბლა დაიჩივლა:

– გული შემიწუხდა უკვე და აღარ მყოფნის ნებისყოფა, ამის მთქნარებას რომ ვუსმინო! მოსწყინდა, ალბათ, აქ ყოფნა!

პიშიტელოს, ამ დეფექტის გარდა, ერთი საიდუმლოც ჰქონდა, ერთი მწარე, გაუმჟღავნებელი საიდუმლო: ორმოცდაათ წლამდე ისე მიაღწია, რომ მუდმივ სამუშაო ადგილზე გამწესებული არ იყო.

– დღეს მუშაობ და ხვალ არ იცი, სად მოგისროლენ! – უყვიროდა მეუღლე წაჩხუბებისას, ის კი მაშინვე ფანჯრების დასახურავად მირბოდა, მეზობლებს რომ არ გაეგონათ.

– ჰო, აბა, – აჰყვებოდა მერე. – არც ერთ პოდესტას (ფაშისტური იტალიის ქალაქებში, 1926-1946 წწ-ში, უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობა – ქალაქის თავი – მთარგმნელი) არ გავუთავისუფლებივარ ჯერ და არც ერთი პოდესტა არ გამათავისუფლებს, არასოდეს, რადგან ყველა მაფასებს, ყველა პატივს მცემს! მართალია, ოფიციალურად არა, მაგრამ ისე ვარ, რომ მუდმივად ითვლება, მუდმივ ადგილზე მუშაობად!

1930 წლის ერთ დილას ის ქალაქის თავმა თავის კაბინეტში გამოიძახა და უთხრა:

– მე თქვენ უნდა გაგათავისუფლოთ, რადგან ფაშისტური პარტიის წევრი არა ხართ!

პიშიტელო გაფითრდა, თავი უკან გადასწია და წარმოიძახა:

– დედა!..

მერე მაგიდის წინ, ბამბით ამოტენილ სკამზე მოწყვეტით დაეცა.

– ასე ნუ შვრებით, ღმერთო ჩემო! – გააგრძელა პოდესტამ. – მე ჩემი საქმე პირნათლად უნდა შევასრულო, მომსახურე პერსონალი უნდა გამოვხშირო, რადგან, ჩვენში

დარჩეს და, აქ ბევრი უვარგისი და უსაქმური ადამიანია; მაგრამ თქვენ, თქვენი ცოლის გამო, ჩემი ცოლის მკერავი რომ არის...

– მკერავი, რატომ? – წარმოთქვა საცოდავად პიშიტელომ და მთქნარება აუვარდა. – მკერავად მე მას არ ვამუშავებ, მხოლოდ ხანდახან ეხმარება მეგობარ ქალებს!..

– ა, ჰო! – დაეთანხმა პოდესტაც. – მოკლედ, კარგს იზამთ, ფაშისტური პარტიის წვერი თუ გახდებით. გინდათ, ერთი რჩევა მოგცეთ? კანიკატის პარტიაში ჩაეწერეთ. მისი პოლიტიკური მდივანი ჩემი კლიენტია. მე ერთი სიტყვაც რომ ვუთხრა, თქვენ თქვენი მხრიდანაც დაამატებთ... მოკლედ, თქვენ განსაზღვრეთ... მიუხედავად იმისა, რომ ჩაწერები უკვე დახურულია, გზას მაინც მონახოთ, როგორ მოხვდეთ!..

– მე, – თქვა პიშიტელომ. – პოლიტიკაში არასოდეს ჩავრთულვარ და კარგადაც ვყოფილვარ!

– მაგრამ ახლა პარტიაში უნდა ჩაეწეროთ და მთქნარებისთვის დრო აღარ გაქვთ! გაიგეთ, რომ საქმე ლუკმაპურს ეხება? პურს – თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის! რამდენი გყავთ?

– სამი. ბოლო ჯერ კიდევ თოთოა.

– რამდენი წლის?

– დაიბადა ცხრა თვის შემდეგ, რაც ამ ქალაქს მისი ბრწყინვალება მუსოლინი ესტუმრა, გახსოვთ? მაშინ ქუდი რომ არ მოვიხადე, თავში წამომარტყეს... არა, მისი პატივისცემით ვამბობ!

– და შვილი ამ ამბავთან რა შუაშია?

– ჰო... იმ საღამოს, არ ვიცი, მოკლედ, ისე ვიყავი!.. ძალიან გაბრაზებული, ბატონო პოდესტა!.. მე ქუდს კი მოვიხდიდი, რომ მცოდნოდა... დაძინებასაც ვერ ვახერხებდი... ჩემი ცოლი ხელებს მიჭერდა... მე მისას ტირილით ვკოცნიდი... საბოლოოდ, ეს ბავშვიც გაჩნდა... არც ველოდით, ისე... არც იყო საჭირო...

– თქვენი ცოლი კარგი ქალბატონი უნდა იყოს! მოკლედ, პიშიტელო, შევთანხმდეთ: მე პერსონალის გათავისუფლების საქმეს შევაჩერებ, თქვენ კი ამასობაში პარტიაში უნდა ჩაეწეროთ!

– ბატონო პოდესტა, რომ არ...

– პიშიტელო, თქვენ გაგიჟდით, მგონი! ყოფილი დეპუტატები და მინისტრები ფაშისტურ პარტიაში გაწევრიანებისთვის რას არ გასცემდნენ, თვალსაც კი ამოითხრიდნენ! სამწუხაროდ, გასაყიდი ხარებივით იცნობენ უკვე მათ, როგორც გაბრაზებულ და აშვებულ დემოკრატებს, ამიტომ ჩვენთან ერთად ნავში ვერ ჩავისვამთ. მეტიც, ლაპარაკს თუ არ შეწყვეტენ, გადასახლებაშიც მოგვიწევს გაგზავნა!.. და თქვენ მახვეწებთ კიდევ აქ! თავი ვინ გგონიათ? რას აკეთებთ? ფაშიზმსა და დუჩეს გვიფურთხებთ? და მერე, შეწყვიტეთ ეს მთქნარება!

– ბატონო პოდესტა, მისი ბრწყინვალება მუსოლინი ღმერთია და მე... ჩემი დიდი პატივისცემა მას, მძღნერი ვარ! მაგრამ თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი, პოლიტიკაში რომ არ ვერეოდი...

– პიშიტელო, ნახვამდის! ხვალ მეტყვით, თქვენს ადგილას დარჩენას გადაწყვეტთ თუ პროფესიას შეიცვლით!

პიშიტელო ძლივს-ძლივს წამოდგა და თავი გამოსამშვიდობებლად ორჯერ დახარა, მაგრამ არავის შეუნიშნავს, რადგან შუბლზე ხელებმიჭერილი პოდესტა უკვე ფურცლებზე იყო თავდახრილი;

კარში გავიდა და პირველად თავის ცხოვრებაში, ორი თითი, საკინძის შესახსნელად, საყელოში

შეიცურა.

საღამოს სახლში რომ მივიდა, ცოლს ყველაფრი მოუყვა.

– და რა უნდა ქნა? – ჰკითხა ქალმა. – ჩაეწერე! გაწევრიანდი!

მან არაფერი უპასუხა, სანამ მთელი ყურადღებით მსხალი არ გათალა, ხელსახოცით დანა არ გაამშრალა, დაკეცა და ჯიბეში არ ჩაიდო.

– როზინა, – თქვა მერე. – მე ფაშისტი არა ვარ!

– ჰოდა, გახდი! – უპასუხა ცოლმაც.

ალდო პიშიტელომ არაფერი თქვა. ცოლს გათლილი მსხალი მიაწოდა, სიგარის ნარჩენს მოუკიდა, მაგიდაზე გადაჯვარედინებული ხელები დადო და კვამლს, რომელიც პირიდან ნელ-ნელა ამოსდიოდა, ყურება დაუწყო.

ვინ ეშმაკს უყურებდა იმ მარჯვენა თვალით ასე აწეული წარბიდან? და რა უცნაურ სიზმარს ხედავდა მარცხენა თვალში, დაძინებულს რომ უფრო უგავდა? თითქმის ორი საათი დაჰყო ასე და ვერც გაიგო, მაგიდა როდის ალაგდა, ჭერზე ჭაღი როდის ჩაქრა და როდის აინთო დერეფნის პატარა სინათლე, რომლის შუქიც მასთან ოდნავ შედიოდა,. ცოლი უკვე ლოგინში იწვა.

– ალდო! – იყვირა ქალმა. – მოდი, დაწექი, რაღაც უნდა გითხრა!

ხმის გაგონებაზე ისე გაწითლდა, თითქოს ცოლმა ქვაბში კერძის ამოჭმისას შეუსწროო. საღამოს წესები უცებ შეასრულა და საბანში შეძვრა.

– ბოლოს და ბოლოს, ფაშიზმი, – თქვა ცოლმა. – კარგი რამეა!

– არ ვამბობ, არა-მეთქი! – უპასუხა მანაც, სხვის აზრს რომ ყოველთვის პატივს სცემდა.

– გზები დააგეს, წესრიგია, ადამიანებს აღარავინ აწუხებს, კრიმინალი აღარაა! გახსოვს, ნამცხვრები რომ გეჭირა ხელში და კომუნისტებმა დაგისტვინეს? ჩვენი არც კი ყოფილა ისინი!..

– ბატონი პოდესტასი იყო. – თქვა პიშიტელომ.

– მომწონს ძალიან, ახალგაზრდებს როგორ ზრდიან! იცოდე, რომ ახალგაზრდები მუსოლინისთვის გიჟდებიან!

– არა, არ ვამბობ არა- მეთქი, მაგრამ მე ყოველთვის ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული და ახლა არ ვიცი, რა უნდათ ამ ფაშიზმით!

– მისმინე, – უთხრა ცოლმა, სიბრაზე რომ მოერია უკვე. – ათასობით ადამიანი, შენზე და ჩემზე უკეთესიც, ამბობს, რომ ფაშიზმი კარგია და სასარგებლო და შენ ამდენს ლაპარაკობ, იმიტომ რომ პარტიაში არ გაწევრიანდე?

– არა, მე ამას ვაფასებ, მაგრამ ნახე...

– და პაპი? იცი, რა თქვა პაპმა? რომ ის ადამიანი ჩვენ ღმერთმა გამოგვიგზავნა! ახლა პაპს, მიწაზე რომ ღვთის სახეს წარმოადგენს, როგორ გგონია, მაზე ნაფიქრი არ ექნება?

და ასე ლაპარაკობდა ცოლი, სანამ არ მიხვდა, რომ მარჯვენა იდაყვზე ჩამოყრდნობილ ქმარს უკვე ეძინა. მერე ნელ-ნელა გადაბრუნდა, პირაღმა დაწვა და თავის თავთან ფიქრი განაგრძო.

დილის ორი საათისთვის ნაფიქრის დასკვნას რომ ვეღარ გაუძლო, ქმარი გააღვიძა:

– არა, შენ მე უნდა მითხრა ახლა, თავი პაპზე ჭკვიანი გგონია?

– რა? პაპი? – წამოიძახა ალდო პიშიტელომ. მასში პაპის, იმპერატორების, მეფეების, დიქტატორების, მინისტრების, გენერლებისა და მათი მსგავსების ბნელი, ჩახლართული აზრები ღამით შიშის განცდასაც კი იწვევდა, რადგან იმ ხრამებს

ამსგავსებდა, სადაც მხოლოდ ქარი უბერავდა, მეტი არაფერი, მაგრამ მერე დამშვიდდა, თვალები დახუჭა და ნელ-ნელა, პირში ნერწყვის ბუშტულის გამოსვლით თქვა:

– ხვალ ფაშისტურ პარტიაში ჩავეწერები!

1930-1934 წლებში ალდო პიშიტელოს ცხოვრების შესახებ არავინ იცოდა რამე. თავისი უბრალოებით ის ყველასთვის შეუმჩნეველი დარჩა.

ფაშისტური პარტიის ემბლემა მის პიჯაკზე ჭიამაიასავით იყო დასმული, რომელსაც დროგამოშვებით თვალების მოქცევით უყურებდა, ისეთი მაცდური გამოხედვით, რომ ნებისმიერს შეეძლო ეთქვა: „უყვარს, მოსწონს, ეზიზღება, აშინებს, უხერხულ მდგომარეობაში აგდებს, აწუხებს, უღიტინებს, აქავებინებს, ახლა მოიძრობს, ახლა შეჭამს, არა, შეუბერავს, აგერ-აგერ აკოცებს...“

მაგრამ ის მხოლოდ მარცხენა მკლავის სახელოს გადასმით კმაყოფილდებოდა, თითქოს გაპრიალება უნდაო და სარეგისტრაციო ჟურნალებში წერას აგრძელებდა.

მისი პირიდან პოლიტიკური აზრის გამოძალვას ვერავინ ახერხებდა. თავის მოვალეობას მთელი ყურადღებით ასრულებდა, რაც პარტიაში წევრობისთვის საჭირო იყო და რასაც ოცი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში მუშაობისას აკეთებდა. შავ პერანგს იცვამდა მაშინ, როცა უნდა ჩაეცვა. გაზეთ „პარტიის ორგანოს“ კითხულობდა, რაიონში გამართულ შეკრებებს ესწრებოდა, შაბათობით სხვებთან ერთად მუზეუმებს ათვალიერებდა და მუნიციპალიტეტის მუშაკების ნაბიჯების ცივ მარმარილოს ქანდაკებებზე გადაცემულ ექოებს უსმენდა. იმ პერიოდში იტალიელები, იქნებოდნენ ისინი ახალგაზრდები თუ მოხუცები, დიდ ემოციებს გამოხატავდნენ და ჯარისკაცულად გადაპარსული, მხრებზე მყარად დაჭერილი თავებით ამაყად დადიოდნენ. ალდო პიშიტელოს სახეს კი ისევ ის ძველი სითბო და ლმობიერი გამომეტყველება ჰქონდა შერჩენილი, რაც მას დროით გაყვითლებული პორტრეტის იერს უფრო აძლევდა, ვიდრე ნამდვილი იტალიელისას. ეს გამომეტყველება განყოფილების გამგემაც შენიშნა, როცა ოფიციალური დავალებით რაიონული საკრებულოდან აუდიტორიაში გაგზავნა.

– თქვენ, ამხანაგო! – დაუძახა.

– მე? – უპასუხა პიშიტელომ ზედმეტად თავაზიანი ღიმილით.

– დიახ, თქვენ!..

განყოფილების გამგე მას ჯერ დაკვირვებით მიაჩერდა, მერე იფიქრა, ეს კაცი ცოტა უცნაურად იქცევაო და მხოლოდ ამ წამოძახილით დაკმაყოფილდა:

– ჯანდაბა!

ბოლოს პიშიტელოს ჯაშუში დაუნიშნეს, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ დაჰყვებოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ საშიშ პიროვნებად თვლიდნენ, არამედ საცდელად, დასაკვირვებლად, თანაც ბევრი იყო ისეთი, რომ აღარ იცოდა, დღეები როგორ გაეყვანა.

ჯაშუშმა უფროსს პიშიტელოს შესახებ პოლიტიკური ხასიათის მხოლოდ შვიდი სიტყვა მოახსენა და შვიდივე ფაშისტური პარტიის მიმართ პატივისცემით იყო სავსე. დაამატა ასევე, რომ დუჩეს „კუატრო კანტისთან“ განთავსებული სამი მეტრი სიგრძისა და მეტრ-ნახევარი სიგანის ფოტოს წინ გავლისას, პიშიტელოს ჩვევად ქუდის მოხდა ჰქონდა; და ბოლოს, მსუბუქად ეჭვმიტანილი, მაგრამ არა პოლიტიკური შინაარსის წინადადებით დაასრულა, რომელიც პიშიტელოს

მოსამართლისთვის უთქვამს: „ჩემი სიდედრი თავისი ხელფასით რომ არ მეხმარებოდეს, გარწმუნებთ, წინ ვერ წავიდოდით...“

1934 წელი იდგა და პიშიტელოს სახლში ყოველდღიურად ორჯერ თუ სამჯერ ნაკლები იჭმებოდა იმასთან შედარებით, რაც ორმოცდათოთხმეტი წლის მამაკაცისთვის იყო აუცილებელი, თანაც გამხდრისთვის; ქალისთვის, რომელიც სახლში და შეიძლება გარეთაც მუშაობდა (ამისათვის პიშიტელოს ყურადღება არასოდეს მიუქცევია) და სამი ბავშვისთვის, რომლებიც, გარდა იმისა, რომ მგლებივით შიოდათ, პარტიის ლექსიკით, „მგლის ლეკვებად“ იყვნენ სახელდებულნი.

როცა გაიგეს, პარტიულ მუშაკებს, სახელმწიფო მამაშვილურად 2000 ლირას დაურიგებსო, პიშიტელოს ცოლი ისე ჩაეხუტა, რომ სული შეეკრა და კარგა ხანსაც ახველა.

– ჩვენ რა შუაში ვართ! – თქვა მერე მეუღლესა და შვილებზე თვალის გადავლებით. – პარტიის წევრები კი არ ვართ!

– მოიცა ერთი! – უთხრა როზინამ. – მაინც რა მიამიტი ხარ შენ!

არავინ იცის, იმ ალქაჯმა ქალმა რა მოიმოქმედა, მაგრამ ოცი დღის შემდეგ ალდო პიშიტელომ შეიტყო, რომ ფაშისტურ პარტიაში 1921 წლიდან ყოფილა თურმე გაწევრიანებული და ახლა უკვე დაწინაურებაც ელოდა; თან შავი პერანგი უნდა ეტარებინა, ზედ წითელი ლენტით, რაც დაღვრილ სისხლს ნიშნავდა, როგორც თავისი, ისე – სხვისი მხრიდან. იმ დღეს, როცა სახლში 2000 ლირა მიუტანეს და მაგიდაზე დაუწყვეს, ცოლს ძალიან გაუხარდა და ქმარს პიჯაკის მაჯებზე მაშინვე ორი წითელი ლენტი მიაკერა. პიშიტელოს ჩვეულ გამომეტყველებას ერთი ასპექტიც შეემატა: ის ყოველთვის მოკუმული პირით დადიოდა, მაგრამ, თუ უნდა ელაპარაკა ან გაეცინა, ოდნავ აღებდა, მერე კი მაშინვე კუმავდა, სანამ ბოლო სიტყვის დასასრულს წარმოთქვამდა, ან გაცინება მოუწევდა. იმ დღიდან პირი სულ მოკუმული ჰქონდა, ტუჩებსაც არ ხსნიდა.

ამ გამორჩეული გამომეტყველებით გაატარა მან მთელი 1934 წელი და 1935 წლის დასაწყისი.

მისი საუბრები, ისედაც რამდენიმე სიტყვით რომ შემოიფარგლებოდა, ახლა მხოლოდ ორიოდე მარცვალიღა იყო; ქმედებები და ჩვევები, რამდენადაც მშვიდი, შინაური ცხოველივით კაცი იყო, ახლა პოლიტიკური წესების შესაბამისი გაუხდა.

მისი სახე ფაშისტური ესკადრის ბევრ სურათში ფიგურირებდა უკვე, მაგრამ იმ უცნაური გამომეტყველებით, რომელიც ბოლო დროს ჰქონდა შეძენილი. სახელიც არაერთ მნიშვნელოვან ალბომში ეწერა, რომლებიც მინისტრებისა და პარტიის ინსპექტორებისთვის საჩვენებლად დროშის სამფეროვანი ლენტით იყო შემოხვეული. პოდესტა, როცა ქვემდგომებს მიმართავდა და, ჩვენ, ბებერი ფაშისტებიო, ამბობდა, ყოველთვის მას გადახედავდა ხოლმე.

„კი, როგორ არა!“, იმ დღესვე უპასუხა მანაც მეგობარს, უნიფორმის ჩექმებთან ერთად ტარება ხელშეუხებელი და წმინდათა წმინდა საქმე თუ არის შენთვისო, რომ ჰკითხა. მერე ისეთი სახე მიიღო, თითქოს თანხმობით გაუღიმაო, მაგრამ სინამდვილეში მოეღრანცა, რაც ებრაელების დევნით გამოწვეულ განცდას უფრო გამოხატავდა. სახლში დაბრუნებულმა კი, ამ ორმოცდათოთხმეტი წლის კაცმა ასეთი რამ ჩაიდინა: რომ შევიდა და ნახა, არავინ იყო, პიჯაკს სიმბოლო მოგლიჯა, ზედ ორჯერ და-

აფურთხა, ძირს დააგდო და ფეხით გათელა; მერე ასე, ტარაკანივით გაბრტყელებული აიღო, ცოტა ხნით თვალებთან მიიტანა, საშარდავ ქოთანში ჩააგდო და ზედ დააფსა; ბოლოს ჯოხით ამოიღო, საპნითა და წყლით, როგორც შეძლო, გარეცხა, გაასწორა და პიჯაკის ანჯამაში გაუყარა.

ცოლი და შვილები სახლში რომ დაბრუნდნენ, ალდო პიშიტელო სასადილო ოთახის კუთხეში ჩუმად, თვალებგაშტერებული დახვდათ. მკერდი სიცხიანი ფრინველივით ზევით-ქვევით აუდი-ჩაუდიოდა.

– რა დაემართა? – გაიფიქრა ცოლმა და ტუჩებიდან პომადა ხელის ზედაპირით მალულად მოიწმინდა. – მარია, მოდი აქ! – დაუძახა მერე უფროს შვილს, რომელიც ქურთუკის სწორებით მიუახლოვდა, მხვილ მკერდზე ლამაზად რომ უჭერდა და დაკიდებულ ხის M-ს უქანავებდა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა ცოლმა.

ალდო პიშიტელომ ცოლსა და ქალიშვილს შეხედა, ტუჩები მშვილდისარივით გადმოღუნა და თქვა:

– რას ჰგავხართ ერთი!

ამ მომენტიდან ალდო პიშტელოს ცხოვრება საერთოდ შეიცვალა, სულ სხვა ადამიანისას დაემსგავსა.

რა ჯანდაბა უქნეს ამ მშვიდ ადამიანს, პოლიტიკით დაკავებული რომ არასოდეს ყოფილა, დიდი იდეალებიც არ ჰქონია, არც ამბიციები ჰქონია და არც თავისი გეგმებისთვის თავისუფალი სივრცეების საჭიროება მოუთხოვია?! რომელ საიდუმლო წერტილში შეეხეს მას? ასე, აზრის გამოტანის გარეშე, როგორ შეძლო საზოგადოებამ, რომელშიც ის ცხოვრობდა, მისთვის ყელში წაეჭირა და იმ მამალივით აეფართხალებინა, ზრახვებს რომ მოულოდნელად მიუხვდა, თითქოს მეფერება, მაგრამ მალულად კი მახრჩობსო? – პასუხი არა გვაქვს!

რა თქმა უნდა, მისი სიტყვების შემდეგ შეცბუნებულმა დედა-შვილმა, სახლში ვინმე ხომ არ შემოვიდაო, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ არავინ იყო და საცოდავად გაოცებულებმა არანორმალური რეალობის აღქმა სცადეს. ამ წარმოუდგენელი სიტყვების ავტორი და მთქმელი სწორედ მათი მამა და ქმარი იყო; სხვა არავინ, თუ არა ის თავაზიანი კაცი, რომელიც ყოველთვის, „კი, როგორ არას“ ამბობდა; დილაობით, ოჯახი რომ არ გაეღვიძებინა, ფეხსაცმელებს წმენდისას ჩუმადჩუმად აფურთხებდა; და საღამოობით, უჯრებიან ტუმბოზე პერანგის საყელოს დებდა, მთელი დღის მანძილზე მოკუმული პირიდან ნაწვეთი ღიმილივით გაცვეთილი რომ ჩანდა.

მაგრამ იმ საღამოს შემდეგ ღიმილის მზგავსი სხვა არაფერი დარჩენილიყო, გარდა მოგონებისა. სიძულვილი, დაუოკებელი სიძულვილი ჩასახოდა სულში ალდო პიშიტელოს.

მას ისეთი უწონასწორობის მომგვრელი განცდა დაეუფლა და ძლიერი, სეტყვანარევი ქარივით დაუბერა, რომ კაცმა თითქოს ჭრიალი დაიწყო და ყოველი მხრიდან შეირყაო. ერთ ადგილას მშვიდად გაჩერება აღარ შეეძლო უკვე, პირსაც ველარ კუმავდა მთლიანად და ვერ იძინებდა. ზოგიერთი სიტყვა ძილშიაც წამოსცდებოდა ხოლმე: „პირუტყვები! რქებდადგმულები!..“. მართალია, დაბალ ხმაზე ამბობდა, მაგრამ ერთი ამოსუნთქვით, ნერწყვის წვეთით ბოლოში, რომელიც მერე ბალიშს ან როზინას მხარს ასველებდა.

ქუჩაში მარჯვენა ხელს ყოველთვის უარყოფის ნიშნად აქნევდა,

გამვლელებს ჯოჯოხეთში ისტუმრებდა. იმ დროს, როცა ყველა ამაყი და ოპტიმისტი იყო, ცარიელ ქუჩაში ვიოლინოც კი რიტმს ანელებდა; მეშვიდე სართულის ბავშვები, თავს ღრუბლებთან ახლოს რომ გრძნობდნენ, ჰიმნს იზეპირებდნენ; მაგიდასთან მჯდარი სამოცი წლის მასწავლებელიც, პირველად თავის სიცოცხლეში, ლუკმიდან ლუკმაზე გადასვლისას რომ ღიღინებდა; ღამით გზაზე მიმავალი მთვრალი კაცი ლამპიონის ბოძს მხრებით რომ აწვებოდა და ირგვლივ შემოვლით ღრიალებდა: „ჩვენ და-ვე-უფლებიით სამ-ყა-როოს!“; და დღისით და ღამით აივნებზე მიმაგრებული დროშები ფრიალებდა, სახლში დაბრუნებული ალდო პიშიტელო კარის ყოველი მიახლოებისას თავის უიმედობით სავსე „მდა!“-ს წარმოთქვამდა.

პოლიტიკურ ცერემონიებს ძველებურად ესწრებოდა, შეიძლება უფრო დარწმუნებითაც; მხრებაწეული მიდიოდა, თითქოს იმ მტანჯველი და ამავე დროს, სასიამოვნო განცდის ჩახშობა უნდა, რომელიც მთლად აცახცახებსო.

აი, რაიონული ცენტრის დარაბაზშიც: ის უკვე თავის საძულველ ნივთებთან ძალიან ახლოს იდგა, თითქმის ცხვირით შეეძლო მათი შეხება. ყველა მხრიდან მოზღვავებული ოცნებებითა და საშინელი ფიქრებით იყო შებოჭილი. როგორც უზარმაზარი გამადიდებელი შუშით, ისე შეეძლო შეეხედა, თუ რა დებილები, სულელები და მოძალადეები იდგნენ მარჯვნივ, მარცხნივ კი – ლაჩრები, ნაძირლები, ზნედაცემულები, მოღალატეები და მახინჯები! მისთვის ფედერალური მდივნის გვერდით მოხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო, გონებაში მაინც რომ ეთქვა: „უჰ, შე ყვერო!“; როცა ქანდაკებასავით დგებოდა და ამოსუნთქვით მკერდზე მიბნეულ ლენტებს, დიდ-პატარა მედლებს, თავის ქალებსა და ხანჯლებს მოზრდილი ძუძუებივით მაღლა სწევდა, მისგან ერთ ნაბიჯზე მდგომი, უბრალო გამომეტყველების ალდო პიშიტელო გონებაში ეუბნებოდა – „თაღლითო! ქურდო! დიახ, ქურდო!“

საზაფხულო შეკრებებში მისი სიხარული უკიდურესობას აღწევდა, რადგან ჩვეულ სიამოვნებებს სხვაც ემატებოდა – ყნოსვის სიამოვნება. ისე გრძნობდა მათ აყროლებულ სუნს, როგორც სქელ მატყლიან ცხვრებს.

– ოჰ, ეს ცხოველები! – ცრიდა კბილებში და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, რომ პოლიტიკური მდივნისა და ფედერალური ადმინისტრატორის სუნი ერთმანეთისთვის შეედარებინა.

– ოჰ, ეს ცხოველები!

28 ოქტომბერს, რომის საზეიმო წლისთავთან დაკავშირებით, ის დილაადრიან ადგა და საკუთარ თავს განსაკუთრებული სიამოვნება მიანიჭა: სახლის ყველაზე პატარა ოთახში შევიდა, სიგარა „რომს“ მოუკიდა და ნელ-ნელა მოწევა დაიწყო, თან ხელს ყველა მხრიდან უყურებდა, საჩვენებელ და შუათითს შორის მოსაწევი რომ ეჭირა. დიდი სიმშვიდე ჩანდა მის მარჯვენა თვალში, უფრო მეტი კი – მარცხენაში; ცხვირი ჰაერში წყალში ჩადებული ყვავილის ფეხივით ჰქონდა გაჩერებული. მისი პირიდან ჩუმი გამონაბოლქვები გამოდიოდა.

ცხოვრება იყო მას უყურადღებოდ რომ ექცეოდა და არა პირიქით, ის – ცხოვრებას. სამეცნიერო სახლის საათმა, რვა საათზე რომ დარეკა, ალდო პიშტელომ სიგარა უხეშად ჩააქრო, ფეხზე წამოხტა, ოთახი დატოვა და საძინებლისკენ

სწრაფი ნაბიჯებით წავიდა. მძინარე ცოლისთვის ყურადღება არც მიუქცევია, კარადის კარი გააღო და რაღაცის ძებნა დაიწყო.

– რას ეძებ, შეიძლება გავიგო? – ჰკითხა ცოლმა და ლოყებზე ხელები გადაისვა.

ამასობაში პიშიტელომ თეთრეულის გროვიდან სამგლოვიარო ქსოვილივით რაღაც გამოიღო. შავი პერანგი იყო.

– ღმერთო ჩემო, როზინა, ეს პერანგი დასვრილია? ვინ დასვარა ასე?

– მე არ ვიცი!

ცოტა ხანში გაახსენდა, რომ ერთ საღამოს, ბოლო ფაშისტური ზეიმიდან დაბრუნებულმა, სანამ შეინახავდა, ზედ იცეკვა.

– გინდა, გაგიუთოვო? – ჰკითხა ცოლმა.

– არა, როზინა! ლოგინში იყავი, მე გავაკეთებ!

თვითონ უნდოდა გაკეთება და არც არავინ შეწინააღმდეგებია. უთოც მან ჩართო, პერანგიც გააუთოვა და ჯაგრისითაც გაწმინდა.

მარტო უნდოდა ყოფნა, რადგან ამ ქმედებების შესრულებაში უცნაურ სიტყვებსაც წარმოთქვამდა.

უკვე ჩაიცვა მეუღლე და შვილები უყურებდნენ, თუ როგორ დადიოდა ოთახში თეთრი ტრუსითა და შავი პერანგით, ხელში ზუავის შარვალი ეჭირა. აქეთ-იქით დადიოდა, მოსახერხებელ ადგილს ეძებდა და თავის უცნაურ სიტყვებს უფრო ნელა ამბობდა.

როგორც იქნა, ასეთი ადგილი სასადილო ოთახში იპოვა, კედელსა და კარადას შორის. იქ დაბალ სკამზე დაჯდა, ჰაერში გამხდარი ფეხები ასწია და ზუავის შარვალში ჩაუყარა. ბოლომდე რომ მიაწვა, წვივებზე თასმები შემოიკრა, მაგრამ ამით არ დამთავრებულა, საქმე ახლა იწყებოდა: ჩექმები მის წინ ისე გაიმართა, თითქოს ეუბნებოდნენ, ახლა ვნახავთ, როგორ ჩაგვიცვამო!

– როზინა! – იყვირა, რომ მიხვდა, მარტო ვეღარაფერს გახდებოდა. – შენ, მარია, მგლის ლეკვო, დამეხმარე!

დედა და შვილი ლოგინიდან წამოვარდნენ, მის წინ ჩაიმუხლნენ და ჩექმის ჩაცმას შეეცადნენ; ქუსლზე მთელი ძალით მიაწვენ, ის კი მოსაქაჩებს კუნთების გასკდომამდე ჩაეჭიდა. ყველაფრის მიუხედავად, სამივეს ძალდატანება ამაო გამოდგა, მაშინ პიშიტელო გაბრაზდა და ყვირილი მორთო:

– მეკარეს დაუძახეთ, თქვენ არაფერი გეხერხებათ!

მეკარე, რაიონული ცენტრის სანდო ადამიანი, ერთადერთი იყო მთელ შენობაში, ჩექმის ჩასაცმელ მაშველს რომ ფლობდა და მაშინ ზედა სართულზე, სასამართლოს პრეზიდენტის მისახმარებლად იმყოფებოდა, რომელიც სიმსუქნის გამო შეკრებებისთვის დროზე ჩაცმას ვერ ახერხებდა და ისე იჭინთებოდა, რომ ცრემლებამდეც კი მიდიოდა.

ღვთის წყალობით, ალდო პიშიტელომ ფეხზე დადგომა მოახერხა. ნაბდის პიჯაკი ჩაიცვა, გამხდარ მუცელზე ტყავის ქამარი შემოიკრა და სარკის წინ გაიმართა. ამასობაში ცოლმა შვილს ამოხვნეშით უთხრა:

– ნაჭერი მოძებნე რამე!

არც არასოდეს მომხდარა მანამდე, რომ სარკეს მისი პატრონის ჩაცმისას ნახველი არ სცემოდა, რომელიც ჯერ გულსაკიდივით ერთ ადგილას იყო მიწებებული, მერე კი სრიალით, თანდათან ჩამოდიოდა, იშლებოდა და ბოლოს, ვერ გაიგებდით, სარკე ბოროტულად იცინის თუ ეშმაკმა იცის მხოლოდ, როგორ ტირისო.

სასამართლოს პრეზიდენტი ალდო პიშიტელოს კიბეზე შეხვდა. პარტიის წევრი იყო ისიც და დაუძლურებული, ყვითელი ხელის თავზემოთ აწევით პირველად თვითონ მიესალმა. პიშიტელომ გზა დაუთმო, რომ მერე უკნიდან ეყურებინა, სანახაობით დამტკბარიყო, თუ როგორ გამოკვეთილად ჩაეკბიჩა და ჩაეჭირა ძლიერ დაქაჩულ ტყავებს მისი მსუქანი, ხორციანი ტანი.

მაგრამ ის სამახსოვრო დღე მხოლოდ ამ სანახაობით არ შემოფარგლულა: უნივერსიტეტის ფეხზე ძლივს მდგომ მოხუც პროფესორებს და ძალიან მსუქან ახალგაზრდებს, რომლებსაც უკვე სათითაოდ იცნობდა, მთავარ ქუჩაზე თუ ვერ ნახავდა, კაფეში ეძებდა ან თავშეყრის სხვა პატარა ადგილებში, სადაც შედიოდნენ ხოლმე.

ფეხების ტკივილს ის სიკვდილამდე მიჰყავდა და მაღაზიის ვიტრინების წინ გავლა ხელოვნების ნიმუშების წარდგენასავით ეჩვენა, რადგან მისი ჩექმები და დაბნეულობისგან მწვანედ შეფერილი სახე დაინახა. ცოტა არ იყოს, შეცბა და ხელის გული პირიდან გამოსული ჰაერის შესასუნთქად ტუჩებზე მიიფარა. მიხვდა, ღვიძლის საქმე კარგად რომ არ ჰქონდა.

– არაუშავს! – გაიფიქრა და სახლში რომ მივიდა, – როგორ შევიცვალეთ, ღმერთო ჩემო, მეომრები კი არადა!.. – წამოიყვირა.

– ჰო, აბა!.. – უპასუხა სარკასტულად ცოლმა. – ასე არაა? იტალიელების საშუალო სიმაღლემ ერთი სანტიმეტრით არ მოიმატა, რაც ფაშისტური წყობა დადგა?

– არა, არაა მართალი! – იყვირა მან.

– შენი აზრით, არაა მართალი! შენი აზრით, ისინი ყოველთვის ტყუილებს ამბობენ!

– სიმართლეს არ აღიარებ შენ! – ჩაილაპარაკა ცოლმა.

– რასაც ამბობენ, მე მეზიზღება! მიწაში ჩავყოფდი თავს, მათი ხმა რომ არ გავიგონო!

მაგრამ ამასობაში, სანამ ერთმანეთს ეკამათებოდნენ, ხმას უფრო უწევდნენ და ყურში ჩასძახოდნენ, მეზობლების ჩართულმა რადიოებმაც ჭიქებს, გრაფინებს, აივნებისა და კარადების მინებს ცახცახი დაიწყებინა. ყველგან ტაშისკვრა, „ვაშა!“ „გაუმარჯოს!“, „რწმენა!“, „შესრულება!“და „ბრძოლა!“ გაისმა. სავაჭრო შენობებზე ეთიოპიის ომის გამო მიმაგრებულმა მეგაფონებმა ფაშისტების ყვირილით ქუჩები აავსო. ბრძანებებმა, მითითებებმა, მოწოდებებმა, წახალისებებმა, ვინმეს სასარგებლო და საწინააღმდეგო მინიშნებებმა, ხელმძღვანელთა პორტრეტებმა, სარეკლამო კალენდრებზე, ჟურნალებზე, შვილების წიგნებსა და რვეულებზე დატანებულმა გამოსახულებებმა სახლები აავსო.

– გავგიჟდები! – თქვა მან.

– არა, – უთხრა ცოლმა. – შენ უკვე გიჟი ხარ!

1936-37 წლები ალდო პიშიტელოსთვის ყველაზე შავი წლები გადმოდგა. თავს ისე მარტოსულად გრძნობდა, როგორც ბუზი – იანვარში და ტროტუარის იმ ადგილზე გავლისა ეშინოდა, სადაც დროშების ჩრდილები ქარიშხალივით ტრიალებდა.

მაშინ იყო ზუსტად, ადვოკატმა პადალინომ, ყოფილმა დემოკრატმა და არაპარტიულმა, რომ უთხრა:

– ძვირფასო პიშიტელო, ისინი მართლები არიან! ვერ ხედავთ, რომ იმარჯვებენ?

ბუღალტრების უფროსმა კი, ერთხელ დუჩეს პორტრეტს რომ მიაფურთხა, რომიდან დაბრუნებისას გვერდზე გაიყვანა და გაუმხილა:

– ეს ახალი ქუდი ძალიან გიხდებათ, ლათინური წარმომავლობის იერს გაძლევთ!

და მოხუცმა ფარმაცევტმა პლატანიამ, გადასახლებიდან ჩამოსულმა, ცარიელ ქუჩაში ერთად სეირნობისას, გაჭაღარავებული წვერის მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალით ჩაუჩურჩულა:

– ფრთხილად, ფრთხილად, ბატონო პიშიტელო, ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ!

ერთ საღამოს ცოლმა მაგიდა სწრაფად აალაგა, წინ დაუჯდა, გადაჯვარედინებული ხელები დააწყო, ზედ მკერდი დაადო და უთხრა:

– თქვი ერთი, ფაშიზმმა შენ ცუდი რა გაგიკეთა?

ალდო პიშიტელო ისე გაწითლდა, როგორც დიდი სიამოვნების მიღებით ემართებათ ხოლმე. გონებაში ათასობით იმპულსი დაუტრიალდა და უამრავი სიტყვა მოაწვა, რითაც შეეძლო მეორე დღემდე დაუსრულებლად ესაუბრა, მაგრამ პირი რომ გააღო, ვეღარაფერი ამოთქვა, მხოლოდ ეს არგუმენტები დაასახელა:

– ყველაფერი ცუდი მან გააკეთა, მომღერლებს თეატრებში „ბის“-ის შესრულება აღარ შეუძლიათ, ერთი ფინჯანი ყავის დალევის სიამოვნებაც წაგვართვა, ყველას თქვენობით უნდა მივმართოთ და მე უწვერო უფროსიც კი შენობით მომმართავს: შენ, შენ, შენ... – და სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქვა, როგორაც მიმართავდნენ. – ახალგაზრდებს დილიდან საღამომდე სიმღერას ასწავლიან, თითქოს თეატრში იყვნენ, იმის მაგივრად, რომ ზრდილობა ასწავლონ; ყველას ხელის აწევით უნდა მივესალმოთ, თითქოს ჯოხის მოქნევისგან ან შეფურთხებისგან ვიცავდეთ თავს; ბოლოს, ჩექმებიც კი უნდა ჩავიცვათ!

სიჩუმე ჩამოვარდა.

– მხოლოდ ესაა? – თქვა ცოლმა.

ალდო პიშიტელო დაიბნა და მაგიდაზე თვალები დახარა. მერე ისე ასწია, თითქოს სათქმელი ამძიმებდაო. ბევრის თქმა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ.

რატომ არ მოაფიქრდა მილტონის ან ლეოპარდის ლექსი თავისუფლებაზე ანდა აკრძალული ფილოსოფოსის წიგნი? რატომ არ მოევლინა რამე საშველად ამ საცოდავ კაცს, ტანჯვის გამო რომ აღარაფერი ახსოვდა და ვერ ამბობდა, რასაც განიცდიდა? ასე, ერთი პატარა, მხოლოდ პროფესიული განათლების მქონე ქალი მასზე მართალი გამოდგა და ქილიკი დაუწყო. მან თავი მაღალი ღირებულებებისგან მიტოვებულად იგრძნო, რის გამოც ძალიან აღელდა და აივანზე ცის საყურებლად გავიდა.

წმინდა და ნათელმა ვარსკვლავებმა, იერარქების თვალებისგანაც განსხვავებულებმა უთხრეს, რომ ის მართალი იყო, მაგრამ ამან გამბედაობა მხოლოდ რაღაც ეტაპამდე მისცა. ვარსკვლავებს მისთვის სიმართლის მიზეზი არც კი დაუსახელებიათ.

საბედნიეროდ, სერენადის ხმა შემოესმა, რამაც გონება ცოტა გაუნათა.

– მუსიკაც აღარ გვაქვს! – იყვირა აივნიდან სახლში შესულმა. – ერთ დროს ულამაზეს ოპერებს დგამდნენ: „აიდა“, „ტრავიატა“, „მადამ ბატერფლაი“, „მხიარული ქვრივი“... აღარავინ ქმნის უკვე მუსიკას!

– და რატომ? – თქვა ცივი ხმით ცოლმა. – ვინ უშლით? რატომ არ ქმნიან?

კაცმა მარჯვენა ხელის ფრჩხილები მარცხენა ხელის გულში ჩაირჭო, კანი მთელი არსებით შეგრძნო. მიზეზი იმისა, რომ მუსიკა აღარ იქ-

მნებოდა, ცუდად ხდიდა, ცივ ოფლს ასხამდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მძიმედ ეთქვა, როგორ გამოეხატა. ისე შეიქნა, რომ ღამით ბალიში დაკბინა, მისი საფარიც დაწიწკნა და ბუმბულს ტუჩებით შეეხო.

საშინელი ღამე გაატარა!..

მან შური ერთი წლის შემდეგ იძია, ესპანეთის ომის დროს. ცოლი გააღვიძა, რომელმაც წინა საღამოს რადიოს ტაში დაუკრა, ვალენსიას დაბომბვას რომ აცხადებდა.

– და შენ ხარ კათოლიკე? და შენ ხარ ქრისტიანი? და შენ იწერ პირჯვარს იესოს ხატზე კოცნით? შენ, ქალაქის დაბომბვა რომ გსიამოვნებს, სადაც ბავშვები, შენზე უკეთესი ქალები და ავადმყოფები ცხოვრობენ?

ცოლი ისე მოიქცა, ვითომ მისი სიტყვები არ გაუგონია, მაგრამ გამთენიისას მაინც უპასუხა:

– მთავარია, რომ გავიმარჯვოთ და ნაძლევს დავდებ, – საწოლზე დასაჯდომად დროშასავით წამოიწია. – რომ შენ იტალიის გამარჯვება არ გინდა!

კაციც წამოდგა, ქალს გვერდით მიუჯდა, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

– დიახ, მართალი ხარ! არ მინდა, რომ იტალიამ გაიმარჯვოს!

– და რატომ?

როგორც ყოველთვის, ალდო პიშიტელომ აღარ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ იცოდა, რომ არსებობდა რაღაც, რაც ვარსკვლავებიან ცასავით ღამით ბრწყინავდა და დღისით მზესავით ანათებდა. მაშინ ცოლის ნიკაპს ხელი ჩაავლო, თავისკენ ძლიერ მოიზიდა, ცხვირი ცხვირთან მიუახლოვა, კბილები ერთმანეთს დააჭირა, ტუჩები გახსნა და დამარცვლით უთხრა:

– იმიტომ, რომ არ მომწონს!

ძვირი დაუჯდა იმ საღამოს ასეთი ქცევა, რადგან წლების მანძილზე მიძინებული მთქნარება გაეღვიძა და ლოყებზე მოეჭირა, მაგრამ ამჯერად ასეთი სიახლით: მთქნარებას მთლიანად ვერ ასრულებდა, მხოლოდ პირს აღებდა და ქვიშაზე ამოყვანილი თევზივით, რამდენიმე წუთის განმავლობაში ასე რჩებოდა.

ცოლთან საუბარი ხუთი საღამოს შემდეგ ასეთი სიტყვებით გააგრძელა:

– მე ვგიჟდებოდი იტალიაზე! სამეფო მარშს რომ ვუსმენდი, ყოველთვის მეტირებოდა!.. მაგრამ ეს, – დაამატა უჩვეულო ხმით. – იტალია არაა! ესენი ერთი მუჭა ნაძირლები არიან, რომლებსაც ჩვენი სისხლის დაქცევა უნდათ, კიდევ უფრო რომ დაგვამონონ! ეს იტალია თუ გაიმარჯვებს, იტალიელები დაჰკარგავენ იმას... იმას... – აქ ენა დაება, მოსწავლესავით ფრთხილად შებრუნდა და ფურცლებში ჩუმად ჩახედვას შეეცადა, ხელში რომ ჰქონდა მოქცეული და რომლებზეც კაფეში გაგონილი სიტყვები ეწერა.

– კარგია! – წამოიძახა ცოლმა. – ასე, ისწავლი გაკვეთილს!

კაცი ყურებამდე გაწითლდა, ჭიქიდან წყალი მოსვა და ის ფურცელი დახია. მერე დანარჩენიც მიაყოლა, ჯიბეში რომ ჰქონდა ჩადებული და ერთი ოცჯერ მაინც, დამღლელად, ერთმანეთის მოყოლებით დაამთქნარა.

ცოლს შეეცოდა...

– რა გჭირს? რა გაკლია? – ჰკითხა.

ალდო პიშიტელო ცოტა აღელდა, ჯიბეები მოიქექა, თითქოს იმ ფურცლებს ეძებს, რომლებიც დახია. მერე გეგონებოდათ, დაწვრილდაო, ცოლს ავადმყოფი ცხოველივით მიაშტერდა და აცახცახდა, რადგან საპასუხოდ სიტყვები აღარ ჰყოფნიდა.

გავიდა კიდევ ორი წელი. რა გააკეთა ალდო პიშიტელომ ამ პერიოდში, არ ვიცი. არ მაქვს მასზე ინფორმაცია და ძალიანაც ვნანობ, მაგრამ ამის თქმა კი შემიძლია: სიძულვილი უფრო გაბედული და სრულყოფილი შეექნა, სიტყვები – დაბრკოლებული და გაუგებარი, მთქნარება კი – უფრო ხანგრძლივი.

მე მგონი, ისიც იყო მაშინ ვენეციის მოედანზე, როცა მუსოლინიმ ესკადრის წევრებს, კომფორტული ცხოვრება თუ გიყვარდათო, რომ ჰკითხა; და ვისაც უყვარდა, პოლიციასთან დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, ყვირილით უპასუხა:

– არა, ჩვენ კომფორტული ცხოვრება არ მოგვწონს! ჩვენ ომი გვინდა!

– ის, – თქვა ხმადაბლა ერთმა მოხუცმა კაცმა, ორდენებიანი ნაბდის პიჯაკი რომ ეცვა და ალდო პიშიტელოს გვერდით იდგა, სახლის აივნისკენ მითითებით. – გამხდარი იყო, პირველად პოლიტიკაში რომ მოვიდა და იტალიელი ხალხი თავს კარგად გრძნობდა, მსუქანი იყო; ახლა ისაა მსუქანი და ხალხი – გამხდარი!

– ნაღდი სიტყვებია! მართალი ხართ! – უპასუხა ალდო პიშიტელომ.

მაგრამ აქ მე ის ისევ დავკარგე და ჩემს ქალაქში ვიპოვე მერე, აფთიაქის საკუჭნაოში, როცა ერთი, თეთრ ხალათში ჩაცმული კაცი გიტარას უკრავდა და მღეროდა: „შენი ხმით გატაცებული ოცნებებმა წამიღო!..“

სიმღერის გაგონებაზე ორმა მოხუცმა მამაკაცმა სიამოვნებით ააცეკვა ტანი, ისე, როგორც ისხდნენ, ხელჯოხზე დაყრდნობილი ლოყით.

– რა ლამაზი დრო იყო! – თქვა ერთმა. – თავაზიანობა, სიკეთე, ყურადღება, სხვისი პატივისცემა, მუსიკა, სიყვარული, სამშობლო, ახალგაზრდობა, სწავლა, საფრანგეთი, ტკბილი საფრანგეთი!.. და შენ, იტალია! და ჩემმა მეგობარმა ქალის გამო თავი რომ მოიკლა!..

– რა გვიქნეს? რა ჩაგვიდეს ასეთი ამ გულში? – წამოიძახა მეორემ.

– სიბნელე!

– სიბნელე!

ამ სიტყვამ ალდო პიშიტელო, თავისი აზრებით რომ იყო გატაცებული, ფეხზე დააყენა.

– დიახ, – ჩაილაპარაკა ამოსუნთქვით. – სიბნელე გულში!

მალე, როცა გაზეთებმა და რადიომ ქალაქის დაბნელების შესახებ ბრძანება გასცეს, ქუჩებში ლამპიონების განათებამ თანდათან იკლო და წითლიდან ცისფერ ძაფად გადაიქცა, სახლების კედლებში ღვთისმშობლისა და ქრისტეს ქანდაკებები ჩაქრა, სასაფლაოს კაპელები სიბნელეში ჩაეფლო, კიბეები და ფანჯრები დაბნელდა, აივნიდან გამომავალმა შუქის ერთმა ხაზმაც კი ყვირილი, შიში და პროტესტი გამოიწვია; ქალაქი ნახშირის სველ გროვასავით გამოჩნდა და ზოგიერთი გამვლელის ფეხები ჯიბის ფანრით ან პირი სიგარეტის ნაპერწკლით მსუბუქად განათდა; წინა ომის დროს დაბრმავებულმა ბატონმა კასტორინმა, ყოველ ღამის თორმეტ საათზე მიწაზე ხელჯოხის კაკუნით მიმავალმა, ახლა, თითქოს სამყარო უკვე ჩემიაო, სწრაფად, სიხარულით და თამამი ნაბიჯების გადადგმა იწყო; ღამით მოსიარულეებმა ეკლესიის შავ კედელზე თვალის შევლებით ძველებური საათი ამაოდ ეძებეს, ახალგაზრდობისას ხშირად გვიანი დროის ან კარის ხუთ წუთში გაღების შესახებ რომ აფრთხილებდა; და მოკრძალებული, თეთრად ჩაცმული მშრომელი მოქალაქე ნაბდის ქსოვილში გამოწყობილი იერარქივით

შავი შეიქნა, ალდო პიშიტელო აივანზე გამოვიდა და თქვა:

– სიბნელე გულში და სიბნელე გარეთ! ასე კარგია!

და მერე? მერე რა ქნა? რა გააკეთა? გულახდილად რომ ვთქვა, აღარ ვიცი.

ორი მეგობრიდან ერთი, უფრო ხალისიანი, ომის პირველ პერიოდში რომ გვერდით ჰყავდა, ვერაფერს მეტყვის, რადგან გასულ წელს სამსართულიანი სახლი, რომელიც მან მთელი სიყვარულით ააშენა, ბუხრის საკვამურიდან მეკარის ოთახამდე სულ თავზე ჩამოენგრა. ქვა ქვაზე დაადო, ლურსმანი ლურსმანზე დააჭედა, სურათი სურათზე დაჰკიდა და ყველაფერი, რაც სიყვარულითა და მონდომებით ჰქონდა ნაყიდი, თავზე დაეყარა. მისი უკანასკნელი წერილი, ნანგრევებში რომ იპოვეს, სახალისო სულაც არ იყო და არც პიშიტელოზე საუბრობდა, მხოლოდ ოთხი სიტყვა ეწერა ფანქრით: „ხუთ დღეში მოვკვდები“.

მეორე მეგობრის ეს ვიცი, რომ ორი წლის წინ ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში მიემგზავრებოდა და მთლად ტილებით იყო სავსე, რასაც გაბრაზებული წერილებითაც იტყობინებოდა; მაგრამ ახლა ტყვეობაშია, მე კი მის დაბრუნებას ველოდები, რომ ვახშამზე მოვიწვიო, დავალევინო და ვალაპარაკო. მერე თქვენც გაიგებთ, რადგან მაშინვე მოგიყვებით, ალდო პიშიტელომ რაც ქნა, ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ ესკადრის მოხალისე წევრებისთვის საჩუქრად ხანჯლების გადაცემისას, თეატრის დარბაზში მსხდომი ის ძაღლისშვილი ფაშისტები რომ დაინახა, ახველებდნენ და მუცელზე ხელს ისვამდნენ, თითქოს ავად იყვნენ, სინამდვილეში კი, ომში გაწვევის თავიდან ასაცილებლად, ექიმთან გარიგებით, ცნობა ჰქონდათ აღებული; ანდა როცა განგაშის სირენა ღამით სამჯერ ჩაირთო და საწოლიდან წამოვარდნილი მილიონი ადამიანი ფეხსაცმელებით ხელში, როგორც ჭიანჭველები ბუდეში, თავშესაფრისკენ ისე გავარდა, ტყავის ქურთუკში ჩაცმულმა ოცამდე ახალგაზრდა პილოტმა ცაზე საშინელი ფრენა რომ დაიწყო... მაგრამ ეს ვიცი, რომ მიუხედავად იმისა, ალდო პიშიტელოს განგაშის ძალიან ეშინოდა და ბავშვით ხელში თავშესაფარში პირველი შერბოდა, ცოლი კი მისი ბრეტელებით უკან მისდევდა, სახე ინდაურივით უწითლდებოდა, როცა ეუბნებოდნენ, ინგლისურ ასაფეთქებლებს მალტას სარდაფებში ობი ეკიდება, ვერტმფრენები ბომბებს ქალაქგარეთ თავაზიანობით კი არა, ქვემეხების შიშით ყრიან და არ არსებობს ისეთი ძალა, ფაშიზმზე გამარჯვება რომ შეეძლოს, ამიტომაც სამყარო მალე მთლად ფაშისტური გახდებაო. ერთ დღესაც, ქუჩაში ფედერალური მდივანი შავ ლაბადას რომ ფერთხავდა და პრიალა საკინძეებსა და გულსაკიდებს ხან მარჯვნივ აქნევდა, ხან – მარცხნივ, ალდო პიშიტელოს თვალი სწორედ მაშინ მოჰკრა, დუჩესა და საკუთარ თავზე რაღაცას რომ ფიქრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ კაცმა ისე გახედა, წესიერად არც დაუნახავს, პიშიტელოს მაინც ეგონა, მელაპარაკებაო და გონებაში ეს სიტყვები დაუტრიალდა: „რა ხარ შენ? ტროტუარზე დაგდებული რამე? სანამ მე შენ სახელს დაგარქმევ და ნორმალურად დაგინახავ, ასი ათას შენისთანას უნდა შეუერთდე, ერთნაირად ჩაცმულებს, მოედანს რომ გაავსებდა; და ერთად რომ იყვირებთ მერე. კარგად თუ იყვირებთ, როგორც საჭიროა, მაშინ კი, მაშინ კარგი იქნება, მაშინ რა თქმა უნ-

და!..“

პიშიტელო მთელი დღის მანძილზე ჭკუიდან გადასული დარჩა და ღამით, როცა სავსე მთვარე ზღვიდან მძიმედ აიწია, მეზობელი ალეფის ტელეფონით გადასახლებიდან დაბრუნებულ მეგობარ პლატანიას დაურეკა:

– მისმინე, პლატანია, ამ საღამოს თუ არ მოვლენ, – ვერტმფრენებს გულისხმობდა. – სულელები იქნებიან!..

– ისეთი სინათლე რომ არის გარეთ, ყველაფერი დღესავით ჩანს?!..

– როდის უნდათ მოსვლა, აბა?

– ამ კაცს შვილები ჰყავს? – ჩაილაპარაკა შეშინებულმა მეზობლის ცოლმა, გვერდით ოთახიდან პიშიტელოს სიტყვები რომ გაიგონა.

მეორე დღეს ამ ქალმა ყველაფერი ქალბატონ როზინას მოუყვა.

– დამანებეთ თავი, ჩემო ქალბატონო!.. – უპასუხა პიშიტელოს ცოლმა. – იმდენი რამ ვიცი უკვე და გამიგონია... ჩემი შვილების მამა რომ არ იყოს, ღმერთს შევთხოვდი, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცია, გაკოჭონ და საპატიმროში ამოალპონ!

და ერთ კვირა დღეს ალდო პიშიტელო მართლა კინაღამ დააპატიმრეს.

ქალაქები კირენა, ტობრუკი და ბენღაზი დაეცა. გერმანელები სიცილიას მიუახლოვდნენ. საბორნე გემები, რომლებიც თვალებთან მიჭერილი ბინოკლებიანი, შეიარაღებული გერმანელებით იყო სავსე, მესინას სრუტეში შემოცურდნენ. ჩემი ქალაქის აივნები, ისე იყო მზეს მიცხუნებული, მკერდშიშველი გერმანელებით სავსე, რომ თეთრი ლეღვების თაროებივით გამოჩნდა. პირველი სართულის აივნებზე პატარა სარკეები ეკიდა, რომლებშიც შარვლიანი გერმანელები წვერს იპარსავდნენ, ქვედა ქუჩაზე კი ფეხოსან ჯარისკაცებს ეძინათ. უცებ ერთი მოხუცი ქალი მათთან შეჩერდა და პატიმრისსახიან სერჟანტს ჰკითხა:

– შენ, შვილო, წვერს მხოლოდ კვირაობით იპარსავ?

მთავარ სასტუმროში დაბინავებულ ოფიცრებს უფროსებისგან ბრძანება ჰქონდათ მიღებული, რომ გენერალური კომიტეტის გადაწყვეტილება ფეხზე მდგომებს უნდა მოესმინათ და ამაყი, კმაყოფილებით სავსე იერი მიეღოთ, რათა რადიოს წინ თავშეყრილ ადამიანებს მათგან გამბედაობა გადასცემოდათ.

ეს ოფიცრები, მიუხედავად გაშტერებული თვალებისა, მიხვდნენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება, როგორი მწარე და შეწყვეტილი ღიმილის მსგავსიც არ უნდა ყოფილიყო და ერთმანეთზე ფეხის ან იდაყვის მირტყმით მინიშნებები გამოეწვია, ბარებში მეგობრების ჯგუფებს მაინც ზრდიდა, რომლებიც თვალმოჭუტულები სავსე ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ.

– რა უცნაურები არიან ეს იტალიელები! – ფიქრობდნენ გერმანელი ოფიცრები და დარბაზში კომეტებივით ერთი ადგილიდან მეორეზე ინაცვლებდნენ, რითაც მათ ირგვლივ, ადამიანების მძულვარე გამოხედვას არღვევდნენ.

– თქვენ გამო უნდა ვიომოთ, დაწყევლილებო! – ჩაილაპარაკა ერთ კვირა დღეს ალდო პიშიტელომ. – ვერ ისვენებთ, ჰო? ყველა ადამიანი თქვენი ბრძანების ქვეშ უნდა იყოს, არა? თქვე ბოზიშვილებო, კარის დაკეტვაც რომ არ იცით წესიერად! ანტიქრისტეებო! პოლონელების და იმ საწყალი, მშრომელი ებრაელების დამხოცველებო! მარტო ექიმი ბოლონიას ხსენებაც კია საკმარისია თქვენ წარმოსაჩენად, მუნიციპალიტეტის მუშაკებს რომ უფასოდ უმ-

კურნალა და მერე ზღვაში ქვებით სავსე ჯიბეებით გადახტა.

უიღბლობა იყო, ალბათ, რომ მაშინ დარბაზში სურათი ჯაშუშმა გადაიღო, რომლის გამჟღავნებითა და გადიდებით ადვოკატი როსის ჯერ კიდევ გაღიმებული სახე და რადიოში გადმოცემული ცუდი ამბებით მოჭუტული ცალი თვალი გამოჩნდა. იქვე ახლოს პიშიტელოც იდგა და გერმანელს უყურებდა, ნიკაპი მარცხენა მხარეს ჰქონდა აწეული და ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

ადვოკატი როსი გადაასახლეს, მაგრამ ალდო პიშიტელოს რაც შეეხება, სადისციპლინო კომისიამ აღარ იცოდა, რომელი რჩევა უნდა გაეთვალისწინებინა.

სურათზე იმ სახის გამომეტყველება ძალიან უცნაური ჩანდა; მაგრამ მართლა სიძულვილის იყო ის და არა შემთხვევით, ცუდად ყოფნისა? დარწმუნებით ვინ იტყოდა, რომ ორი-სამი წამოწყებული და დაუმთავრებელი მთქნარების შედეგი არ იყო? ყოველ შემთხვევაში, კომისიამ სთხოვა პოდესტას, სანდომიან ახალგაზრდას, ანუ როგორც იმ დროში ითქმებოდა, „ახალ კაცს“, რომ პიშიტელოსთვის ხელფასი ერთი თვის მანძილზე შეეწყვიტა.

და ერთ დღესაც...

იმ დღეს პიშიტელოს ლაპარაკის არანაირი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ იძულებული შეიქნა, უკმაყოფილო, სუსტი ხმით ორჯერ ეთქვა: – აქ მე ვმუშაობ!. ჯერ ერთ ნახევრად ბრმა კაცს უთხრა, მერე – გამხდარს, მასთან, სამუშაო ოთახში საქმიანი სახეებით რომ შევიდნენ; და – აქ მე ვმუშაობ, კი იცით! – გაუმეორა მერე მეკარეს, რომელმაც, სავარაუდოდ, ეს ადამიანები ოთახში შეუშვა, მან კი გაღიმებული და ამავე დროს, მწარე სახით უპასუხა:

– პოდესტასთან ხართ გამოძახებული!

– ცუდი ამბავი იქნება! – გაიფიქრა მან, რადგან იმ იმპერიალური სტილის კაბინეტში 1930 წლის შემდეგ არ შესულა.

როგორც კატა იპარება უცნობებთან, ისე შევიდა ალდო პიშიტელოც დარბაზივით დიდ ოთახში, რომლის ბოლოს ესკადრის ფორმაში ჩაცმული პოდესტა მაგიდის უკან, ფეხზე მდგარი უცდიდა. მაგიდის გვერდით ფედერალური ინსპექტორი იდგა, ისიც შავ უნიფორმაში ჩაცმული, მკლავზე ვერცხლისფერი თავის ქალა ეკეთა და მკერდზე მუსოლინის გამოსახულებიანი ბროში ჰქონდა მიკრული.

ეს ადამიანიები პიშიტელოს წელში გამართული და ნიკაპაწეული უყურებდნენ. ის კი წინ ნელ-ნელა, ბარბაცით მიიწევდა, მიმართულება ეშლებოდა, რადგან შიშს მისთვის მხრებში ხელი ჩაევლო და მაგიდის მაგივრად აივნისკენ უფრო უბიძგებდა.

– გამყიდველი ხარ! – გაისმა მოულოდნელად.

პოდესტას ხმა იყო.

– რა გინდოდა ცენტრალურ სასტუმროში, კვირა დილას?

– ამ დღეებში, – დაამატა, მგონი, ინსპექტორმა. – („მგონი- მეთქი“, ვამბობ, რადგან მისი ხმა ისე იყო ჩახრინწული, ვერ გაიგებდით, ლაპარაკობდა თუ ყელს იწმენდდა) – მახსოვს... ის ლამაზი დღეები... გაგზავნა... გაროზგვა... ერთ-ერთი თქვენგანის... კანი... ჰო, კანი!

– სხვა დროს, ჩემივე ხელით გაგაგდებ მუნიციპალიტეტიდან! – ჩაერთო პოდესტაც და ქუსლებზე დაყრდნობით მარჯვნივ, ინსპექტორისკენ შეტრიალდა, რომელიც ასევე, ქუსლებზე დაყრდნობით მარცხნივ, მისკენ შემოტრიალდა.

უცებ პოდესტასა და ინსპექტორს

სახეზე სიმშვიდე დაუბრუნდათ, პიშიტელო მთლად დაავიწყდათ და დუჩეზე, კოალიციაზე, გამარჯვებაზე, იმპერიაზე, საცხოვრებელ ადგილზე, რასაზე, როტაციის ცვლაზე, მორიგეობაზე, ახლახან ჩამოყალიბებულ ბომბების გამაუვნებელ ჯგუფსა და დიდი ხნის წინ შექმნილ დუჩეს მუშკეტერთა განაყოფზე დაიწყეს ლაპარაკი. მერე ოთახი გაიარეს და თანდათან კარსაც მიუახლოვდნენ.

პიშიტელოს კინაღამ ზეზეურად დაეძინა. შიშისგან, უნდობლობისა და უხერხულობისგან ძალაგამოლეული კარგა ხანს ასე დარჩა, მაგრამ უცებ რაღაც, სილის გაწვნისმაგვარი ხმა შემოესმა და გამოფხიზლდა. ხმას ჩექმის ყელი და ქუსლები გამოსცემდა. ორივე მამაკაცი ერთმანეთის წინ გახევებული იდგა – სახით სახეზე, ნიკაპით – ნიკაპზე, მკლავით მაღლა აწეული და ერთმანეთის მიმართ მოჩხუბარი გამომეტყველებით. ორივე მალე ღიმილით დაშორდა ერთმანეთს, ინსპექტორი გარეთ გავიდა და პოდესტაც თავის მაგიდას დაუბრუნდა. პიშიტელო მას ქამარსა და ჩექმებს შორის დაკვირვებით გამოჰყვა, მაგრამ თვალი ზემოთ რომ ააყოლა, მიხვდა, კარგი რამ არ ხდებოდა; თუმცა პოდესტას სახეზე მალე სიმკაცრემ ისე იწყო დნობა, როგორც სანთელმა – ცეცხლზე. ის ცნობილი ღიმილი მოულოდნელად დაუბრუნდა, მარცხენა თვალი თანხმობის ნიშნად მოეჭუტა, მარცხენა ყურიც ღიმილით წარმოქმნილი ნაოჭით უკან გაეწია, შეინძრა და პიშიტელოს შინაურულად მიმართა:

– სულელო! ბავშვივით ავარდები უცებ!.. თავი რომ ხელში აიყვანო, ხომ შეიძლება, ღმერთო ჩემო?! დამარცხება შორს მაინც არ არის!

– ვი...სი? – ძლივს წარმოთქვა პიშიტელომ, ისე შეეხუთა სული, ცუდად ხომ არ გავიგეო.

– როგორ თუ ვისი? ჩვენი! გინდა, რომ სამყარო ჩექმებიანი ხალხითა და უფეხსაცმლო ჯარით იქნას დატკეპნილი?

პოდესტამ პიშიტელოს თავის გვერდით, დივანზე დაჯდომა შესთავაზა და გაუმხილა, რომ სძულდა ფაშიზმიც, მუნიციპალიტეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროც, იმპერიაცა და უნიფორმაში ჩაცმული საკუთარი თავიც.

– მაგრამ შენ არავის უთხრა!

– ოჰ, ბატონო პოდესტა! – წამოიძახა პიშიტელომ ხელების აწევითა და თითქმის მუხლმოდრეკით.

მერე პოლკოვნიკ სტევენსზე ილაპარაკეს, რომელიც, პოდესტას აზრით, საკუთარ იდეებზე ანგელოზივით საუბრობდა. პიშიტელომ აღნიშნა: პოლკოვნიკზე მეტად ის გენერალი უფროა, მაგრამ ამის გამხელა არ უნდოდაო. ბოლოს მისი ხუმრობები გაიხსენეს, რითაც სახეები გაუბრწყინდათ და ერთმანეთის გადახვევამდეც აღარაფერი დააკლდათ.

– როგორი იქნება ახლა, ნეტა?

პოდესტამ ის მაღალი და წაბლისფერთმიანი წარმოიდგინა, პიშიტელომ კი – ქერა და ჩაფსკვნილი; პოდესტამ – ცოტა გაჭაღარავებული, პიშიტელომ კი – ცოტა გამელოტებული; პოდესტამ – ცოლიანი, პიშიტელომ – ცოლითა და სამი შვილით; პოდესტამ – მდიდარი, პიშიტელომ – არც ისე მდიდარი; პოდესტამ – ბორგეზულ ტანსაცმელში ელეგანტური და უნიფორმაში –ნაკლებად, პიშიტელომ კი – ყოველთვის უნიფორმაში...

ამ დროს, მოულოდნელად:

– ახლავე გადი გარეთ! – იყვირა პოდესტამ. – ახლავე! – ფეხზემდგარი და გაშლილი მკლავით იმ კარის-

კენ მიუთითა, რომელშიც გენერალური მდივანი ქაღალდებით ხელში შემოვიდა. – გარეთ!

პიშიტელო წამოდგა, მაგრამ ის ახლა მკვდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს; შიშთან ბრძოლით, რომელიც მას მხრებზე ეჭიდებოდა და აივნისკენ უბიძგებდა, კარს მიუახლოვდა და სანამ გავიდოდა, პოდესტას ხმა კიდევ ერთხელ გაიგონა:

– და თქვენ, მდივანო, ერთი თვით შეუწყვიტეთ ამას ხელფასი!

პიშიტელო იმ საღამოსვე ავად გახდა.

– ყველა ერთნაირია! – ამბობდა და ბალიშზე გახურებულ ლოყას უსვამდა. – ჩემი გამოტეხა მოინდომა! და როგორ გავიტან თავს ერთი თვის ხელფასის გარეშე?

მეორე დღეს მის სანახავად პოდესტა მივიდა, რომელმაც შვილებსა და ცოლს, სანტ-აგატას განძივით რომ მისჩერებოდნენ და ქალბატონმა – მე, ბატონო პოდესტა, იმპერიის შესახებ თქვენი საინტერესო გამოსვლა მოვისმინეო, – უთხრა, მეუღლესთან და მამასთან მარტო დატოვება სთხოვა.

– პიშიტელო! – წამოიძახა მაშინვე პოდესტამ, როგორც კი კარი მიხურეს. – მთლად ბავშვივით ხარ?! ვერ მიხვდი, რომ მე ისე უნდა მოვქცეულიყავი, რადგან კარში ის ბინძური ჯაშუში, ფედერალური მდივანი შემოვიდა?

პიშიტელოს ძალა აღარ ჰყოფნიდა, შიშიდან სიხარულში რომ გადასულიყო და მხოლოდ მისი ფერმკრთალი ხელით სტუმრის ხელზე შეხებით დაკმაყოფილდა.

– რაც შეეხება ხელფასს, – გააგრძელა პოდესტამ. – ნება მომეცი, ჩემი ჯიბიდან გადაგიხადო! – და ერთი კონვერტი ტუმბოზე დადო. – და პიშიტელო, ღმერთმანი, მალე მოვრჩეთ, იცოდე! – მერე უცებ ხმას დაუწია. – ამერიკელები აფრიკაში შევიდნენ!

– შარვალი მომეცი, – უყვირა პიშიტელომ ცოლს. – უნდა ჩავიცვა!

როცა ბომბები და აფეთქებები ქალაქის იმ ადგილებში გაისმა, სადაც ზაფხულში, საღამოობით ხალისიანი ხალხი ჭილის მაგიდებთან იჯდა და მოხუცები ჟილეტზე დაკიდებული ხელჯოხით ნელა-ნელა, მშვიდად სეირნობდნენ; როცა წმინდანებმა არაერთხელ დანგრეულ საღოცავებს ზეციდან გადმოხედეს და საკუთარ გამოსახულებებზე შერჩენილი მხოლოდ ცხვირი ან მკლავები დაინახეს; როცა მსხვილი ზარი თავისი განწირული ყვირილით გზებზე დაგორდა და ეშმაკები მიტაცებენო, ჯერ შველა აღმოხდა, მერე კი ზღავში ჩავარდა; როცა მთავრობის შენობის საყრდენებმა დარბაზის კედლიდან თავი გამოჰყვეს და იმის იქით პარტიის მდივანი განათლების მინისტრთან ერთად ცეკვისას გამოჩნდა; როცა მეკარემ თავის ოთხ საცოდავ მეზობელთან ერთად ჩანგრეული საცხოვრებელი სახლი დატოვა და დედამიწის ნებისმიერ მხარეს თავქუდმოგლეჯილი გაიქცა; როცა ოცდაათი წლის წინ, ბნელ დერეფანში დაკიდებული სარკე იატაკზე აღმოჩნდა და მასში მხოლოდ ოთახის ფეხსაცმელი, ცაზე აღმართულ მზესთან, მთვარესთან და თითქმის ჩაცვენილ მერცხლებთან ერთად აირეკლა; როცა აივნებზე გასვლა შერჩენილი გასასვლელი კარის გამო შეუძლებელი შეიქნა და, მოკლედ, როცა ეშმაკმა ყველაფერს თავისი რქები ერთიანად დაადო, ალდო პიშიტელომ ოჯახს ხელი მოჰკიდა და ეტნას ერთ პატარა სოფელში გადავიდა.

ის ყოველ დილით სამ საათზე დგებოდა და ქალაქში ფეხით ჩადი-

ოდა, რათა მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო ჟურნალებში ხელი მოეწერა.

– და ეს, – უთხრა არაერთხელ თანამშრომელმა, დაცარიელებულ ქალაქს რომ აივნიდან უყურებდა. – ღამით მოხდა? გუშინ, თუ არ ვცდები, ფეხზე იდგა!

თერთმეტ საათზე პიშიტელო ქალაქს ტოვებდა და როცა მცხუნვარე მზე ქვებს აპობდა, იმ საცოდავ ადამიანებთან ერთად, კისერზე მოხვეული ცხვირსახოცით რომ იყვნენ და ხელში პიჯაკები, ფეხსაცმელები და წინდები ეჭირათ, ეტნას სოფელში ადიოდა.

მაშინ იყო სწორედ, რომ ჩემი მიწის ადამიანები – უდანაშაულოები და მშვიდები – სასწრაფოდ ჩამობარგდნენ. უძველესმა კუნძულმაც, როგორც ტვირთის ზიდვით გადაღლილმა ცხენმა, პატრონს რომ ვეღარ სცნობს, კვნესა დაიწყო.

9 ივლისს პიშიტელო ტიფით დაავადდა.

ორი დღის მანძილზე სიარულით ნატკენი ფეხების დასვენება კი მოეწონა და საღამოობით ექიმთან შინაურული ლაპარაკიც, რომელიც ლოგინის თავთან უჯდებოდა და ნელნელა ლონდონის ამბებს უყვებოდა და რომელიც ასევე, დროგამოშვებით საჯდომის ცალ მხარეს სწევდა, მერე კი ქალბატონს მიმართავდა:

– კარგი იქნება, ხანდახან გასანიავებლად ფანჯარას თუ გავაღებთ!

– ექიმო, – სთხოვა ერთხელ პიშიტელომ, თავის ტკივილებით ძალიან შეწუხებულმა, მაგრამ ამავე დროს, ბედნიერებად გაბრაზებულმა.

– თქვენ მაინც უთხარით ჩემს ცოლს, რომ იმ კაცმა მოგვსპო და დაგვამხო!

– და ჩემი თქმა რა საჭიროა? – უპასუხა ექიმმა. – საკმარისია, გარეთ გაიხედოს!

ქალი ლოგინთან ხმაამოუღებლად იდგა და ქმრის მოტვლეპილ თავს უყურებდა, სიცხისგან რომ ჰქონდა გაწითლებული.

– ჰო, ტყუილად ნუ მიყურებ, – უთხრა ცოლს. – მოგვსპო და დაგვამხო! ყველას ვეტყვი ამას! პატიმრობისა და გადასახლების არ მეშინია! მოგვსპო და დაგვამხო, ჩვენი სისხლი დალია!

– ნუ ყვირით, ბატონო პიშიტელო! – ურჩია ექიმმა. – თქვენ ეს გაზიანებთ!

– მაგრამ ახლა ინგლისელები და ამერიკელები მოვლენ და კარგად, გემრიელად შემოარტყამენ, ჭამის მადას გაუქრობენ! იერარქებს ცხვირ-პირს ჩაულეწავენ! – ეს მისი ბოლო, ნათლად წარმოთქმული სიტყვები იყო, რადგან მერე სრული ბოდვა დაეწყო.

და სიზმარშიც ვეღარავინ დალანდა, მაშინაც კი, როდესაც ჯარეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ყველამ მიატოვა, ბუზების გარდა, რომლებიც ზეწარს ჩაშაქრული ქიშმიშივით ეხვეოდნენ. ათასობით ბუზი ეხვია მას დღისით და ღამით, რომლებიც ზევით მაშინ იწეოდნენ, ისიც ბრაზით, როცა გვერდზე ბრუნდებოდა, მაგრამ მერე შუბლიდან ფეხებამდე ისევ უცებ ასხდებოდნენ, მოტვლეპილ თავსა და ცხვირზე დაუდიოდნენ; ზოგი ყურის კიდემდეც მიდიოდა და მასში ჩასვლას ცდილობდა, მაგრამ მერე მხოლოდ ფეხის გასველებით კმაყოფილდებოდა. ზოგი ყურშიც შეუდიოდა და ცხვირის ცემინების სურვილს უქმნიდა ანდა გაცინების, რომელიც მერე სახეს ნაკბენი ცხენივით უღრანცავდა.

სწორედ ასეთმა მანჭვამ ათქმევინა ექიმს, მისი ოთახის წინ ერთხელ სწრაფად რომ გაიარა:

–ბატონი, მგონი, მალე დაგვემ-

შვიდობება!

ბომბებით დაშავებულები, დატყავებულები, კიდურებმოკვეთილები გვერდით ოთახებს ავსებდნენ და საავადმყოფოს ექიმთა მცირე რაოდენობას დრო და საშუალება არ ჰქონდა, ჭრილობების გარეშე მყოფი მოხუცისთვის ყურადღება მიექცია.

ბინტი აკლდა. აკლდა ბამბაც.

საცოდავმა ექიმებმა აღარ იცოდნენ, დაჭრილებისთვის როგორ აეხსნათ იმ საშინელი შეცდომის შესახებ, თავიანთი მეგობრებივით ნანგრევებში სიკვდილი რომ არ არჩიეს.

როგორც იქნა, ალდო პიშიტელოს საავადმყოფო დაატოვებინეს და ერთი პატარა ჭრილობით შუბლზე ეტნას სოფელში, თავის ოჯახის წევრებს მიუყვანეს, რომლებიც მას უკვე მკვდრადაც თვლიდნენ.

ის გამოჯანსაღდა და როცა ერთ დღეს აივანზე იყო გასული, უცხოურმა შეიაღარებულმა ძალებმა ქალაქების ქუჩებსა და ეტნას სოფლებში გაიარეს. გამოჩნდნენ ტანკები, ქვემეხები, შეიარაღებული ავტომობილები, მოტოციკლები, დიდი და პატარა ფურგონიანი მანქანები... მათი სიგნალები და ბორბლების ღრჭიალი ცაში ადიოდა, ზღვასა და მიწაში ჩადიოდა, ტყეებში ფრინველებს კლავდა, კანალიზაციის მილებში თაგვებს სრესდა და მშიერ კატებს სახურავებზე აგდებდა.

ალდო პიშიტელო ნახევრად შიშველ და წითელთმიან ჯარისკაცებს საჩვენებელი და შუათითის აწევით მიესალმა. მისი აზრით, მას ყველა სცნობდა, რადგან რადიოს იყო სულ ყურით მიკრული და ლონდონის ხმას უსმენდა. ახლა მეთაურების, სტევენსისა და კანდიდუსის შესახებ უნდოდა მათთვის ეკითხა, მაგრამ ჯარისკაცები პასუხს მასზე მეტად, მარჯვნივ და მარცხნივ მდგომებს უფრო სცემდნენ, ზევით და ქვევით მდგომებს, მღვდელს, ბავშვებს, ფარმაცევტს, როზინას, ვინმე მოხუცს, „საკრო კუორეს“ობლებს, იმ ჯაშუშსაც კი, სახლის სახურავზე ლოყის ჩასადებად და ამბების გასაგებად, კრამიტის აძრობას რომ ცდილობდა.

და პიშიტელო მაინც კმაყოფილი იყო, რადგან იმ თავისუფალი ადამიანების თვალები მისი სახლის კედელს უყურებდა, უფრო სწორად, აივანივით დიდ წარწერას: „მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეცვალოს ფაშისტური ნება, ადამიანები და საგნები.“ ყველა გამოხედვასა და ღიმილს, მიუხედავად იმისა, რომ მისკენ არც ერთი არ იყო მიმართული, დიდი ემოციით უპასუხა, ყოველ ჯერზე გამხდარი ხელი ასწია და საჩვენებელი და შუათითი გამარჯვების ნიშნად გაშალა.

იმ საღამოს ისე დაიღალა, თითქოს ასკილოიანი ფარანი ატარა წმინდა პარასკევას პროცესიაზეო; ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, ცოლისა და ქალიშვილისთვის რომ ეპასუხა, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ უკვე, არაპირდაპირი კითხვებითაც კი, მისთვის აბსოლუტური თანხმობა ეგრძნობინებინათ.

– მართლა გვიყვებოდნენ თუ არა ის ფაშისტები ათას სისულელს?..

– ინგლისელები, ჩამოყალიბებული ადამიანები, თავაზიანი ხალხია!

– იცოდე, რომ ორცხობილები ძალიან კარგი იყო!..

– შოკოლადიც მშვენიერი იყო!..

– ოჰ, ის ფაშისტები ნამდვილი კრიმინალები იყვნენ!..

– მე ამერიკელები მირჩევნია!..

– იცოდე, რომ ინგლისელები ყველაფერში ჩამოყალიბებულები არიან!..

– ჰო, მაგრამ ამერიკელებს რაღაც ისეთი აქვთ!..

– ჰო, მაგრამ ინგლისელები!..

– რა სჭირს მამაშენს ამ საღამოს?

პიშიტელოს მხოლოდ ეს სჭირდა: ერთი სიტყვის წარმოთქმაც აღარ შეეძლო. გუშინდელ დღემდე თავში ყველაფერი ჭიანჭველებივით უმოძრაობდა. საპროტესტო და სალანძღავი სიტყვები, აუტანლობა და მოწყენილობა ტვინიდან სისხლში მიედინებოდა, ტუჩებზე გადმოსდიოდა და მერე მათ მოსაკეტად ზედ ხელის გულს ირტყამდა, მაგრამ ენაზე ბოლოს მკვეთრი, დაობებული ყავისა და ამოვსებული ჩიბუხის გემო რჩებოდა. ახლა ის ტვინს მდინარეში ჩაგდებული ქვასავით, შიშველსა და სრიალას გრძნობდა, მკვრივს, მძიმეს, მთლად დაძინებულს, თავს ქვევით რომ უქაჩავდა და ეს მაშინაც ხდებოდა, როცა როზინა და მარია თავიანთი შეკითხვით აღელვებულები, მისგან პასუხს ელოდნენ.

– კარგი, მე წავედი დასაძინებლად! – თქვა ალდო პიშიტელომ, სანთელი აიღო და იმ დიდი ოთახის კუთხისკენ გაემართა, სადაც მისი საწოლი იდგა.

ღამის განმავლობაში ორჯერ გაელვიძა და როგორც პირველად, ისე მეორედ ფანჯრიდან მელანქოლიური მუსიკა შემოესმა: მუნიციპალიტეტის აივანზე შვედურ გუდასტვირებს უკრავდნენ.

წლების მანძილზე, რომ იღვიძებდა, თავში „პირუტყვები!“, „რქებდადგმულები!“ და სხვა სალანძღავი სიტყვები უტრიალებდა, რომლებსაც მერე დაძინებით ებრძოდა, ძილით ახშობდა, მაგრამ ახლა უცხო, მკვნესარე ხმა გაიგონა, ისიც თავში კი არა, სახლის გარეთ.

ამ ყველაფერმა იმდენად გააოცა, რომ ძილში ისევ ჩაიძირა, თანაც საათობით. მისთვის ხელი აღარაფერს შეუშლია, არც რაიმე წარმოდგენას, არც მოგონებას, არც რომელიმე ბილწ სიტყვას, არც უბრალოს და საერთოდ, არც ერთ მარცვალს.

მეორე დღეს რაღაც ძალამ გამოაღვიძა, რომელმაც მასში თანდათან, დაბურულ ტალღასავით იმატა. თერთმეტის ნახევრიდან თერთმეტ საათამდე წარმოუდგენელი რამ იგრძნო. სადღა იყო უკვე ის მწარე გემო, იმ ძველი დროის, იმ დაობებული ყავისა და ჩიბუხის ნარჩენის, ენაზე რომ გრძნობდა და ღამით ათასნაირ ბილწ სიტყვას ათქმევინებდა; ის მჟავე, ამაღელვებელი, მოსაგერიებელი და ამავე დროს, სასიამოვნოც, კედელზე რომ აფურთხებინებდა, აგიჟებდა, საბანს აძრობინებდა და ლოგინიდან აგდებდა?

– გაუმარჯოს! – უთხრა ცოლს.

– ბავშვივით გეძინა და, მგონია, რომ კმაყოფილი მაინც არა ხარ!

მან მართლა ბავშვივით გაიღიმა და საწოლში დარჩენა კიდევ ცოტა ხნით ისურვა.

აი, პიშიტელოს ამბავი უკვე დასასრულს მიუახლოვდა.

რაღას მოვყვებით ამიერიდან მასზე? რომ ერთი კვირა ეძინა და თითქმის არ გამოუღვიძია? სიძულვილმა, ცამეტი წლის მანძილზე რომ ამდენი აყვირა და ატრიალა, უკვე დატოვა. ეს მშვიდი კაცი ახლა სრულ ძილსა და გაოგნებას მისცემოდა, და შეამჩნია, რომ რევმატიზმები, ყურადღებას აქამდე სხვა რამეზე რომ ამახვილებდა და დღე და ღამე წყევლით კავდებოდა, ახლა კეფამდე ჰქონდა უკვე ასული.

ისე ჩანდა, თითქოს გრძნობები თავიდან ცდილობდნენ ამ მიტოვებული მოხუცის სულის დაკავებას: ერთ დილას ფეხსაცმელი გაიძრო, ძირს აკოცა და თქვა, ასე ჩემს ძვირფას მიწას თაყვანს ვცემო. ერთ საღამოს ქვევით გაშლილ ქალაქს დაღლილი მზერა მიაპყრო და

როგორც შეძლო, თავისი უზუსტო მეტყველებით თქვა, იმ საცოდავი ბინების ნანგრევებში გახვევა, გორვა, თითოეული ქვისა და კენჭის დაკოცნა მინდაო.

მაგრამ ამ ორ ნიშანს სულში, სიძულვილიდან სიყვარულზე გადასვლას, სხვა არაფერი მოჰყოლია. ერთი კვირის სახლში ყოფნის შემდეგ, ჩვეულებრივ, მუქი ფერის პიჯაკი და ზოლიანი შარვალი ჩაიცვა, რომლებიც ისე ძველი და გამოხუნებული იყო, რომ ფანქრით ნახაზსა და საშლელით ცუდად წაშლილს ჰგავდა და სასეირნოდ გავიდა.

ქუჩაში ძველ მეგობრებს შეხვდა, მაგრამ ყველას ხუთი წუთის სიჩუმისა და უხერხულობის შემდეგ დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა: – კარგი, საკმარისია, ნახვამდის! – უთხრა და წავიდა.

არც სიძულვილი და არც სიყვარული აღარ არსებობდა ამ მხრებში მოხრილ კაცში, რომელსაც წვრილ, გრძელ კისერზე, გეგონებოდათ, მარმარილოს წინ წაწეული თავი ედგა, იმდენად უხორცო და პრიალა იყო უკვე ყოველ წერტილში.

სიმართლე რომ ვთქვათ და ამ ჩვენი გმირის ზედმეტი შექება არ გამოგვივიდეს, უნდა ვთქვათ, რომ ის თავიდან ფეხებამდე, შიგნით და გარეთ მხოლოდ ერთი რამით იყო გარემოსილი; ის, რაც მის ყოველ სიტყვასა და ქმედებას განსაზღვრავდა: უმნიშვნელობით.

ის ისეთივე უმნიშვნელო გახდა, როგორიც 1930 წლამდე იყო, როგორიც 1925 წელს, როცა ერთმა ქალბატონმა თავის მეგობართან ერთად დივანზე, ეშმაკმა იცის, რა მოიმოქმედა, თანაც მის თვალწინ.

ცოლისა და შვილების სხეულებს ღამით ათასობით კოღო ესხმოდა თავს. მას კი ერიდებოდნენ, არ ეკარებოდნენ, რადგან სისხლის სმა სჭირდებოდათ და არა წყლის, მაგრამ დღისით მდგომარეობა იცვლებოდა, ყველა სახეზე აჯდებოდა, როგორც სახლის ერთადერთ მშვიდ და დაცულ ადგილს. ცოლი ზიზღით უყურებდა, მისი სახე მთლად მწერებით რომ იყო დაფარული, რომელთაგან ზოგი დადიოდა და ზოგს ეძინა კიდეც.

– ვერ გრძნობ ამათ, ღმერთო დიდებულო?! – ეუბნებოდა ქმარს სიბრაზითა და ხელის ქნევით.

– კი... როგორ არა! – პასუხს აძლევდა ისიც და ცოლისთვის სიამოვნება რომ მიენიჭებინა, ხელს ირტყამდა; მაგრამ აქაც მოუხერხებლობას ამჟღავნებდა, ადგილი ეშლებოდა: ხელს კისერზე ირტყამდა, როცა კოღოები საფეთქელზე ასხდნენ, ან პირიქით – საფეთქელზე ირტყამდა, როცა კოღოები კისერზე ასხდნენ.

ამასობაში მისთვის რაღაც მზადდებოდა, მაგრამ მან არ იცოდა. არაფერი უხდებოდა მის სახეს და მას ისე, როგორც არაფრის ცოდნა.

ქალაქის მერად გადასახლებიდან დაბრუნებული ფარმაცევტი პლატანია დასახელდა.

– თუ არ ვცდები, – უთხრა ცოლმა პიშიტელოს. – ახალი მერი შენი მეგობარია. ისე მოხდება, რომ შენ ოფისში მუდმივ ადგილზე მოგიწევს მუშაობა!

მაგრამ ეს არ იყო, ის რაც ალდო პიშიტელოსთვის მზადდებოდა. არანაირი დაწინაურება და არანაირი პრემია მას არ ელოდა. რა დაწინაურებასა და პრემიას უნდა მიეღწია მასთან?! ის, რაც ალდო პიშიტელოსთვის მზადდებოდა და არ იცოდა, იყო მუნიციპალიტეტის სამუშაო ადგილიდან მისი მოულოდნელი გათავისუფლება.

მერის წინამდებარე ოთახში, სადაც ბოლო დაბომბვის შედეგად

ჩამოყრილი ნანგრევების მტვერი დაგროვლიყო, ხუთი-ექვსი ადამიანი ყოველთვის ტრიალებდა, რომლებიც ხშირად თეთრადაც ისვრებოდნენ და ფეხსაცმელში ლურმანიც ესობოდათ, მაგრამ დიდი ოთახის ცენტრში, მრგვალ მაგიდასთან მაინც იკრიბებოდნენ და მუშტის დარტყმით ზედ სამართალს ითხოვდნენ. უპირველეს ყოვლისა, მათ ესკადრის წევრების გათავისუფლება უნდოდათ, რომელთა სახელები ზეპირად იცოდნენ. იმ უჯრებიან კარადებსა და დახეულ ფარდებს შორის ხშირად „ალდო პიშიტელო! ო, ეს პიშიტელო! ო, ის პიშიტელო!“ – ისმოდა.

– კარგი იქნება, – ამბობდნენ შეკრებილები. – რომ ოცწლიანი ტანჯვის შემდეგ ისინიც დაიტანჯონ, ვინც დატანჯა, როგორც მაგალითად, ეს, ის, ალდო პიშიტელო, ის პიშეტლო და ეს პიშიტელოა!

ქალაქის მერი, როგორც ჩემს მხარეში ითქმება, არეულობის ზღვაში აღმოჩნდა.

– როგორ მოვიქცე? – თქვა და პიშიტელოზე შედგენილი საქმეები მაგიდას დაანარცხა. – მეორე მხრივ, მე წმენდა უნდა ჩავატარო, თანაც საკმაოდ მკაცრი მეთოდით!

ერთ დილას გადაწყვიტა, ხარისთვის თავი მოეკვეთა, და პიშიტელოს პირადად ეტნას სოფელში სტუმრებოდა.

კარგა ხნის მანძილზე, დაბომბვის გამო სიცილიაში არც კოსმეტიკური საშუალებები და არც თმის საღებავები არ მოჰქონდათ. პრობლემატური ცხოვრებიდან გამომდინარე, ბევრ ადამიანს სიგამხდრე დაეტყო. ზოგს მოულოდნელად თმა გასცვივდა და ზოგს – გაუჭაღარავდა, თითქოს ცეცხლმოკიდებული თივასავით უცებ დაეწვაო. ქალაქის მერმა ჟელატინივით საღებავის შოვნა მაინც მოახრეხა, რომელიც მას შავს, მაგრამ პრიალას აჩენდა, და უთვალავი, წვრილი მწერის ყურადღების ქვეშაც მოექცა.

პიშიტელოს ბნელ კიბეზე ასვლისას ბუზები შემოეხვივნენ. სახლში, უფრო სწორად, დიდ ოთახში რომ შევიდა, თავი უკვე მოზუზუნე ღრუბელში ჰქონდა გახვეული და ამაოდ, ხან მარჯვენა ხელი მოუქნია, ხან – მარცხენა. თავის მხრივ, ალდო პიშიტელოსაც საკუთარი ბუზები და კოღოები ეხვია, რომელთა წინააღმდეგ თითსაც არ ანძრევდა ხოლმე. როზინა და შვილები ეკლესიაში იყვნენ წასულები და მწერებს შექმნილი სიმშვიდით ესარგებლათ.

მერსა და ალდო პიშიტელოს შორის საუბარი თავიდან უხერხულად და დაძაბულად დაიწო, მაგრამ მერე უფრო თავისუფლი სახე მიეღო შეიძლება ვთქვათ, რომ დასაწყისში პიშიტელო ჩუმად იყო, ხმა არ ამოუღია, მერმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, პიშიტელო ისევ დუმდა, თუმცა მერი ალაპარაკდა და თან ისე, რომ სიტყვა სიტყვას მთელი ძალით მიაყარა:

– სხვანაირად არ შემიძლია! უნდა შევასრულო, წმენდა უნდა ჩავატარო და მკაცრი მეთოდითაც! ვიცი მე, თქვენ რასაც ფიქრობთ!.. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ესკადრის წევრი ხართ! მე ძალადობა შეიძლება ვაპატიო, განსაკუთრებით, თუ მონანიებას ექნება ადგილი!.. მაგრამ ძალადობა ძალადობას შობს, პატიებას როგორ გამოიწვევს?! უნდა გაგათავისუფლოთ, სხვანაირად არ შემიძლია!..

ამ დროს მერმა პიშიტელოს შეხედა. მისგან, ალბათ, რამე ცუდ სიტყვას ელოდა, მაგრამ წინ მხოლოდ სისხლისა და ცნობიერებისგან დაცლილი სახე ედგა, მხედველობისგანაც კი. ნახევრად აწეული ქუთუთოებიდან ნახევრად გამოჩენილ

უპეებში თვალის რაღაც უმნიშვნელო ნაწილი უპრიალებდა, რომელიც მთელი უპის მსგავსად ისედაც ღია ფერის იყო და ახლა პიშიტელოს სახე იმაზე მეტი მარმარილოსფერი შეიქნა, როგორც არასდროს. მწერების კონტრასტით, რომლებიც ზედ ბინადრობდნენ, ფრთებს იწმენდნენ ან სხვა საქმიანობით კავდებოდნენ, ის უფრო ნათელი გახდა და პატარა ჩრდილი, უკან რომ დაჰყვებოდათ, ახლა პრიალა ზედაპირიდან არეკლილ მათივე გამოსახულებას დაემსგავსა.

მერს აღელვება დაეტყო, მაგრამ, როცა პიშიტელომ, როგორც იქნა, თქვა: „კი, როგორ არა!“, – შვებით ამოისუნთქა. მერე იფიქრა, სანამ ის შეუვალი სიჩუმე ისევ დაეუფლება, დავემშვიდობებიო და ასეც გააკეთა: მხარზე ხელი პატივისცემით მიარტყა, გადაეხვია და ბოლოს გაყინულ შუბლზეც აკოცა.

უკან დაბრუნებისას, მერი გაკვირვებული ჩაჯდა მანქანაში, ჩაფიქრებული, მეორე მხრივ, კმაყოფილიც იყო, რადგან სამართლიანობა, ღვთის წყალობით, მას უკვე აღდგენილი ჰქონდა, ოღონდ ეს ეხებოდა არა ნამდვილ მამაკაცს, არამედ ცოტა უფრო სულჩადგმულ არსებას, იმ სკამთან შედარებით, რომელზეც მუნიციპალიტეტში, ყოველდღიურად, ორმოცი წლის მანძილზე იჯდა და მუშაობდა. რაც შეეხება ოჯახს, მერე განიხილავდნენ, დახმარებოდნენ თუ არა ქალბატონ როზინას, რომელიც ყოველთვის კარგ ადამიანად ითვლებოდა.

იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაბელიძემ



ვახტანგ გურული

მასალები ივანე კერესელიძის ბიოგრაფიისთვის

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი,
დაჰკა გრძნობით დაირასა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა.

მაგა ხმამან სანეტარომ,
მომიტანა მწუხარება,
მასში ისმის სევდიანი,
ჩემი ქვეყნის მდგომარობა.

ამ ლექსში, რომელიც ივანე კერესელიძემ 1872 წელს დაწერა, თითქოს მისი ავტორის ბედიც აირეკლება. როგორც ყველა გამოჩენილი მამულიშვილი ჩვენში, ისიც მოზიარეა საკუთარი ქვეყნის ბედისა. სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, ივანე კერესელიძე იმ ეროვნულ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ღვაწლი არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ დაუფასდათ. ადამიანი, მარტოკაცი ათწლეულების განმავლობაში, მუდმივი ფინანსური სიძნელეების პირობებში, ეწეოდა უმძიმეს შრომას. ამის დამადასტურებელია ივანე კერესელიძის მოღვაწეობა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორად 1857-1875 წლებში. ყველა იცნობდა, ყველა აღიარებდა, ყველა პატივს სცემდა, მაგრამ ფინანსურ და სხვა პრაქტიკულ დახმარებას იშვიათად თუ ეღირსებოდა ხოლმე. წარუმატებლობას არ უშინდებოდა, ყოველ ახალ საქმეს იშვიათი ენთუზიაზმით იწყებდა, იმედს არასდროს კარგავდა, თუმცა ეს შეიძლება მოჩვენებითიც იყო. ადამიანის სულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობებს გარკვეული ზღვარი აქვს. ივანე კერესელიძის ცხოვრებაში დადგა დრო, როცა იგი ამ ზღვარს გადაცდა. ვინ იყო დამნაშავე იმაში, რომ ივანე კერესელიძემ თავისი ნიჭის, ცოდნის, ენერგიის და გამოცდილების ბოლომდე რეალიზება ვერ შესძლო? კონრეტული პასუხი ამ კითხვაზე ასეთი იქნება: დრო და ადამიანები... დრო და ადამიანები, ეს დიდი და პატარა დრამის ორი უცვლელი მთავარი პერსონაჟი!

„ცისკრის“ რედაქტორი არ უმალავდა თანამემამულეებს გასაჭირს, მაგრამ უცხოებთან ამაყად ეჭირა თავი. როცა 1858 წელს „ცისკრის“ რედაქციაში სტუმრად მყოფმა ალექსანდრე დიუმამ ჰკითხა, რამდენი ხელმომწერი გყავსო, თამამად მიუგო: ექვსასიო. გაოცებულა დიუმა – ასე მცირე ხელმომწერთა იმედით ჟურნალს როგორ სცემო. ამ ამბის გახსენებისას ივანე კერესელიძე სევდიანი ირონიით იტყოდა ხოლმე: „ბევრი არ მომიტყუილებია, სამოცი ხელისმომწერი მყავდა და მხოლოდ ერთი ნული მივუმატე“-ო.

საქართველოს საისტორიო არქივში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც წარმოაჩენენ ივანე კერესელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობ დეტალებს, აზუსტებენ და ავსებენ უკვე ცნობილ ფაქტებს. ქვემოთ გთავაზობთ ამ დოკუმენტების თარგმანს რუსული დედნიდან. ტექსტის უკეთესად გაგების მიზნით საჭიროდ ჩავთვალე მოკლე კომენტარების დართვა.

ქართული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ივანე კერესელიძე მორჩილი ქვეშევრდომის პოზიციიდან აწარმოებს მიმოწერას რუს დიდმოხელეებთან.

1. პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების მცდელობა

დოკუმენტი № 1. 1850 წლის 26 იანვარი. ივანე კერსელიძის თხოვნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ ვასილი სიშნევს

კურსდამთავრებულთა კეთილდღეობისათვის თქვენი აღმატებულების გულმოწყალე მზრუნველობამ ჩემში გააღვიძა გამბედაობა დავეცე თქვენ ფერხთით შემდეგი თხოვნით. მამაჩემი ივანე კერესელიძე და მისი წინაპრები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ სამეგრელოში,[1] სადაც ხალხი მომთაბარეობდა და შეიძლება მომთაბარეობს დღესაც. ამის მიუხედავად, ისინი (ივანე კერესელიძის მამა და მისი ძმები – ვ. გ.) ატარებდნენ აზნაურის წოდებას. მამაჩემმა, სრულწლოვანი რომ გახდა, მიატოვა ძმები, მიიღო რუსეთის ქვეშემდრდომობა, გადასახლდა თიანეთში, სადაც იმ დროს მხოლოდ ველური ხალხი[2] ცხოვრობდა. იქ ჩასული მამაჩემი ქრისტიანობას ყველაზე წინ აყენებდა, რათა ხელისუფლების[3] ყურადღება მიეპყრო ადგილობრივი მაცხოვრებლების ქრისტიანულ რწმენაში დაბრუნების პროცესში. გარკვეული ხნის განმავლობაში ქრისტიანობაზე მოექცა რამდენიმე ათასი სული[4]. მაღალყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტ ფეოფილაქტის[5] წარდგინებით ხევსურების ქრისტიანულ სარწმუნეობაზე მოქცევის დროს გამოჩენილი დამსახურებისათვის მისმა იმპერატორობით უდიდებულესობამ[6] მოწყალება მოიღო და მამაჩემი ლენტით დააჯილდოვა.

გარდა ამისა, მამაჩემმა მთავრობას ბევრი სამსახური გაუწია. იგი იყო მეგზური ხევსურეთში. მამაჩემი დაჯილდოებული იყო იმ ნიჭით, რომელიც აქვთ მომთაბარე ხალხებს. მამაჩემმა სოფელ არდოტში ოქროს საბადო იპოვა[7] და ამის შესახებ მთავრობას მოახსენა. მისმა ხანმოკლე სიცოცხლემ განაპირობა ის, რომ დაიკარგა მისი დამსახურების დამადასტურებელი ცნობები. მამაჩემი მოკლეს ხევსურებმა. იმ დროს მე ჩვილი ვიყავი. დაქვრივებულმა დედამ თხოვნა მიართვა მთავარსადალ გრაფ პასკევიჩს[8], რომელმაც იშუამდგომლა და დედაჩემს მამაჩემის დამსახურების გამო გადაეცა ჯილდო და დაენიშნა პენსია, რომელსაც დღემდე იღებს.

ამჯერად მე დასრულებული მაქვს თბილისის გიმნაზია, მსურს შევიდე მისი იმპერატორობით უდიდებულესობის სამსახურში და მამაზე მეტი სამსახური გავუწიო მთავრობას. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გა-

ითვალისწინოთ მამაჩემის დამსახურება და მომცეთ მე ატესტატი, რომელიც მესაჭიროება გამოცდაზე გასასვლელად.

კომენტარები:

1. იგულისხმებიან მეგრელი მეჯოგეები, რომლებიც მომთაბარეობდნენ, ჯოგი გადაჰყავდათ ლეჩხუმში, იმერეთსა და სამცხეში.

2. იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა (ხევ-

სურები, გუდამაყრელები, ფშავლები, თუშები და სხვ.), რომელთაც რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება ჭეშმარიტ ქრისტიანებად არ მიიჩნევდა, რადგან თვლიდნენ, რომ ამ რეგიონებში ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა შერყეული იყო, რის გამოც მოსახლეობა ხელახლა უნდა მოენათლათ.

3. იგულისხმება რეგიონის ხელისუფლება – თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრის მმართველობა.

4. რუსეთის ეკლესია ქრისტიანობაზე მოქცეულად თვლიდა ხევისბერის მონათლული ქართველის ხელდასმული მღვდლის მიერ ეკლესიაში მონათვლას.

5. იგულისხმება საქართველოს ეგზარქოსი ფეოფილაქტ რუსანოვი (1817-1821).

6. იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრ I.

7. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში XX საუკუნის 50-60 იან წლებში გეოლოგები ხევსურეთში ოქროს საბადოებს ეძებდნენ, მიკვლეული იქნა კიდეც რამდენიმე ძარღვი. სხვადასხვა მიზეზის გამო იმხანად საბადოს დამუშავება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

8. ივან პასკევიჩი კავკასიის მთავარსარდალი (მთავარმართებელი –1827-1831წლებში).

დოკუმენტი № 2 1850 წლის 12 მაისი. ივანე კერესელიძის № 644 ატესტატი

მიეცა ივანე კერესელიძეს, აზნაურ ივანე კერესელიძის შვილს, აღმსარებლობით მართლმადიდებელს, დაბადებიდან 22 წლისას, რომელიც თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა 1844 წლიდან და სრული კურსი დაასრულა 1849 წლის 23 დეკემბერს. სწავლის პერიოდში ყოფა-ქცევაში დაიმსახურა **საშუალო** და მეცნიერებათა დარგებში მოიპოვა შემდეგი წარმატებები: საღვთო სჯული – **საშუალო,** რუსული სიტყვიერება – **საშუალო,** ქართული ენა – **ფრიადი,** მათემატიკა – **საკმარისი,** მსოფლიოსა და რუსეთის გეოგრაფია – **საკმარისი,** ფიზიკა – **საკმარისი;** კანონები: სამოქალაქისა და სასამართლო საქმის წარმოების შესახებ – **საკმარისი,** სისხლის სამართლისა და სასამართლო საქმის წარმოების შესახებ – **საკმარისი,** დანაშაულის შეუტყობინებლობის შესახებ – **საკმარისი.** კერესელიძემ თბილისის გიმნაზიის სასწავლო კურსის ყველა საგანში ჩააბარა საბოლოო გამოსაშვები გამოცდა და თბილისის გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ 1849 წლის 13

დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სასწავლო ოლქის დებულების 71-ე პარაგრაფის ძალით მასზე გასცა ატესტატი და სამოქალაქო გიმნაზიის მეორე თანრიგის აღმზრდელის მოწმობა, რაც დადასტურებულია კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონი მზრუველის მიერ. მოწმობა და ატესტატი საჭირო ხელმოწერებითა და სახელმწიფო ბეჭდით დამტკიცებული კერესელიძეს მისცა თბილისის [გუბერნიის] სასწავლებლების დირექციამ.

დოკუმენტი № 3. 1851 წლის 27 მარტი. აზნაურ ივანე კერესელიძის თხოვნა თბილისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორ კირილ ჩერმაკს

უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მაღალკეთილშობილებას, გასცეთ განკარგულება, რათა დამიშვან გამოცდაზე ქართული ენის უფროსი მასწავლებლის წოდების მისაღებად და მომცენ შესაბამისი მოწმობა.

დოკუმენტი № 4. 1851 წლის 28 მარტი. თბილისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორ კირილ ჩერმაკის მოხსენება (სარეგისტრაციო № 455) კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს

ჩემდამი რწმუნებული დირექციის კანცელარიის საშუალო ანაზღაურების მქონე მოხელემ აზნაურმა ივანე კერესელიძემ, რომელმაც 1849 წელს დაასრულა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კურსი და აქვს გიმნაზიის დირექციის მიერ გაცემული ატესტატი, 27 მარტს [1851 წ.] მომმართა თხოვნით, რათა დავუშვა გამოცდაზე ქართული ენის უფროსი მასწავლებლის წოდების მისაღებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, აზნაური კერესელიძე დაუშვათ გამოცდაზე.

დოკუმენტი № 5. 1851 წლის 5 აპრილი. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წერილი თბილისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორ კირილ ჩერმაკისადმი

თქვენი მაღალკეთიშობილების 28 მარტის [1851 წ.] № 455 მოხსენების პასუხად პატივი მაქვს გაცნობოთ: გიმნაზიის უფროსი მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად გამოცდაზე დასაშვებად აუცილებელია მეტი მოწმობა, ვიდრე საკუთარი გვარის შესახებ მოწმობაა, რომელიც აზნაურმა ივანე კერესელიძემ წარმოადგინა. საერთოდ, გამოცდა გიმნაზიის უფროსი მასწავლებლის წოდების მისაღებად, ტარდება არა გიმნაზიაში, არამედ უნივერსიტეტებში, რაც თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, უნდა აუხსნათ მთხოვნელს.

დოკუმენტი № 6. 1851 წლის 18 მაისი. აზნაურ ივანე კერესელიძის თხოვნა თბილისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორ კირილ ჩერმაკს

მსურს სამსახური დავიწყო სასწავლო განყოფილებაში. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალკეთიშობილებავ, დამნიშნოთ გორის სამაზრო სასწავლებელში 1-ლი კლასის მასწავლებლად, სადაც 1-ლი კლასის მასწავლებლის ვაკანსია არსებობს.

დოკუმენტი № 7. 1851 წლის 26 მაისი. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის

კანცელარიის მმართველის ნ. პრიბილის წერილი თბილისის

გუბერნიის სასწავლებლების დირექტორ კირილ ჩერმაკს

თქვენი მაღალკეთილშობილების მიერ 19 მაისს [1851 წ] გამოგზავნილი წარდგინების პასუხად, სადაც ითხოვთ თქვენდამი რწმუნებული დირექციის მოხელის აზნაურ კერესელიძის გორის სამაზრო სასწავლებელში პირველი კლასის მასწავლებლის თანამდებობაზე გახსნილ ვაკანსიაზე დანიშვნას, კავ-

კასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კაცელარია გაცნობებთ, რომ ბატონი მზრუნველის ბრძანების თანახმად, უმორჩილესად გთხოვთ, წარმოადგინოთ ბატონ კერესელიძის შესახებ მისი აღმატებულებისათვის წარსადგენი მოხსენებისათვის საჭირო დოკუმენტები.

დოკუმენტი № 8. 1851 წლის 13 ივნისი. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის
წერილი თბილისის გუბერნიის სასწავლებლების
დირექტორ კირილ ჩერმაკს

თქვენი მაღალკეთილშობილების მიერ თქვენდამი რწმუნებული დირექციის მწერლის აზნაურ კერესელიძის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ სრულიად მიუღებლად მივიჩნიეთ მისი თხოვნა გორის სამაზრო სასწავლებლის 1-ლი კლასის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, რადგან საშუალო წარმატება აქვს რუსულ ენაში, რაც დაუშვებელია მოსამზადებელი კლასის ვაკანსიაზე მასწავლებლის მისაღებად. ვაცნობებთ რა პასუხს თქვენს მაღალკეთიშობილებას, თქვენს 1851 წლის 9 მარტის № 706 მოხსენებაზე, გთხოვთ მომავალში მასწავლებლის თანამდებობაზე წარდგინების დროს, მეტი ყურადღება დაუთმოთ ატესტატს, რომელიც გაცემულია იმ სასწავლებლის მიერ, სადაც თანამდებობაზე წარსადგენი სწავლობს.

ამასთან ერთად გიბრუნებთ კერესელიძის მიერ წარმოდგენილ № 644 ატესტატს.

2. გაზეთ „ცისკრის“ დაარსების მცდელობა

დოკუმენტი № 9. 1886 წლის 13 თებერვალი. თბილისის გენერალ-გუბერნატორ გენერალ-მაიორ ალექსანდრ გროსმანის წერილი კავკასიის მთავარმართებელს
ალექსადრ ბარიატინსკის

მიმდინარე წლის [1886 წ.] 28 იანვრის № 120 მომართვის პასუხად პატივი მაქვს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კაცელარიას ვაცნობო: კოლეგიის მდივან ივანე კრესელიძეს, როგორც პოლიციის მიერ შეგროვებული ცნობებიდან გაირკვა, კარგი ყოფა-ქცევა და ცხოვრების წესი აქვს, პოლიტიკური თვალსაზრისით კეთილსაიმედოა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე ვერ ვხედავ რაიმე მიზეზს, შევაფერხო ივანე კერესელიძისათვის თბილისში ქართულ ენაზე გაზეთ „ცისკრის“ გამოცემის უფლების მიცემა.

დოკუმენტი № 10. 1886 წლის 2 აპრილი. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის დიმიტრი ტოლსტოის წერილი კავკასიის მთავარმართებელ ალექსანდრე ბარიატინსკის

თქვენმა ბრწყინვალებამ № 329 მომართვასთან ერთად გადაწყვეტილების მისაღებად გამომიგზავნა კოლეგიის მდივნის ივანე კერსელიძის ორი თხოვნა, რომელიც ეხება მისთვის ქ. თბილისში ქართულ ენაზე გაზეთ „ცისკრის“ („ზარიას“) გამოცემისათვის უფლების მიცემას. ამ გამოცემას უნდა ეწოდოს ასევე „სოფლის მოამბე“, რადგან მთხოვნელი მიზნად ისახავს გამოცემის მეშვეობით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სოფლის მოსახლეობაში მეურნეობისა და მიწათმოქმედების შესახებ ცოდნის ფართოდ გავრცელებას.

ბ[ატონ] კერესელიძის მიერ წარმოდგენილი გაზეთ „ცისკრის“ გამოცემის პროექტის განხილვისას გაირკვა, რომ გაზეთის ცხრა განყოფილებიდან მხოლოდ ერთი, მე-4 განყოფილება, ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის შესახებ მასალის გამოქვეყნებას. გამოცემის დანარჩენ განყოფილებებს მთლიანად პოლიტიკურ-ლიტერატუ-

რული ხასიათი ექნება. მთხოვნელს, სავარაუდოდ, გამოცემისათვის ამგვარის შინაარსის მიცემა სურს, მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობს „სოფლის მოამბის“ სარგებლიანობაზე რუსი მოსახლეობისათვის, რომელიც რუსულ ენაზე „მთავრობის მოამბესთან ერთად გამოდის. მთხოვნელის ასეთი მიზანი იქედანაც ჩანს, რომ ყოველდღიური გაზეთის გამოცემა სურს, რომლის წლიური ფასი რვა მანეთი იქნება. ასეთი ფასი სავსებით მიუწვდომელია სოფლის მოსახლეობის უმრავლესობისათვის.

მხედველობაში მივიღეთ, ბ[ატონ] კერესელიძეს არ წარმოუდგენია არანაირი სერიოზული დასაბუთება, რომელიც დაამტკიცებდა ქართულ ენაზე ახალი პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთის გამოცემის აუცილებლობას და იმას, რომ მას გააჩნია საჭირო ფულადი სახსარი დადგენილი ისეთი დიდი გაზეთის გამოსაცემად, როგორიც იყო წინათ ჟურნალი „ცისკარი“ („ზარია“) და გაზეთი „გუთნის დედა“ („პახარი“) და რომლებიც სარგებლობდნენ კავკასიაში მისი იმპერატორობით უდიდებულესობის მეფისნაცვლის (მიხაილ ვორონცოვის – ვ. გ.) მატერიალური მხარდაჭერით. მე მეძნელება ნება დავრთო ბ[ატონ] კერესელიძეს გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი „ცისკარი“, რის შესახებაც პატივი მაქვს თქვენს ბრწყინვალებას ვაცნობო და უკან დავაბრუნო № 329 მომართვისათვის თანდართული თხოვნები.

დოკუმენტი № 11. 1886 წლის 23 მაისი. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. სვიშნოვის წერილი კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას

საცენზურო კომიტეტი უმორჩილესად თხოვს კანცელარიას, 18 მაისის (1886 წ.) № 1758 მომართვის დამატების სახით კომიტეტს გამოუგზავნოთ კოლეგიის მდივნის კერესელიძის მიერ გამოსაცემად გამიზნული გაზეთ „ცისკრის“ („ზარიას“) პროგრამა.

დოკუმენტი № 12. 1886 წლის 5 ივნისის. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. სვიშნოვის წერილი კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას

18 მაისის [1886] № 1758 მომართვასთან დაკავშირებით საცენზურო კომიტეტს პატივი აქვს კანცელარიას აცნობოს, რომ კოლეგიის მდივნის კერესელიძის მიერ მთავარმართებლისათვის (ალექსანდრ ბარიატინსკისათვის – ვ.გ.) სასოფლო-სამეურნეო გაზეთ „ცისკრის“ („ზარიას“) გამოცემის ნებართვის თაობაზე ხელახლა მირთმეული თხოვნის თანდართულ პრგრამასთან ერთად, განხილვის შემდეგ საცენზურო კომიტეტი, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: გაზეთ „ცისკრის“ ახალი პროგრამა მცირედით თუ განსხვავდება პირველი პროგრამისაგან, რის გამოც ბ[ატონ] შინაგან საქმეთა მინისტრს (დიმიტრი ტოლსტოის – ვ. გ.) სირთულე შეექმნა კერესელიძისათვის გაზეთ „ცისკრის“ გამოცემის ნებართვის მიცემის საკითხის განხილვისას. გრაფ ტოლსტოის მიერ გამოგზავნილ № 1171 მოწერილობაში ჩამოყალიბებული მოსაზრების საფუძველზე კომიტეტმა შესაძლებლად არ მიიჩნია კერესელიძის ხსენებული თხოვნის დაკლმაყოფილება.

კერესელიძის თხოვნა, პროგრამა, თხოვნაზე ბ[ატონ] შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხის ასლი № 1171 გიბრუნდებათ.

●

მიუხედავად იმისა, რომ ივანე კერესელიძე განათლების სისტემის მეს-

ვეურებმა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის შეუფერებლად სცნეს, 1851 წელს სამეგრელოს მთავარმა, დავით დადიანმა იგი შვილების აღმზრდელად და მასწავლებლად მიიწვია, დიდი გასამჯელოც დაუნიშნა. 1856 წლიდან ივანე კერესელიძემ გიორგი ერისთავის დაარსებულ ჟურნალ „ცისკრის“ აღდგენისათვის დაიწყო ბრძოლა. დადიანებისაგან მიღებული გასამრჯელო მთლიანად ამ საქმეს მოახმარა. 1857 წელს „ცისკარი“ აღსდგა. რედაქცია და სტამბა ივანე კერესელიძეს საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი. აქ იყრიდნენ თავს იმ დროს მწერლები. ივანე კერესელიძის „ცისკარი“ სრულიად განსხვავებული ტიპის ახალი ჟურნალი იყო და არა ძველი „ცისკრის“ უბრალოდ აღდგენა. სამართლიანად ამბობდა ილია ჭავჭავაძე: „ცისკარმა“ აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“. „ცისკარმა“ არა მარტო ქართული მწერლობის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი, არამედ მის ფურცლებზე პრაქტიკულად ფეხი აიდგა ქართულმა პუბლიცისტიკამ.

რედაქტორ-გამომცემლის მძიმე და მომქანცველ შრომასთან ერთად ივანე კერესელიძე ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი საყოველთაოდ ცნობილი ლექსების ავტორია: „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, „ჩემო თვალის სინათლევ“ და სხვ. ივანე კერესელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა შესულია რამდენიმე კრებულში: „ლექსთაგანი ი. კერესელიძისა“ (ტფილისი, 1859), „ლექსები“ (თბილისი, 1958). ივანე კერესელიძემ დიდი ამაგი დასდო ქართველ ყრმათა განათლებას. 1855 და 1861 წელს გამოიცა მისი „საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“, ხოლო 1856, 1858, 1862 წლებში – „ანბანი: ახალ-მოჰსწავლეთა ყრმათათვის“.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ივანე კერესელიძემ უკიდურეს სიღარიბეში გაატარა. გარდაიცვალა 1892 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გივი ჩილვინაძე

შტრიხები ჯრუჭის მონასტრის ისტორიისათვის

ექვთიმე თაყაიშვილი საჩხერე-ჭიათურის ეკლესია-მონასტრებში.

1919 წლის ივლისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ეკლესია-მონასტრების დაცვის მიზნით, შექმნა კომისია, რომელსაც მათი ქონების აღწერა ევალებოდა. კომისიის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. უკვე აგვისტოში იგი საჩხერისა და ჭიათურის ეკლესია-მონასტრებს ეწვია და ყველაზე დიდი დრო ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერს დაუთმო. იქ დაცულმა უნიკალურმა ხელნაწერმა წიგნებმა, სიგელ-გუჯრებმა, ოქრო-ვერცხლით შემკულმა ხატებმა და სხვა საეკლესიო ნივთებმა აღაფრთოვანა დიდი მამულიშვილი და გულმოდგინედ აღწერა მთელი მონასტერი: ლაპიდარული და საფლავთა წარწერები, ტაძრის აგებულება, ხატები, ჯვრები... მთავარი ყურადღება მონასტრის ხელნაწერებს დაუთმო, ბევრი მათგანი თავისი ხელით გადმოწერა კიდეც. თან ახლდა ფოტოგრაფი, რომელმაც ტაძრის ფოტოები გადაიღო. ექვთიმეს მიერ შეკრებილი მასალა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, იგი 2010 წელს წიგნადაც გამოიცა ზაზა სხირტლაძის თაოსნობით (ექვთიმე თაყაიშვილი, ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები).

რასაც ქვემოთ გთავაზობთ, ის ამ წიგნში არაა შესული. ექვთიმე ჯრუჭულის ხეობის თუ მის მიმდებარე სოფლებსა და ეკლესია-მონასტრებსაც ასახელებს, მის უბის წიგნაკში (ხეც, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, N 800) ბევრ საგულისხმო ფაქტს შეხვდებით. ინფორმატორად გულისხმიერი, განათლებული და კეთილგანწყობილი მასპინძელი, ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე ჰყავდა.

აი, რამდენიმე ჩანაწერი ექვთიმეს უბის წიგნაკიდან:

„საჩხერეში ღამე გავათიე ვლადიმერ ასლანის ძე ჯაფარიძის სახლში, მისი მეუღლე ელისაბედი. შვილები გერმანიაში კონსტანტინე, მერე პავლე“.

შემდეგ ჯრუჭის არქიმანდრიტს, მამა პავლეს ახსენებს და მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს გადმოგვცემს: „ჯრუჭთან სოფლები: აღმოსავლეთისკენ ცხომარეთი, დასავლეთისკენ უზუნთა, იქვე უზუნთის გვერდზედ სამხრეთისკენ ქვემო ხევი, ჩრდილოეთით, რაჭის გზაზე ყვიჩორი. ამათ ყველას ერთი მღვდელი ყავთ, პატარ-პატარა სოფლებია. მოხვას იქით გაუქმებული სამების ეკლესიაა“.

მართლაც, მე-19 საუკუნესა და მე-20-ს დასაწყისის უმეტეს დროს მოხვის ეკლესიის მღვდელი წარმართავდა მისი მიმდებარე სოფლების მრევლის ნათლობას, ჯვრისწერას და სხვა რიტუალებს. ეს ყველაფერი ძალიან კარგადაა დაფიქსირებული მოხვის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში, რომლებიც თბილისში, ეროვნულ არქივშია დაცული (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 489), ხოლო ნახსენები სამების ეკლესიის ნაშთები დღესაცაა მოხვის სამხრეთ ქედზე, ამ ადგილს მოხველები მეტად მნიშვნელოვან სალოცავად მივიჩნევთ. იგი უძველეს დროს უნდა იყოს დაარსებული. შეიძლება იქ პატარა მონასტერიც იყო, რადგან სოფელს საკმაოდ დაცილებულია. ტაძრის შენობა, როგორც ჩანს, ექვთმეს ჯრუჭში ყოფნის დროსაც იყო შემორჩენილი (სამწუხაროდ, ზაზა სხირტლაძის მომზადებულ წიგნში „მოხვას“ მაგიერ „ბოხვას“ წერია, რამდენჯერმეა ეს სოფელი ნახსენები უმეტესად დამახინჯებული სახელით, რადგან ექვთიმეს თანაშემწის გადაწერილი რვეულით იხელმძღვანელეს მხოლოდ და მის უბის წიგნაკში არ ჩაუხედავთ, სადაც ჩემი სოფლის სახელი სულ ადვილად იკითხება.). სოფელი ყვიჩორიც არსებობდა მაშინ, მაგრამ 40-იან წლებში მისი მცხოვრებლები მთლიანად სამხრეთ საქართველოში, ბოლნისის რაიონში გადაასახლეს.

მივყვეთ ექვთიმეს უბის წიგნაკის ცნობებს: „სხვავის მონასტერი რაჭაში გადასასვლელ მთაზედ ახლა გაუქმებულია და ნივთები გადატანილია ჭელიშის მონასტერში, ეს მონასტერი სოფელ სხვავაზედ 15 ვერსით არის მოშორებული. დასავლეთით ჯრუჭისა 15 ვერსზედ არის გაუქმებული ვანის მონასტერი, ეხლა ვანის პატარა ეკლესია არსებობს წირქვალის საზოგადოებაში. აღმოსავლეთით ჯრუჭისა მთის გადაღმა არის გაუქმებული კვერეთის მონასტერი, ეხლა ეკლესიად გადაკეთებული კვერეთისა 15 კომლით, ანტონ ხონელის ანდერძში იხსენიება“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, N 800).

საუბარია ველტყევის ანუ სხვავის მონასტერზე, რაჭა-იმერეთის გამყოფ ველტყევის მთაზე, რომელსაც მოხველები უმეტესად „უდაბნოს ეკლესიად“ მოვიხსენიებთ (იხ. გივი ჩიღვინაძე, წინაპართა მიერ ლოცვით გაჯერებული ლოდები: ველტყევის მონასტერი – „რაჭის უდაბნო“, ჟურნალი კარიბჭე, 2017, 15-28 ივნისი, N 12, გვ. 59-61). ამ მონასტერს ექვთიმე თაყაიშვილი რაჭაში მოგზაურობისა და იქაური ეკლესია-მონასტრების აღწერაშიც ახსენებს (ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში, თბილისი, 1963 წ.) ვანი კი პატარა სოფელია დღევანდელ ჭიათურის რაიონში, საწალიკე მთისკენ და იქაც იყო მონასტერი. კვერეთის მონასტერი კი იმითაა ცნობილი, რომ ისიც თავად წერეთლებს ეკუთვნოდა, იქ განისვენებენ აკაკის წერეთლის ოჯახის წევრები.

ექვთიმემ ჯრუჭის მონასტერში შეარჩია და თან წამოიღო იქიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში უნიკალური წიგნები და სიგელ-გუჯრები. რომ არა მისი ეს გადაწყვე-

ტილება, ვინ იცის, რა მოუვიდოდა ამ წიგნებს მოახლოებული საბჭოთა რეჟიმის დროს. ექვთიმეს ყველა არ ატანდა წიგნებს, ზოგი არქიმანდრიტი საეკლესიო მმართველობის მითითებით სასტიკად ეწინააღმდეგობოდა ძველი ხელნაწერების ეკლესია-მონასტრებიდან გატანას. მაგრამ ჯრუჭში სწორედ რომ დიდებული არქიმანდრიტი იყო იმ დროს – მამა (შემდგომში მეუფე) პავლე ჯაფარიძე, მას კარგად ესმოდა ამ წიგნების ისტორიული მნიშვნელობა და ექვთიმეს ღვაწლსაც ხედავდა. თუ რა მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონდა მას ექვთიმეს მიმართ ამაში მისი წერილი გვარწმუნებს, რომელსაც აქვე მოვიტან (სტილი დაცულია):

„1919 წ. 6 დეკემბერი
დიდად პატივცემულო
ბ. ევთიმე სიმონის ძევ!

პირველ ყოვლისა გისურვებთ დღეგრძელობას თქვენი ძვირფასი მეუღლით და მონათესავებით და ვეევედრები ჩემი უღირსი ორლანოითა ჩვენს პატრონს დედასა ღვთისას, რომ დიდხანს არ მოშლოდეს თქვენი თავი საწყალ ჩვენ ერს და მოზარდ თაობას და ბრძანებულიყოთ ნუგეშად მათდა. ვიცი თქვენი კაცთმოყვარეობის ამბავი და იკითხამთ ჩემს უღირსებას: მარიამობის თვის აქეთ, რა რომ ჩემ მონასტერში ბრძანდებოდით და პირის პირ გავიცანი თქვენი დიდ ბუნებოვანება, აღიძრა ჩემი უღირსი სული სიყვარულით თქვენდა უფროს მშობლიურის მამისა და მზათ ვიყავ და ვარ პატივისცემად თქვენდა, რითაც კი შესაძლებელი იქნება ჩემ გნით. აგრეთვე სიმდაბლით მოგახსენებთ, მე რომ უკანასკნელად გახლდით თქვენთან ტფილისში თქვენ მიერ წაღებულ სამონასტრო წიგნების და ნივთების თაობაზე და შემახვედრა ჩემმა მთავრობამ ტყვილა უბრალო ძვირი და საყვედური და ხარჯი მანახვეს უბრალო თქვენთან ჩამოსვლით, მას აქეთ კიდევ დიდი საყვედური მივიღე, უფლება არა გქონდა, მოჭედილი პატრონი სახარებები რომ გაატანეო. ვემზადებოდი თქვენი ბრძანების შესასრულებლად, ვაპირებდი მღვიმის მონასტრის ვაზის კარების გამოგზავნას, მაგრამ ვეღარ ვბედავ, სანამ თქვენ და ჩემი სასულიერო მთავრობა არ შეთანხმდებით და მათგან ბრძანებას არ მივიღეფ, მანამ არაფრის გამოგზავნა არ შემიძლიან. თქვენ რომ 350 მანეთი დამიტოვეთ კარების გამოსაგზავნი, თუ ვინმე ნაცნობი წამოვიდა, გაახლებთ ან მე თვითონ მოგართმევთ. სიმდაბლით მოვიკითხამ თქვენს მეუღლას.

დავშთები მარად თქვენი პატივის მცემელი უღირსი არქ. პავლე“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, N 1492). აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო მამა პავლეს უმშვენიერესი ხელწერის შესახებ, რომლითაც წერილია დაწერილი.

აი, ასეთი ვითარებაა ჩვენს მხარეში დიდი მამულიშვილისა და მომავალი წმინდაწნის – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სტუმრობისას. ვაზის კარი, რომელსაც არქიმანდრიტი პავლე ახსენებს თავის წერილში, მღვიმევის მონასტერში იყო, ესაა ხეზე კვეთის ბრწყინვალე ნიმუში და დღეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ექვთიმემ მამა პავლეს იმიტომ თხოვა მისი თბილისში გაგზავნა, რომ რადგან მღვიმევში დედათა მონასტერი იყო და ქალი ჰყავდა წინამძღვარი, მას ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტები მეთვალყურეობდნენ.

ჯრუჭის მონასტრის შემდეგ მომავალმა წმინდანმა მღვიმევისა და კაცხის მონასტრები, სავანის, დარკვეთის, ეხვევისა და სპეთის ეკლესიები მოინახულა და აღწერა. მღვიმევის მონასტერშიც მნიშვნელოვანი ხელნაწერებიც აღმოაჩინა. ექვთიმეს ფონდში მღვიმევის მონასტრის წარწერების, ხელნაწერების, საეკლესიო ნივთების აღ-

წერებია, აქვეა იმ დროს გადაღებული 33 ფოტო. ყველა საეკლესიო კერას მფარველად მიაჩნდა დიდი მამულიშვილი, მღვიმევიდან გაგზავნილი წერილებიც აღმოჩნდა მის ფონდში. 1919 წლის 13 ნოემბრით დათარიღებული წერილით წინამძვარი დედა ქრისტინე სთხოვს შუამდგომლობას ჭიათურის თვითმმართველობასთან მონასტრისათვის ტელეფონის ხელახლა დადგმის თაობაზე, რომელიც გაუგვიუქმეს, რადგან ათას მანეთს თხოულობდნენ წელიწადში, რომლის გადახდა მონასტერს არ შეუძლია, ისედაც აუტანელ გაჭირვებას განვიცდით... ძლიერ შეშინებული ვართ, რადგან გავრცელებულია ყაჩაღობაო. თხოვს აგრეთვე, დაეხმაროს ადგილისა და წისქვილის დაბრუნებაში, რომელიც ჩამოურთმევიათ...ბოლოს დიდი პატივით მოიხსენიებს: „თქვენი ლოცვით მომხსენებელი მღვიმის მონასტრის წინამძღვარი უღირსი იღ. ქრისტინე“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, N 1491).

29 აგვისტოს ექვთიმე კაცხის მონასტერშია, იქიდანაც დაგვიტოვა იმ დროს შესრულებული აღწერილობანი წარწერების, ხელნაწერებისა და საეკლესიო ნივთებისა, მათთან ერთად 22 ფოტოა.

მონასტრების გარდა იმ დროს მოიარა ექვთიმემ ზემოთ ნახსენები ეკლესიები, ისინიც და მათი ნივთებიც სრულყოფილად გამოიკვლია და აღწერა. სავანის, დარკვეთის, ეხვევისა და სპეთის 62 იმდროინდელი ფოტო ინახება მის არქივში. ამ ეკლესიებიდანაც წამოიღო ექვთიმემ მნიშვნელოვანი ხელნაწერები. რომ არა ექვთიმე თაყაიშვილის – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ძალისხმევა, ჩვენი ეკლესია-მონასტრების საუნჯე შეიძლება კიდევაც განადგურებულიყო სულ მალე უცხო ძალით დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების მესვეურების მიერ...

სასურველია, ამ ეკლესია-მონასტრების ექვთიმესეული გამოკვლევანი, აღწერანი და ფოტოები ისევე გამოქვეყნდეს წიგნებად, როგორც ჯრუჭის მონასტერზე გამოიცა მისი ნაშრომი. ამით აღნიშნული მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრების ისტორიასაც უკეთ გავაცნობთ დაინტერესებულ მკითხველს, მათ პოპულარიზაციასაც გავწევთ და დიდი მამულიშვილის ღვაწლსაც მეტად წარმოვაჩენთ.

დედა უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსნისა.

ჯრუჭის მონასტრის აღდგენის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იქ არსებულ ისტორიულ პირთა საფლავებს, რომელთა ნაწილი მიწისძვრის დროს მოიშალა. მშენებლები გვპირდებიან, რომ ისინი ისევ სათანადოდ მოეწყობა.

ჯრუჭში დასაფლავებულთა შორისაა ქეთევან ზურაბის ასული წერეთელი. იგი გარდაცვლილა 1823 წელს და განისვენებს თითქმის შუა ეკლესიაში, იმერეთის სარდალ ქაიხოსრო პაპუნას ძე წერეთლის საფლავის ჩრდილოეთით. მისივე რძლის მზეხათუნ ბატონიშვილის განსასვენებლის ახლოს.

ქეთევანი იყო ქართლ-კახეთის მეფის გიორგის XII-ის რძალი, მეუღლე სახელმწიფო მოღვაწის, გამოჩენილი მებრძოლისა და სარდლის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის, „კალმასობის“ ავტორის იოანე ბატონიშვილისა (1868-1830). ამასთანავე ქეთევანი არის საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსნის გრიგოლ I-ის დედა.

რუსეთში მიმავალ იოანე ბატონიშვილს თანამემამულეთათვის დაუბარებია: „ერჩდით ჩემ წილ ბრძანებასა მეფის სძლის ქეთევანისასა და ძისა ჩემისა გრიგოლისასა და მეცა მადლითა ღვთისათა მოვიწიო მალედ თქვენდა“. მაგრამ ბატონიშვილი ძირითადად რუსეთში ცხოვრობდა და პეტერბურგში დაასრულა სიცოცხლე. ალბათ,

ამის გამო დაასაფლავეს ქეთევანი არა ქმრის სამკვიდროში, არამედ მამის მამულში. მით უმეტეს, რომ იგი საჩხერეში გარდაიცვალა.

იოანესა და ქეთევანის ერთადერთი ვაჟი გრიგოლ ბაგრატიონი (1789-1830) ქართველებმა მეფედ გამოაცხადეს 1812-1813 წლების კახეთის აჯანყების (რომელსაც რუსეთ-საქართველოს ომადაც თვლიან) დროს, აკურთხეს და ეკლესიებშიც მოიხსენიებდნენ. გრიგოლი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს ლეგიტიმური მემკვიდრე, რადგან ოფიციალურ მემკვიდრეს დავით ბატონიშვილს, იოანეს უფროს ძმას, შვილი არ ჰყავდა. ამდენად, გრიგოლ I მიჩნეულია ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის წარმომადგენელ უკანასკნელ მეფედ, რომლის სამეფო ხელისუფლება ყველაზე გვიან საქართველოს ტერიტორის გარკვეულ (კახეთსა და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ) ნაწილზე თითქმის ერთი თვე ვრცელდებოდა. ბოლო ბრძოლების დროს იგი რუსებმა დაატყვევეს (ნიკო ჯავახიშვილი, გრიგოლ I უკანასკნელი ქართველი მეფე, თბილისი, 2008 წ., აკაკი გელაშვილი, რუსეთ-საქართველოს 1812-1813 წლების ომი, ჟურნალი „ისტორიანი“, N 3, 2012 წ., გვ. 12-17). გრიგოლი გადაასახლეს რუსეთში, ერთხანს პეტროზავოდსკის ციხეში ჰყავდათ. მერე პეტერბურგის ქართული კოლონიის ავტერიტეტული წევრი გახდა. წერდა ლექსებს, სადაც სამშობლოს მონატრებული ადამიანის მწუხარებაა გადმოცემული. მოგვიანებით ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება დაიწყო...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო გვიან, 1819-1820 წლების აჯანყების დროს იმერეთში მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბატონიშვილი. იგი იყო იმერეთის მეფის დავით მეორის უკანონო შვილის როსტომ ბატონიშვილის ვაჟი. აჯანყების შემდეგ ის ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც სულთანმაც დაამტკიცა იმერეთის მეფედ. გარდაიცვალა 1850 წელს ტრაპიზონის ახლოს მდებარე პატარა ქალაქ პლატანში. 30 წლის განმავლობაში იგი იყო იმერეთის დე იურე მეფე (მანანა ხომერიკი, იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი, თბილისი, 2012 წელი.).

თვით ქეთევან წერეთელი მნიშვნელოვანი ქართული წიგნების გადაწერის თაოსანი ჩანს. მაგალითად, ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერებს შორის იყო სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, რომელიც 1808 წელს გადაუწერია იოანე იაღლუზისძეს, ხოლო დამკვეთია „საქართველოს მეფის სძალი, წერეთლის ასული ქეთევან“ (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 72).

ქეთევან წერეთლის საფლავზე ასეთი წარწერაა:

„წელიწადსა Cykg-სა (1823) მარტის ი-ს (10) ლოდითა ამითა დაფარულ არს საქართუელოს მეფის გიორგის სძალი თანამოჟამეთა პირუელი კეთილ სამაგალითო ქეთევან ასული ღენერალ მაიორისა და კავალერის ზურაბ წერეთლისა რომელსა მხილველთათვის სავასსებელად შენდობისა ლოდი ესე უძეგლა დამან თვისმან მართა სამენგრელოისა მთავრინამან და კავალერმან“.

ჯრუჭის მონასტერში განისვენებენ აგრეთვე ქეთევანის მშობლები და ძმები...

ჯრუჭის მონასტრის ახლად აღმოჩენილი ფოტოები.

მინდა, ამ უნიკალური ფოტოების შესახებ მოგითხროთ, რომელებიც აქ პირველად იბეჭდება. ისინი ჯრუჭის პირველი ფოტოებია, მანამდე მონასტერი არავის გადაუღია. ეს ფოტოები არსად გავრცელებულა 150 წლის განმავლობაში რუსეთის ერთ-ერთი მუზეუმის მყუდრო საცავში იდო და ჯრუჭის მონასტრის მკვლევართაგან ეჭვიც არა-

ვის გასჩენია მათ არსებობაზე. დიახ, ეს ფოტოები დაცულია სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის მსოფლიო ქალაქების ფოტოების ფონდში. მიაქციეთ ყურადღება, ეს მშვენიერი ნაგებობათა კომპლექსი ქალაქად მიიჩნიეს და შესაბამის ფონდში მოათავსეს. ტყუილად კი არ წერდა ჯრუჭის მონასტრის ამაღორძინებელი

დავით მიტროპოლიტი – „მონასტერი ქალაქ ვყავო“. პირველი ფოტოს გადამღებია ფოტოგრაფი ვიქტორ ვოიუცკი, მეორე ფოტოს პასპორტზე კი ფოტოგრაფი არაა მითითებული, სავარაუდოდ ესეც მისი ნამუშევარია, რადგან დაბლა კიდეში, მარჯვენა მხარეს მოხეულია ყური და დარჩენილია რუსული Ф ასოს ნაწილი, ისეთივე მოხაზულობით, როგორც პირველ ფოტოზე. ამ ფოტოების არასაბეჭდი ასლები სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ვებგვერდზე დაიდო და მათზე მკვლევარმა ბატონმა მიშა ჩხიკვაძემ მიმითითა, მას შემდეგ, რაც ჯრუჭის მონასტერზე გამოქვეყნებული ჩემი წერილები ნახა. მართლაც მშვენიერი ფოტოებია, განსაკუთრებით პირველი, რომელიც ჯრუჭის მთის თხემიდანაა გადაღებული და მთლიანად გვიჩვენებს მონას-

ჯრუჭის მონასტერი, 1870-იანი წლები. ფოტოგრაფი ვოიუცკი, საქართველო, იმერეთი, ფოტოქაღალდი, მუყაო. ფოტობეჭდვა. 19,5×14,5 სმ., პასპორტით 32,2×23.0 სმ. დაცულია სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში.

ტრის სილამაზეს, მაშინდელს, როცა მისი ყველა შენობა ადგილზე იყო.

როგორც აღვნიშნე, მუზეუმის ვებ-გვერდზე ფოტოების მხოლოდ საჩვენებელი ციფრული ვერსიები იდო, ისინი ბუნდოვანია და საბეჭდად არ გამოდგება. ამასთანავე შევნიშნე, რომ მათზე მონასტრის ადგილმდებარეობა არასწორად იყო მითითებული: პირველს ეწერა: რუსეთი, კავკასია, თავისუფალი სვანეთი, დრჟუტის მონასტერი.

მეორზე უარესი შეუსაბამობა იყო: რუსეთი, კავკასიის სამეფისნაცვლო, დაღესტნის ოლქი, შოროპნის მაზრა, დჟუტის მონასტერი.

ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს მამა სიმონსა და მღვდელ-მონაზონს მამა ალექსისაც გავუგზავნე ეს ფოტოები და განიზრახეს, მისი დიდ ფარმატზე დაბეჭდვა მონასტრის მომავალი მუზეუმისთვის, რომლის შექმნაზე ადრე ვწერდი და მათთანაც ვსაუბრობდი ხოლმე. მომმართეს მე, რომ იქნებ შეგვეძინა მისი საბეჭდი ვერსიები. მე უკვე ვფიქრობდი ამაზე, რადგან პირველი ფოტოს მსგავსი სრულყოფილი სურათი ჯრუჭის მონასტრისა არ არსებობს, ჩემ მიერ ჯრუჭის მონასტერზე დაწერილ წიგნში, ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების კრებულსა და ჯრუჭის მონასტერზე გაკეთებულ საჟურნალე ჩანაწერებში ვაპირებდი მათ დაბეჭდვას. გავგზავნე წერილი სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ვითხოვდი ამ ფოტოების სრულყოფილ საბეჭდ ვერსიებს და იმასაც ვუთითებდი, რომ მათთან მონასტრის ადგილმდებარეობა არასწორად იყო მითითებული და უნდა გაესწორებინათ. მალე მივიღე პასუხი, რომელშიც ძალიან დაინტერესდნენ ჩემი შესწორებებით, ყველაფერს გააკეთებდნენ ფოტოების პასპორტების გასასწორებლად, ოღონდ მთხოვდნენ, რომ სხვა ფოტოებით, რომლებსაც რუსული წარწერები ექნებოდა და მონასტერზე არსებული მასალებით დამემტკიცებინა , რომ ჯრუჭის მონასტერი იმერეთშია და არა სვანეთში ან დაღესტანში. წარმოგიდგენიათ, უნდა მემტკიცებინა, რომ მონასტერი, რომლის გვერდით სოფელში გავიზარდე, რომელსაც მთელი ბავშვობა ვუყურებდი, რომელის ისტორიასაც ვიკვლევ უკვე დიდი ხანი, ნამდვილად იმერეთში იყო. რას ვიზამდი? შევკრიბე შესაბამისი ფოტოები, რუსულ საიტებზე არსებული მასალები, მცირე ისტორია, მონასტრის უცხოელი, მათ შორის რუსი, მკვლევარების ვინაობაც დავურთე და გავაგზავნე. პარალელურად მუზეუმის სხვა თანამშრომელთან მიწერ-მოწერას ვაწარმოებდი საბეჭდი ასლების შესყიდვაზე. ეს საკითხი როგორც იქნა მოგვარდა, დავდეთ ხელშეკრულება, ჩავრიცხე თანხა და საბეჭდი ვერსიებიც მივიღე ერთჯერად, ერთი წლის ვადით, ორ წიგნსა და ერთ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, ასევე უფლება მომცეს ჯრუჭის მონასტრისათვის გადამეცა ფოტოების მხატვრული გამოსახულება. მხოლოდ ამ ფოტოების პასპორტები ჯერჯერობით არ შეუსწორებიათ, ამაზე ისევ ვაგრძელებ მათთან მიწერ-მოწერას.

ახლად აღმოჩენილი ფოტოები ყველაზე ძველია, მუზეუმში პირველს XIX საუკუნის 70-იანი წლებით ათარიღებენ, მეორეს 60-იანი წლებით. აქაც მეტი დაკვირვება გვმართებს. ვიქტორ ვოიუცკის 1870-1873 წლებში ჰქონდა ქუთაისში სახელოსნო. ის თუ მთლად პირველი არა, საქართველოში ჩამოსული ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფია. უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე ფოტო ერთ დროსაა გადაღებული XIX საუკუნის 70-73 წლებში, სავარაუდოდ მას ჯრუჭის მონასტრის სხვა ფოტოებიც უნდა ჰქონდეს გადაღებული – იქ მისული ფოტოგრაფი ნუთუ მხოლოდ ხეობიდან და მთიდან გადაიღებდა მონასტერს და ახლოდან არაფრის ან არავის კადრს შემოგვინახავდა?.. მუზეუმის

თანამშრომელმაც მითხრა, კიდევ უნდა იყოს ჯრუჭის ფოტო, მაგრამ გაციფრებული არა გვაქვსო. ასე რომ, ძიებას ისევ ვაგრძელებ...

ამ ფოტოებიდან მთიდან გადაღებული ყველაზე სრულყოფილია ჯრუჭის მონასტრის არსებულ ფოტოებს შორის (სურ. 1). მასზე შეიძლება სრულად გავარჩიოთ მონასტრის ნაგებობანი. აქ სამრეკლოს ჯერ კიდევ არა აქვს დადგმული გუმბათი. სწორედ ამას მეკითხებოდა სანქტ-პეტერბურგის ისტორიული მუზეუმის ფონდის მცველი ქალბატონი ანა გოლუბევა, რომელიც დიდი ინტერესით მოეკიდა ჩემს თხოვნას, მონასტრის სხვა ფოტოებზე გუმბათი ჩანს, აქ კი არაა. მე ვუხსნიდი, რომ მათთან არსებულ ფოტოზე გამოსახულ სამრეკლოს ჯერ არ ჰქონდა გუმბათი დადგმული. იგი დავით მიტროპოლიტის არქიმანდრიტობისას არის აშენებული. ამ ფოტოზე ის ტაძრის შემდეგ ყველაზე მაღალი, ვიწრო შენობაა, ორ ფერდად დახურული, მაღლა ოთხ ბოძ-



ჯრუჭის მონასტერი, 1860-იანი წლები. საქართველო, იმერეთი, ფოტოქაღალდი, მუყაო. ფოტობეჭდვა. 33,2×26,2 სმ., პასპორტით 37,2×27.2 სმ. დაცულია სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში

ზე კიდევ ვიწროდაა გადახურული, სადაც სავარაუდოდო ზარები უნდა ეკიდოს...

დავაკვირდეთ, მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს გარდა კიდევ რა ჩანს ამ ფოტოზე. შენობებამდე, წინა პლანზე, ფერდობზე კარგად მოვლილი ვენახი უნდა იყოს, დღეს ეს ფერდობი მხოლოდ მინდორს წარმოადგენს, სადაც დღევანდელი ჯრუჭის მონასტრის კრებულს ფუტკრის რამდენიმე სკა უდგათ. ვენახის შემდეგ „არქიეპისკოპოსის სახლი“, იგივე საწინამძღვრო სახლი ჩანს, ყველაზე დიდი დამხმარე ნაგებობა მონასტერში. მისი ნახაზი, რომელიც არქიტექტორ მიხეილ კალაშნიკოვს შეუსრულებია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდშია დაცული.

მარჯვნიდან ვენახის პირდაპირ, პირველია ქვიტკირის საკრებულო სახლი, ორსართულიანი (ამ ფოტოზე მხოლოდ ზედა სართულს ვხედავთ), მისი ორივე სართულის კედლები დღესაც შემორჩენილია, განსხვავებით სხვა შენობებისა, რომელთა საფუძველიც აღარ ჩანს მონასტრის ტერიტორიაზე. სამრეკლოს მარჯვნივ მონასტრის ერთ-ერთი, ჩრდილოეთის მხარეს არსებული, მარნის მაღლა დადგმული სენაკების სახურავის ნაწილი ჩანს. ტაძრის აღმოსავლეთით და სამხრეთით ხუთი მოზრდილი შენობაა ერთმანეთზე მიდგმული, რომელთა აივნები ჯრუჭულის ხეობას გადაჰყურებს. მათი ცალკე, დანიშნულების მიხედვით დახასიათება არ ხერხდება, რადგან ჩვენამდე მოღწეულ მონასტრის ნაგებობათა ჩამონათვალში მათი ადგილის მიხედვით მდებარეობა არაა წარმოდგენილი. ესენი უნდა იყვნენ ის ორსართულიანი, ბუხრებიანი და აივნიანი ოდები ქვიტკირისა, სახლები და სენაკები, რომლებიც დავით მიტროპოლიტის ჩანაწერსა და ჯრუჭის მონასტრის სხვა საბუთებშია ჩამოთვლილი (მაია ქებულაძე, ჯრუჭის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიისათვის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, XXI, 2011 წ.).

გაღმა, პირდაპირ, მოსალოცავის ფერდობზე განმარტოებით მდგარი ხის შენობა მონასტრის ერთ-ერთი მარანი უნდა იყოს.

ეს ფოტო ყველაზე კარგად წარმოგვიდგენს ჯრუჭის მონასტრის ნაგებობებს, მაგრამ ბევრი რამ აქაც არ ჩანს, თუნდაც აქვე ახლოს, ჩრდილოეთ მხარეს არსებული ბეღლები, ბოსლები, თავლები. წისქვილი წყალფენილაზე და მის გაღმა, მოსალოცავზე ან ცხომარეთის მხარეს აშენებული სახლები, მარნები, სასიმინდეები, აგურის ქარხნები...

მიუხედავად ამისა, ჯრუჭის მონასტრის ახლახანს აღმოჩენილი, სანქტ-პეტერბურგის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფოტოსურათი ყველაზე მეტის მომცველი, სრულყოფილი და ლამაზია.

მეორე ფოტოზე (სურ. 2) მონასტერს დაბლიდან, ჯრუჭულის ხეობიდან შევყურებთ, ესეც ძალიან კარგი ფოტოა, მასზე ტაძრის ზედა ნაწილი და მის ირგვლივ მდებარე შენობები და ფერდობები მოჩანს.